# საარბიტრო

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი 12 დეკემბერი 1998 №228 (763) ფასი 50 თეთრი


## ნუ ითამაშებთ ათენში!

### ეროვნული ნაკრების წევრები პრესკონფერენციის მოწვევას აპირებენ

ასე თქვით, ისე, როგორც გენებოთ, მაგრამ ფაქტი კია. შოთა არველაძემ მძიმე ტრავმა მიიღო, „აიაქსს“ რამდენიმე ხნით გამოაკლდა და კლუბის საქმეებიც უკან-უკან წავიდა. წარუმატებლობა ეროვნულ ჩემპიონატში, უიღბლობა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, დაუძლურებული თავდასხმის ხაზი, აღარც ის გუნდი, რომლის სახელის გაგონებაზეც მეტოქეთ მუხლები უკანკალებდათ. „აიაქსი“ შოთას მოლოდინშია. მორტენ ოლსენს თავდამსხმელებმა უმტყუნეს. ჩვენებურის არყოფნა ძლიერ დასტყობია ჰოლანდიის ჩემპიონებს. მათი უპირველესი მეგოლე დიდი ძალა ყოფილა, შარშან არ იგრძნობოდა, შოთა თამაშობდა და ბლომადაც გაჰქონდა, წლეულს კი...

— საშინელი ტკივილი ვიგრძენი. მეგონა, მორჩა, კარიერა ათენში დავამთავრე-მეთქი. რა დამავიწყებს „ოლიმპიაკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩს, ბურთისთვის რომ ვიბრძოდი და მუხლით დავასკდი მინდორს. ხმის ამოღება აღარ შემეძლო. რა ნემსი, რის ნემსი, არაფერმა მიშველა — გვითხრა შოთა არველაძემ — ეგაა ფეხბურთელობა, ეტყობა, უამისოდ არ შეიძლება, ერთხელ მძიმედ უნდა დაშავდე და რამდენიმე თვით იძულებით დაისვენო.

**— ასეთი რა მოგივიდა?**

— მუხლსუკანა ჯვარედინი იოგები დავიზიანე. ჩემდა ბედად, როგორც შემდეგ გაირკვა და რენტგენმა აჩვენა, იოგები გაწყვეტილი არ ყოფილა. თუმცა რა, მძიმე ოპერაცია მაინც დამჭირდა. ექიმებმა კი მთლად გამაგიჟეს, ცხრა თვე ბურთს ვერ გაეკარებიო. მადლობა ღმერთს, შეცდნენ. ახლა შედარებით უკეთ ვარ, სამ-ოთხი დღე ინდივიდუალურადაც ვვარჯიშობ. გუნდს, ალბათ, ნაახალწლევს შევუერთდები და თამაშსაც დავიწყებ. მანამდე კი ისევ ექიმებს უნდა მივაკითხო. ფუი, ეშმაკს, ვაითუ ბოლომდე მოშუშებული არც ვიყო...

**— „აიაქსსაც“ დაეტყო უშენობა.**

— არა მარტო ჩემი. ტრავმირებული არიან ლიტმანენი, ბაბანგიდა, ტობიასენი. ბლინდი ახლახან მომჯობინდა. ბუნებრივიცაა, როცა რამდენიმე ფეხბურთელი გუნდს დააკლდება, საქმეებიც აირევა.

**— არეულაც გაჩნია ლიგა ჩემპიონატი.**

— ფეხბურთელებს ფსიქოლოგიურადაც გაუჭირდათ. ფაქტობრივად აწყობილი მექანიზმი დაიშალა. ოთხი ფეხბურთელი თითქმის ნახევარი გუნდია. ისე, მეორეცაა, ყველას უდგება ჩავარდნის პერიოდი. ჩვენც ეს გვჭირს. მაგრამ ჩავარდნა ხომ დროებითია. მეორე წრიდან, ალბათ, ძველებურად ავთამაშდებით.

**— ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერგასვლაც ამის ბრალია?**

— ნაწილობრივ. ჯგუფში ჩარჩენას უფრო უიღბლობას დავაბრალებდი. „კროაცია“, ამსტერდამში თამაშისას ერთხელ გამოვიდა ჩვენს ნახევარზე და გოლიც გაგვიტანა. ჩვენ კი, შტურმის მიუხედავად, ვერაფერი მოვახერხეთ. არ გაგვიმართლა პორტუშიც. ანგარიში რეალობას არ ასახავს. პირველ ტაიმში შექმნილი ხუთიექვსი მომენტიდან ჩვენებს ერთხელ მაინც რომ გაეტანათ, „პორტუ“ მომგები არ იყო.

**— ამსტერდამში ოლსენის მოხსნაზეც ალაპარაკდნენ.**

— ვერაფერს გეტყვით. ოლსენის თანამდებობიდან გათავისუფლებაზე მართლაც იწერება აქაურ გაზეთებში, მაგრამ კლუბის უფროსობა რას აპირებს, არ ვიცი. არც თავად მწვრთნელის აზრი გამიგია.

საუბარი აღარ გაგვიგრძელებია. დანარჩენი შოთა არველაძის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იყოს.

ახალი არავისთვის იქნება, ვთქვათ, საქართველოს ეროვნულ გუნდში „რაღაც“ ხდება. რა? ამის პასუხსაც ახლო მომავალში შევიტყობთ. საქმე ისაა, რომ ქართველი ლეგიონერების უმეტესობა დეკემბრის ბოლოს პრესკონფერენციის მოწყობას აპირებს. ნაკრების წევრებს სურთ, სათქმელი ხმამაღლა თქვან.

ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

## სევილია ჯამარაულს ელის

*შეპირებისამებრ, წუხელ ერთობ დაკავებულ „სევილიას“ მწვრთნელს, შარშან „ბრაგას“ თავკაცობისას ჩვენი „დინამოს“ გამაწვრთნელ ფერნანდო კასტრო სანტოსს შევეხმიანეთ პირდაპირ, ყოველგვარი ახსნაგანმარტების გარეშე ვკითხეთ და ისიც გოჩა ჯამარაულზე ენაწყლიანად ალაპარაკდა.*

— დიახ, რამდენიმე დღის წინ ვნახეთ ქართველი ფეხბურთელის თამაშის ვიდეოჩანაწერი. პირდაპირ გეტყვით — კმაყოფილი ვარ და დიდი სურვილიც გვაქვს, ჯამარაული გადმოვიბიროთ. ჩათვალეთ, რომ „სევილია“ მზად არის და გოჩას ჩამოსვლას ელის. კონტრაქტი, ფაქტობრივად, შედგენილია, თუმცა ზოგი დეტალი ჯერაც დასაზუსტებელია. მწვრთნელი კი ვარ, მაგრამ ჩემს გარდა ჯამარაულის ტრანსფერი სხვათა გადასაწყვეტიცაა. 23-24 დეკემბერს დავსხდებით და ყველაფერს საბოლოოდ გავარკვევთ.

**— ალბათ, სატრანსფერო თანხაზეც ილაპარაკებთ.**

— არა, ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ. ჯამარაულის შესაძენად ფულს არ დავიშურებთ.

**— ძალიან კარგი. მაშ, გოჩას რა გადავცეთ?**

— გადაეცით, რომ ძალიან მოგვეწონა მისი თამაში და დიდი სურვილი გვაქვს, მალე ვიხილოთ ჩვენს გუნდში.

**— „დინამო“ გახსოვთ?**

— სხვათა შორის, სანამ ჯამარაულის თამაშს ვიხილავდი, „დინამოს“ დამარცხების ამბავი გამახსენდა, გამახსენდა ქართველები და თბილისური მასპინძლობაც.



ფერნანდო კასტრო სანტოსი

გოჩაც ტექნიკური ფეხბურთელი იქნება-მეთქი, ვიფიქრე და ვნახე ფირი, რომელმაც მოლოდინს გადააჭარბა, მაშინდელ „დინამოში“ ჯამარაულისნაირი ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, ეგებ ვერც მოგვეგო...

მწვრთნელთან საუბრის მერე უმალ გოჩას შევეხმიანეთ:

— მთავარი ის არის, მწვრთნელს თუ მოვეწონე. ჩემგან კი რა პრობლემა იქნება...

ერთი სიტყვით, ჯამარაულის ესპანურ „სევილიაში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილია. თუ ასე მოხდა, გოჩა პირველი ქართველი იქნება, ვინც ესპანეთში ითამაშებს, თანაც მარადონას ყოფილ კლუბში.

ᲔᲙᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ
ᲙᲝᲑᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ



ვლადიმერ სტეფანია: საქართველოს სიყვარულში ნურავინ შემეჯიბრება

## ვლადიმერ სტეფანია:

### ჯორდანი რომ ათამაშო საქართველოში, ნაკრებს მაინც არაფერი ეშველება

*საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების თავკაცებმა ჩეხეთთან, შვედეთთან და თურქეთთან წარუმატებელი თამაშის ერთ-ერთ მიზეზად ვლადიმერ სტეფანიას ჩამოუსვლელობაც დაასახელეს, აქაოდა, სტეფანია რომ გვყოლოდა, შეხვედრებს მოვიგებდით, მან კი დაგვალალატა, ნაკრებს არ შემოუერთდა და უმისოდ გუნდი უხერხემლოდ გამოიყურებოდაო. არადა, ვლადიმერ სტეფანიას საქართველოს უპირველესი გუნდისთვის არასოდეს უღალატია, კარგა ხნის წინათ სლოვენიელებმა თავიანთ ნაკრებში თამაში რომ შესთავაზეს, ვოვამ უცხოელებს შეახსენა, ჩემი სამშობლო საქართველოაო...*

*ამჯერად სტეფანიამ ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა და ლევან მოსეშვილის რისხვაც დაიტეხა თავს. ამ ამბავს ვოვას ყურამდეც მიუღწევია და, ცხადია, სათქმელიც ბევრი დაგროვებოდა. ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ, ჯერ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელობის ამბავი ვკითხეთ:*

— ახლა უკეთ ვარ, ვარჯიში განვაახლე და ევროლიგის მატჩშიც ვითამაშე „სამარას“ წინააღმდეგ. თუმც მოედანზე ცოტა ხანს დავყავი და „ოლიმპიას“ მხოლოდ რვა ქულა მოვუტანე.

**— „ოლიმპიას“ საქმეები კარგად მიდის, ქვეჯგუფში პირველზე ხართ, სლოვენიის ჩემპიონატშიც ლიდერობთ, საქართველოს ნაკრებმა კი თავი შეირცხვინა. მოსეშვილი შემოგწყრა — სტეფანია არ ჩამოვიდა და წაგების ერთ-ერთი მიზეზიც ეგ იყოო...**

— გავიგე ეგ ამბავი და შეურაცხყოფილიც ვარ. საქართველოს სიყვარულში ნურავინ შემეჯიბრება, ნაკრებისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს, თანაგუნდელებსაც დიდ პატივს ვცემ და მათი დალალატება გულშიც არ გამივლია. მაგრამ როგორ ჩამოვსულიყავი? სიცხიანი ვიწექი, აკი ვუთხარი კიდეც მოსეშვილს, როცა ლიუბლიანაში დამირეკა — ჩემი იმედი ნუ გექნებათ, ავად ვარ და ამჯერად ნაკრებს ვერაფრით დავეხმარები-მეთქი.

**— ვოვა, რომ გეთამაშა, შევძლებდით თუნდაც ერთი მატჩის მოგებას?**

— სტეფანია კი არა, ჯორდანი რომ ათამაშო საქართველოში, ნაკრებს მაინც არაფერი ეშველება. გუნდის ფიასკოს მიზეზები სხვაგან უნდა ვეძებოთ. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, საქართველოში კალათბურთი აღარავის აინტერესებს, გავიგე „ვითას“ ჩემპიონატი მიუტოვებია. ვიცი, კლუბის პრეზიდენტი თემურ დათიკაშვილი კალათბურთზე შეყვარებული კაცია და წარმომიდგენია, როგორი ვითარება უნდა იყოს ჩემპიონატში, ეს ნაბიჯი რომ გადადგა. ჰოდა, ამის მერე შეიძლება იმაზე ლაპარაკი, სტეფანიას არყოფნის გამო წააგო ნაკრებმა თამაშებიო?

**— თებერვალში ლატვიასთან და იტალიასთან ელის ნაკრებს შეხვედრები, თუ დაეხმარები გუნდს?**

— თუ მიმიწვიეს, რა თქმა უნდა, ვითამაშებ. ოღონდ ამით საქმეს არაფერი ეშველება. გვინდა ქართული კალათბურთი ღირსეულად წარმოჩნდეს ევროპაში? მაშინ კეთილი ინებონ და მეტი ყურადღება მიაქციონ მას. ჩემპიონატი ჩემპიონატს დაამსგავსონ და ნაკრებსაც უკეთესი პირობები შეუქმნან.

**— ამერიკაში, სიეტლში აპირებდი წასვლას. ეტყობა, იქ გამგზავრებაც ვერ შეძელი.**

— ავადმყოფობის გამო ნაკრებში ვერ ვითამაშე და ამერიკაში როგორღა წავიდოდი?! სიეტლიდანაც სასიკეთო არაფერი ისმის. ერთსაც გეტყვით, თუ ვინმე ფიქრობს, სტეფანია ლიუბლიანაში დალხენილად ცხოვრობსო, ცდება. „ოლიმპიას“ თავკაცებთანაც ამერია საქმეები. ორი თვეა, ხელფასი არ მოუციათ. რაც „სიეტლ სუპერსონიქსმა“ დრაფტში ამირჩია, ამითვალწუნეს და როცა გაუჭირდებათ, მაშინღა ვახსენდებით ხოლმე.

**— შენც ადექი და სხვა გუნდში გადადი, მით უფრო, რომ „ეფეს პილსენი“ და სხვა სახელიანი კლუბები გეპატიჟებოდნენ.**

— ახლა სხვაგან წასვლა გამორიცხულია. სეზონი რომ დამთავრდება, მერე ვნახოთ. იქნებ მანამდე ნბა-ში ლოკაუტიც დასრულდეს და ამერიკაში წავიდე.

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საქართველოს ჩემპიონატი

8 ტური

12 დეკემბერი. შაბათი

**ᲐᲖᲝᲢᲘ — ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ**

13 დეკემბერი. კვირა

**ᲡᲓᲐᲡᲣ — ᲛᲐᲙᲐᲑᲘ**

**ᲓᲘᲜᲐᲛᲝ — ᲗᲡᲣ**

იხილეთ მეცხრე გვერდი

# იღბლიანი და უიღბლო

*დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ყოველ შესარჩევ ტურნირს ქართველი გულშემატკივარი იმედით ხვდება, მაგრამ ეს იმედი მალე იფერფლება, ბოლოს კი სულაც ქრება.*

*ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ მიღწევად ბოლო პერიოდში 1997 წელს პორტუგალიაში 18 წლამდელთა ნაკრების მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებში გამარჯვება ითვლება. მაშინ ჩვენებს იღბალიც წაეხმარა, ფინალში მასპინძლები პენალტების სერიით დაამარცხეს. თუმცა ის წარმატება, უპირველეს ყოვლისა, ნაკრების თავკაც ვახტანგ კოპალეიშვილის დამსახურებაა. დღესდღეობით კოპალეიშვილი ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მწვრთნელია. ეს მან საქმითაც არაერთხელ დაუმტკიცებია. მისი ნაკრები ახლაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძვის. შესარჩევ ქვეჯგუფში გამარჯვების შემდეგ ამ მიზნის მისაღწევად კოპალეიშვილის შევირდებს ერთი ნაბიჯიღა დარჩათ — გაზაფხულზე ჩეხეთის ნაკრებს თუ დაამარცხებენ, წადილსაც აისრულებენ. როგორ ემზადება ნაკრები, რა გეგმები აქვს მას — სწორედ ამაზე ვესაუბრეთ ვახტანგ კოპალეიშვილს.*

— ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ მზადების პირველ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ის საკონტროლო მატჩები, რომლებიც ნოემბრის ბოლოს გავმართეთ თბილისში. რაიონებიდან ჩამოვიყვანეთ ყველა ნიჭიერი ფეხბურთელი და კიდევ ერთხელ შევამოწმეთ ისინი. ამ თამაშებმა დამარწმუნა, რომ გვყავს პერსპექტიული ბიჭები, რომლებიც უკვე ნაკრების კანდიდატებადაც ითვლებიან. მათი შესაძლებლობები კარგად დავინახე და აუცილებლად გამოვიყენებ.

გუნდის ძირითადი ბირთვი უკვე გამოიკვეთა, თუმც არის ხარვეზებიც, რომელთა გამოსასწორებლადაც მოვიწვევთ სწორედ ახალ კანდიდატებს.

**— რამდენი ფეხბურთელი დატოვეთ იმ გუნდიდან, რომელმაც შარშან პორტუგალიაში მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები მოიგო?**

— ნაკრების დღევანდელ ბირთვს ისინი შეადგენენ, ვინც პორტუგალიაში ქვეყნის ღირსებას იცავდა. ამ ბიჭებს დავამატეთ ხიზანეიშვილი, გვაზავა და მეკარე ბედიაშვილი. აბრამიძე შარშან რუმინეთში გაგვიძევეს და ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. სასჯელის ვადა უკვე ამოიწურა და ჩეხეთთან, ალბათ, აბრამიძესაც დავაბრუნებთ გუნდში. ასე რომ, ცვლილებები ძალიან უმნიშვნელოა.

**— ყველაზე მეტად რომელ სათამაშო რგოლს გამოარჩევდით?**

— უნგრეთში ყველა რგოლმა ძალიან ძლიერად ითამაშა. მაგალითად, ბულგარეთთან აუცილებლად გამარჯვება გვჭირდებოდა. ის თამაში 2:1 მოვიგეთ. პირველი გოლი მცველმა მენთეშაშვილმა გაიტანა, მეორე ჯაკობიამ. ყველა იმდენად მონდომებული იყო, მიჭირს რომელიმეს გამოყოფა.

**— უნგრეთში ქვეჯგუფის მეორე მატჩი მასპინძლების წინააღმდეგ გამართეთ...**

— ბულგარეთის ნაკრების დამარცხების შემდეგ უნგრეთთან ფრეც გვაწყობდა. ჩვენც ყოველგვარი გაჭირვებისა და ვნებათაღელვის გარეშე მივაღწიეთ სასურველ შედეგს. ისე, მოგებაც შეგვეძლო. თავიდან კარის უსაფრთხოებაზე ვზრუნავდით. მეტოქე მთელი გუნდით გვიტევდა. მატჩის ბოლოს მათი მცველები ძალიან დაიღალნენ, რადგან შეტევებში ხშირად ერთვებოდნენ. მაშინ მინდორზე, მასპინძელთათვის მოულოდნელად, ორი თავდამსხმელი შევიყვანე. გაგუამაც და კორღალიძემაც სახიფათო მომენტები შექმნეს, მაგრამ გოლის გატანა ვერ შევძელით.

**— როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა პოტენცია დღევანდელ ნაკრებს?**

— ნამდვილად აქვს. გუნდის ფეხბურთელთა უმეტესობა ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში თამაშობს. იგივე ბათიაშვილი, მენთეშაშვილი, კორღალიძე, არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, თითქმის ყველა ეროვნულ ჩემპიონატში იძენს გამოცდილებას. ჯაკობია კი, მოგეხსენებათ, ბელგიაში, კერძოდ ლიეჟის „სტანდარდშია“. ეს მის კლასსაც ეტყობა. ღრმად მწამს ამ ბიჭებს ბევრის მიღწევა ძალუძთ.



ვახტანგ კოპალეიშვილი ევროპის ჩემპიონატს უმიზნებს

**— მოსკოვში ამ ზაფხულს გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებს დავუბრუნდეთ. პორტუგალიისგან განსხვავებით, მოსკოვში ნაკრებმა ვერ შეძლო იმ წარმატების მიღწევა, რომელსაც ქომაგები ელოდნენ. მაინც რამ გამოიწვია რუსეთის ნაკრებთან მეოთხედფინალურ მატჩში მარცხი?**

— საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებს პორტუგალიაში გამარჯვების შემდეგ რუსეთში ჩასვლამდე არ გაუმართავს არც ერთი შეკრება. ეს შეიძლება სასაცილოც არის, მაგრამ უფრო სატირალია. ბავშვთა ფეხბურთში ბოლო დროს ასეთი დიდი წარმატებისთვის არ მიგვიღწევია, ამის შემდეგ კი არანაირი პირობები გუნდს არ შეექმნა. რუსეთში ჩვენს ჯგუფში იყვნენ თურქეთი, აშშ და პოლონეთი. აშშ-სა და პოლონეთს მოვუგეთ, თურქეთს, რომელიც შემდეგ ფინალშიც გავიდა, ათი კაცით ფრედ ვეთამაშეთ. ჯგუფიდან პირველები ჩვენ გავედით და თანაც ისე, რომ გოლი არ გაგვიშვია. ამის შემდეგ მეოთხედფინალში რუსეთს შევხვდით. რუსეთთან წინასწარვე წასაგებად ვიყავით განწირულნი. საერთოდ მსაჯებზე მარცხის გადაბრალება არ მიყვარს და არც მჩვევია, მაგრამ თურქეთთან მატჩში მინდვრიდან უსამართლოდ გაგვიგდეს ხიზანეიშვილი. ეს, ალბათ, წინასწარაც იყო ჩაფიქრებული. მიუხედავად ამისა, გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა. შეხვედრა თანაბრად მიმდინარეობდა, რუსეთის ნაკრებს 83-ე წუთამდე ვუგებდით, შემდეგ კი მსაჯების ხელშეწყობით 1:2 წავაგეთ. ვიდრე ბურთს გავუშვებდით მეორე გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა მოგვეცა, მაგრამ იღბალმა გვიმტყუნა. მატჩამდე ვაგიზ ხიდიატულინი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თქვენი ძალიან ეშინიათო. შეიძლება ითქვას, ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს. 83-ე წუთზე გაშვებულმა გოლმა კი ისინი გატეხა. ამ მატჩს ვალენტინ ივანოვის ვაჟი მსაჯობდა და ჩვენი სიმპათია რომ არ ექნებოდა, ცხადია. ამ შეხვედრაში ხიზანეიშვილის გარდა გვაკლდა ბობოხიძეც, რომელიც ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. ესენი რომ გვყოლოდნენ, დარწმუნებული ვარ, სულ სხვაგვარი თამაში იქნებოდა.

**— მიხეილ ბობოხიძე ახსენეთ და რა კომენტარს გაუკეთებდით, მისსა და ჯაბა თავბერიძის თურქეთში სტაჟირებაზე წასვლას, რომელიც ლამის ტრაგიკულად დასრულდა.**

— ორივე ძალიან ნიჭიერი ბავშვია და მე ისინი თურქეთისთვის არ მემეტებიან. ბოლო დროს ყველა მშობელი და თავად ბავშვებიც იმას ცდილობენ, როგორმე ფული იშოვონ. ეს არასწორი მიდგომაა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მათ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იშრომონ, მომწიფდნენ, გარკვეული სკოლა გაიარონ და როდესაც სრულფასოვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდებიან, წასვლაზე შემდეგ იფიქრონ.

**— საბოლოო ვადები თუ გაირკვა, როდის გიწევთ ჩეხეთთან მატჩების ჩატარება?**

— ცოტა ხნის წინ ჩეხებმა გამოგვიგზავნეს ფაქსი, 21 აპრილსა და 11 მაისს თამაში შემოგვთავაზეს. ჩვენ დავთანხმდით და უეფას შევატყობინეთ. ახლა მათზეა დამოკიდებული, თუ მოიწონებენ, მაშინ 21 აპრილს ჩეხეთს ვეწვევით, 11 მაისს კი ისინი გვესტუმრებიან. 28 აპრილს საქართველოს ეროვნული ნაკრები ნორვეგიას მასპინძლობს და 21 აპრილს თამაში ამიტომ გადავწყვიტეთ. ხომ შეიძლება, რომელიმე ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებში გამოემახათ. მაშინ ჩეხეთში შესუსტებული გუნდით მოგვიწევდა წასვლა. 11 მაისს სად ვითამაშებთ, ჯერჯერობით არ ვიცით. სულ ოთხი ვარიანტია: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი, რადგან უეფას მოთხოვნებს სწორედ ამ ქალაქების სტადიონები აკმაყოფილებენ. საბოლოოდ სადაც გუნდისთვის აჯობებს, იქ ვითამაშებთ.

**— ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ მზადებას კონკრეტულად როდის იწყებთ? შეკრებები, საკონტროლო თამაშები ან რომელიმე ტურნირში მონაწილეობა ხომ არა გაქვთ დაგეგმილი?**

— ზუსტი რიცხვები ჯერჯერობით უცნობია. ალბათ, იანვრის ბოლოს შევიკრიბებით. ვეცდები, შეკრება თებერვალ-მარტშიც გავაგრძელო, რათა ბიჭები ჩემს ხელში იყვნენ და სათანადოდ მოემზადონ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია შეგვპირდა, რომ სავარჯიშოდ კარგ პირობებს შეგვიქმნის. გარდა ამისა, ჩაფიქრებული აქვს, მწვრთნელები რამდენიმე კვირით, რომელიმე საფეხბურთო სკოლაში გაგვაგზავნოს სტაჟირებაზე. საუბარია კიოლნის ან „აიაქსის“ საფეხბურთო სკოლაზე. რაც შეეხება საკონტროლო თამაშებს, ბატონი მერაბის ხელშეწყობით, ალბათ, ერთ-ერთ ტურნირშიც მივიღებთ მონაწილეობას. გუნდის კარგად მოსამზადებლად ეს აუცილებელია.

**— ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

— უპირველეს ყოვლისა, იმის თქმა მსურს, რომ ჩეხეთის ეროვნული ნაკრები არც ისეთი სუსტია, როგორც ზოგს ჰგონია. ისინი შესარჩევ ჯგუფში სომხეთთან და უკრაინის ნაკრებებთან იყვნენ. ორივე მატჩი ჩეხებმა ერთნაირი ანგარიშით 2:1 მოიგეს, არადა, თავიდან ორივეს აგებდნენ. უკრაინის ნაკრებთან უკრაინაში პირველ ტაიმს 0:1 რომ წააგებ, მაგრამ შეხვედრას საბოლოოდ მოიგებ, ბევრ რამეზე მეტყველებს. ჩანს, ჩეხები ფიზიკურად ძალიან ძლიერები არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ზედიზედ ორ მატჩს ბოლო წუთებზე ვერ მოიგებ. კარგი ფიზიკური მომზადების გარდა, ეს გუნდის კარგ ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ მზადყოფნასაც ადასტურებს. ჩეხებზე ინფორმაცია უნგრელებმაც მოგვაწოდეს, რომლებმაც ჩვენთან შეხვედრამდე სწორედ მათთან გამართეს ამხანაგური მატჩი. მერაბ ჟორდანია კასეტასაც დაგვპირდა, რომელსაც უკრაინელი კოლეგები გამოუგზავნიან. საერთოდ კი ნაკრები მინდორზე საბრძოლო განწყობით გავა. ჩემს სამწვრთნელო კარიერაში არ ყოფილა შემთხვევა, გუნდი წაგებას შეგუებული გასულიყოს მინდორზე და ეს არც ჩეხეთში მოხდება. მით უმეტეს სულაც არ არიან უძლეველნი.

**ვანო ოქროპირიძე**

## შემცვლელზე ნაკრებს მწვრთნელი?

საქართველოს 16 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, რომელიც წლეულს ავსტრიაში გაიმართა, ვერ მოახერხა ქვეჯგუფიდან გასვლა და ბუნებრივია ვერც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. ჩვენმა ჭაბუკებმა ჯგუფში დათმეს შეხვედრები ავსტრიელ და ბერძენ თანატოლებთან, ხოლო აზერბაიჯანელებს 1:0 მოუგეს.

გუნდის მწვრთნელს ოთარ შენგელიას, მომავალი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა მოუწევს — მისი 16-წლამდელთა ნაკრები ხომ 1982 წელს დაბადებული ჭაბუკებისგან შედგებოდა და რაკი მომავალი ციკლისთვის ისინი უკვე გადაზრდილები იქნებიან, ნაკრები 83-წელს დაბადებული ფეხბურთელებისგან უნდა დაკომპლექტდეს.

ცნობილი გახდა ისიც, რომ საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრების თავკაცობაზე, 35-ე საფეხბურთო სკოლაში მომუშავე ოთხი მწვრთნელი აცხადებს პრეტენზიას. მათ შორისაა ოთარ შენგელიაც, რომელსაც დანარჩენ სამ კანდიდატთან შედარებით, თანამდებობის შენარჩუნების მეტი შანსი აქვს. თუ ვინ იქნება ნაკრების ხელმძღვანელი, ამას ფეხბურთის ფედერაციაში გასამართ აღმასკომის სხდომაზე გადაწყვეტენ, რომლის ჩატარების ვადასაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ჟენევიდან ჩამოსვლისთანავე დაადგენენ. აღმასკომის სხდომაზე ამ საკითხთან ერთად კიდევ ბევრ აქტუალურ საკითხს განიხილავენ.

**გიორგი ვაშაძიძე**

## სამშაბათს, საღორიაზე

ქუთაისის „ტორპედო“ 16 დეკემბრიდან მეორე წრისთვის ინტენსიურ მზადებას იწყებს. მანამდე საღორიის საწვრთნელ ბაზაზე კლუბის მნიშვნელოვანი კრება ჩატარდება, რომელზეც გუნდის შინაური საქმეები განიხილება. როგორც იცით, რამდენიმე ტორპედოელს საკონტრაქტო ვადა ამოეწურა და ხელმძღვანელობა მათთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს. კრების მოლოდინში არიან აგრეთვე ამჟამად ქუთაისში მყოფნი, სოჭის „ჟემჩუჟინაში“ მოთამაშე გიორგი გოგიაშვილი და ყოფილი ტორპედოელები — შალვა ხუჯაძე და მამუკა ხუნდაძე.

„ტორპედოს“ მესვეურთა და ფეხბურთელთა საქმიანი შეხვედრა კი ნაცვლად 12-ისა 15 დეკემბერს გაიმართება.

**ხვიჩა სანიძიძე**

## ზამთარია. სიცივეა...

გასაგებ მიზეზთა გამო გაზაფხულამდე საქართველოს გუნდების უმრავლესობა, ალბათ, მზადებას ჩვენს მიწა-წყალზე გაივლის. ზოგიერთებს კი ევროპაში გასამგზავრებელი სახსრებიც აღმოაჩნდათ. „ტორპედოს“ თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის ვარიანტები დაუგეგმავს. რაც შეეხება „დინამოს“ ამჯერად, როგორც ჩანს, ტრადიციას დაარღვევს ჩრდილოეთში არასახარბიელო მეტეოროლოგიური პირობების გამო და ევროპის ერთ-ერთ თბილ ქვეყანას ესტუმრება. კერძოდ რომელს, ამას უახლოეს დღეებში გაარკვევენ.

**პაატა კვანტალიანი**



გიო ახვლედიანის სვეტი

## თანხა

როგორია ქართული ფეხბურთი?

იტყვიან, რომ დღეს ცუდია, გუშინ კი კარგი იყო. მაგრამ ამას სულაც არ ვგულისხმობ და ალბათ, კითხვაც ბუნდოვანი გამომივიდა.

უკეთესი იქნებოდა მეკითხა, ვინ არის ქართველი ფეხბურთელი დღეს? რა სტატუსის კაცია? რას აძლევს მას ფეხბურთი და რას გაიღებს იგი ამ თამაშისათვის?

სტატუსით ქართველი ფეხბურთელი პროფესიონალი არ არის, მაგრამ არც მოყვარულია. დღეს ჩვენს ფეხბურთს შუალედური „არასამოყვარულო“ ჰქვია. ფეხბურთელებს კი „არამოყვარულები“. ეს არის „არც იქით, არც აქეთ“ მდგომარეობა, საკმაოდ გავრცელებული ევროპის პატარა და ზოგჯერ არცთუ პატარა ქვეყნებში. ჩვენთან კი არ არსებობს კანონი პროფესიონალი სპორტსმენის შესახებ.

ეს ამბავი გამახსენა იმან, რითაც ჩვენი ფეხბურთის რეფორმა უნდა დაიწყოს, ანუ 200 ათასმა დოლარმა. თუ გინდა, რომ პირველი ჯგუფის კლუბი გერქვას, 200 ათასი დოლარი უნდა გქონდეს. აქ შეიძლებოდა ხუმრობა იმის თაობაზე, რომ თუ 200 ათასი დოლარი მაქვს, პირველ ჯგუფში საერთოდ არაფერი მესაქმება, მაგრამ ჩვენ იმდენხანს ველოდით რაიმე ცვლილებას, რეფორმის დასაწყისს ქართულ ფეხბურთში, რომ ხუმრობა სულაც არ არის საჭირო.

200 ათასის მოთხოვნა ჭეშმარიტად კაპიტალისტური ნაბიჯია. ქვეყანაც აქეთკენ მიემართება. პირველი ჯგუფის კლუბს მართლაც არ უნდა ეცვას სხვა ქვეყნის მესამე ჯგუფის გუნდის სამოსი, სტადიონი სტადიონს უნდა ჰგავდეს და არა ბოსტანს, ბურთი ნათხოვარი არ უნდა იყოს, მსაჯთა ოთახში არყის ბოთლები არ უნდა ეყაროს და ა.შ.

მოთხოვნა სწორია. როდემდე უნდა იყოს ლაპარაკი ავტობუსის ვერშოვნაზე, საბურავის გახეთქვასა და საათის გაჩერებაზე.

მაგრამ, სხვაგვარად, რამდენი ქართული კლუბი შეძლებს ამის მოხერხებას? ძველ ფედერაციას სულ იმას ვუჩიჩინებდით, რომ პირველი ჯგუფის კლუბების რაოდენობა უნდა შევამციროთ. მე დღესაც ასე მგონია, რომ ათი კლუბზე მეტი პირველ ჯგუფში არ უნდა იყოს. მაგრამ ახლა მგონია, რომ პირველ ჯგუფში ოთხი-ხუთი კლუბი დარჩება. თუმცა, ფედერაციას ეგებ დათვლილიც კი ჰქონდეს ვინ გადამხდელია და ვინ არა და 200 ათასიც ამიტომ დაასახელა. მაგრამ ეს თანხა მაინც გრანდიოზულად მეჩვენება ქართული კლუბებისთვის, რომლებიც არაფორმალურად კი მისდევენ პროფესიონალიზმს რაღაცით მიმსგავსებულ საფეხბურთო მეურნეობას, მაგრამ რა გამოდის ამ მეურნეობიდან ყველანი ვხედავთ.

ამიტომ — ძალიან საეჭვოა, რომ რაიმე ისე მოწესრიგდეს, რომ კლუბების სასურველი რაოდენობა უპრობლემოდ მოგროვდეს მოწესრიგებული სტადიონებით, სარეკლამო ფასებით და ნამდვილი თამაშით. აქ პროფესიონალიზმი არ არის, ნახევარ წელიწადში კი აბა რა უნდა მოესწროს?

მგონია, რომ ჯობდა ფედერაციას ახლო მომავლის რომელიმე თარიღი დაეთქვა, ვთქვათ, 2000-01 წლების სეზონისთვის დაეგეგმა ეს 200 ათასი, მანამდე კი რამე სავალდებულო გრაფიკი, თუ გეგმა შეედგინა კლუბების და სტადიონების მოწესრიგებისა, რაც ასე, თუ ისე, ჩაეტეოდა მომავალ სეზონში.

ასე კი, რა ვიცი, ხალხმა რომ თავი მოიკლას, 200 ათასი შეაგროვოს და ამ თანხის უკან არ იდგეს ფეხბურთი და პროფესიული მეურნეობა, რა გამოვა?

# ლიგა და უეფა ხვალ

ჩემპიონთა ლიგაში, მომავალი სეზონიდან 32 გუნდი ითამაშებს, ხოლო უეფას თასს 121 მაძიებელი ეყოლება — უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვეტილება მიიღო და ბეჭედი დაუსვა.

ახლა უკვე საბოლოოდ გახლავთ დადგენილი, რომ ევროპული საკლუბო ფეხბურთის ახალი ცხოვრება 1999 წლის 19 ივნისს ინტერტოტოს თასის გათამაშებით დაიწყება და მისი პირველი სეზონი 2000 წლის 24 მაისს, ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრით დასრულდება.

ჩემპიონთა თასის ფინალიდან 17 დღეში ბელგიასა და ჰოლანდიაში ევროპის ჩემპიონატი უნდა გაჩაღდეს.

ამრიგად, თასების მფლობელთა თასის გათამაშება, რომელიც „ბებერ კონტინენტს" 1960-61 წლების სეზონიდან ამშვენებდა, ისტორიას ბარდება. იგი უეფას თასს შეერწყმება.

„მოხარული ვარ, რომ მოლაპარაკებებმა შედეგი გამოიღო და დღევანდელ საფეხურზე აგვიყვანა. გვირაბის ბოლოს სინათლე უკვე გამოჩნდა. მთავარი საკითხები გადაწყვეტილია, ამიერიდან ახალ სტატუსთან და კოეფიციენტებთან დაკავშირებულ წვრილმანებზეღა დაგვრჩა სამსჯელო" — განაცხადა უეფას გენერალურმა მდივანმა.



გერჰარდ აიგნერი

ორ შეჯიბრებაში, თუ დავაჯამებთ, 526 მატჩი გაიმართება. უეფას თასის შეხვედრები აქამდე ხან ორი, ხანაც სამკვირიანი ინტერვალით ეწყობოდა (ეტაპებს შორის შუალედი სამი კვირა გახლდათ, თითოეული ეტაპის ორ შეხვედრას შორის კი ორი კვირა), ხოლო მომავალი სეზონიდან ყოველ კვირას მოეწყობა.

აღმასკომის სხდომაზე კიდევ რამდენიმე სიახლე ითქვა. კერძოდ, ჩემპიონთა ლიგის რვა, ოთხგუნდიან ჯგუფებში მესამე ადგილზე გასულნი მხოლოდ ეროვნული პირველობების ამარა აღარ დარჩებიან. ისინი მართალია ლიგაში ბრძოლას გამოეთიშებიან, მაგრამ, სამაგიეროდ უეფას თასზე გადაინაცვლებენ. ევროშეჯიბრებებს მხოლოდ მეოთხედფინალოსნები გამოეთიშებიან.

„ფეარ პლეის" კონკურსში გამარჯვებულ სამ გუნდს დართავენ კონტინენტის უძლიერესებთან ჭიდილის ნებას.

მოკლედ, ჩემპიონთა თასის გათამაშებაში თავიადნ 72 გუნდი ჩაებმება, რომელთაგან 40 ივლის-აგვისტოში დანიშნულ წინასწარ, საკვალიფიკაციო ეტაპებს ემსხვერპლება. „მსხვერპლთაგან" ის 16, რომელიც მესამე შესარჩევ ეტაპზე გამოეთიშება შეჯიბრებას, უეფას თასზე გადავა.

როგორც მოგახსენეთ, ლიგის ჯგუფურ ეტაპში მონაწილეობას 32 გუნდი მიიღებს. მათგან 16 შესარჩევი რაუნდების დაძლევის გზით მოხვდება გათამაშების ძირითად სტადიაზე, დანარჩენი 16 კი ყოველგვარი შერჩევის გარეშე, პირდაპირ იქ დახვდება შემატებულთ.

შემდეგ, ამ 32 გუნდს კენჭისყრა რვა ჯგუფში ოთხ-ოთხად დაალაგებს. ჯგუფებში გაიმართება წრიული შეჯიბრება. პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები მორიგ ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებენ, მესამენი კი, როგორც ზევით მოგახსენეთ, უეფას თასზე გადაინაცვლებენ.

ჯგუფებიდან შემდგომ ეტაპზე გასულ 16 გუნდს (8 ჯგუფის ორ-ორი საუკეთესო) ხელახლა, ოთხ, ოთხგუნდიან ჯგუფად დაყოფენ, ესე იგი, დღევანდელი სისტემისგან განსხვავებით, ახალი სეზონიდან, ჩემპიონთა ლიგაში ორი ჯგუფური ეტაპი გაიმართება.

ოთხი ჯგუფის გამარჯვებული და მეორე ადგილებზე გასულები ანუ რვა გუნდი, მეოთხედფინალისტები გახდებიან. მეოთხედფინალები, ისევე როგორც ნახევარფინალები, ორი, შინ და სტუმრად ჩასატარებელი მატჩისგან იქნება შედგენილი.

ფინალი, როგორც წესი და რიგია, ერთმატჩიანი იქნება.

გამოდის, რომ ფინალისტი გუნდი, თუ მან შეჯიბრება ჯგუფური ეტაპიდან დაიწყო, 17 შეხვედრას ჩაატარებს, ხოლო თუ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან — 23-ს.

ახლა, უეფას თასის სისტემის ცვლილების შესახებ.

1999 წლის აგვისტოში, შესარჩევ ეტაპს 82 მონაწილე დაიწყებს. ამ გუნდების ნახევარი, ცხადია, გამოეთიშება შეჯიბრებას, გამარჯვებულებს (41 გუნდს) კი დაემატება ჩემპიონთა თასის მესამე საკვალიფიკაციო სტადიიდან გამოვარდნილი 16 გუნდი, უეფას თასის მფლობელი, რეიტინგით 17 უძლიერესი ქვეყნის ეროვნული თასის მფლობელი, უძლიერესი ქვეყნების სხვა გუნდები და ინტერტოტოს თასიდან გასული სამეული.

ამრიგად, დაგროვდება 96 გუნდი, რომლებიც ჩვეულებრივ, ნაცნობი სისტემით ჩაატარებენ პირველ და მეორე ეტაპებს.

ორი ეტაპის შემდეგ შეჯიბრებას შემორჩება 24 გუნდი (ჯერ 96-ს მოაკლდება ნახევარი, მერე დარჩენილ 48-ს), რომელთაც შეემატება ის რვა, ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან მესამე ადგილებზე გასვლის გამო რომ გადაინაცვლებენ უეფას თასზე.

შეჯიბრება ჩვეულებრივი სისტემითვე გაგრძელდება (ორი შეხვედრის ჯამში წაგებული ვარდება). ფინალი 2000 წლის 17 მაისს გაიმართება.

მაშ ასე, ევროთასების ახალი ფორმატი გარკვეულია. გასარკვევი, უფრო სწორად დასაზუსტებელი, დარჩა ასეულობით მილიონი დოლარის განაწილების ამბავი, სად წავა შეჯიბრებათა მიერ მოტანილი დიდძალი ფული?

გეხსომებათ, რომ სწორედ თანხების განაწილების ნაკლოვანი მხარეებით ისარგებლა მილანურმა ფირმამ „მედია პატნერზმა", როდესაც საუკეთესო კლუბთა უეფასგან მოწყვეტა და სუპერლიგის ჩამოყალიბება განიზრახა.

„საბოლოო გადაწყვეტილება ძალიან ნელა და ფრთხილად უნდა მივიღოთ" — განაცხადა შეჯიბრებათა რესტრუქტურიზაციის ხელმძღვანელმა გვიდო ტონიონიმ — „ჩვენ პატარა მაღაზიის გახსნაზე როდი ვმსჯელობთ, საუბარი ევროპული ფეხბურთის რევოლუციას ეხება, ასეთ დროს კი ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია".

„ფული ისე უნდა გავანაწილოთ, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. ბუნებრივია, ამას დრო დასჭირდება, მაგრამ უკვე უეჭველია, რომ საბოლოოდ ყველაფერი რიგზე იქნება" — დასძინა აიგნერმა.

მოამზადა
მიხეილ სურგულაძემ

# მწვრთნელთა დისეზგა




მორტენ ოლსენი

გაზაფხულზე ევროშეჯიბრებები ჰოლანდიური კლუბების გარეშე გაგრძელდება. ბოლო ათწლეულში ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა, 1990-91 წლების სეზონში. მას შემდეგ კლუბები ტიტების ქვეყნიდან ევრო[illegible]რნირების მეოთხედფინალებში მუდამ მონაწილეობდნენ. ახლა კი...

„შესანიშნავი დამშვიდობება" — წერდა „დე ტელეგრაფი" „ეინდჰოვენის" ჩემპიონთა ლიგიდან გამოთიშვის შემდეგ. თუ გაზეთმა ბობი რობსონის გუნდი ასე თუ ისე მაინც შეაქო, „აიაქსი" მიწასთან დრჩა გასწორებული. ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელთა პორტუში განადგურების შესახებ თითქმის ყველა ჰოლანდიურ გაზეთში დაიწერა.

ნუთუ ჰოლანდიურ საკლუბო ფეხბურთში კრიზისია? ალბათ, რადგან ევროტურნირებიდან ყველა გუნდის გამოთიშვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გუნდები ცუდად თამაშობდნენ, ისე ცუდად, როგორც არასდროს.

ქვეყნის ფეხბურთი მუდამ სამ კლუბს — „აიაქსს", „ეინდჰოვენს" და „ფეიენოორდს" ეყრდნობოდა. თუ რომელიმე ჰოლანდიურ კლუბს ბებერ კონტინენტზე რაიმე წარმატებისთვის მიუღწევია, უპირველესად ეს სამნი ყოფილან. ერთი სიტყვით, ზემოჩამოთვლილი სამეული ქმნიდა ჰოლანდიური საკლუბო ფეხბურთის მდიდარ ისტორიას.

ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე „ეინდჰოვენმა" და „აიაქსმა" მეოთხედფინალში ვერ გაალწიეს. ამის შემდეგ სრულიად ლოგიკური იყო, რომ გუნდების მწვრთნელებს თანამდებობის დაკარგვის საფრთხე დაემუქრათ.

დედაქალაქელებით დავიწყოთ.

„ოლსენი-წაგება!" — შესანიშნავ „ამსტერდამ არენაზე" უკვე გამოჩნდა ტრანსპარანტები ამგვარი წარწერებით. ლოგიკურიცაა — გუნდს, რომელმაც ჰოლანდიის ჩემპიონატი გასულ სეზონში ლამის „ცალი ფეხით" მოიგო, წლეულს ველარ იცნობთ. დღესდღეობით „აიაქსი" საშინელ კრიზისშია. ამაში, უპირველეს ყოვლისა, გუნდის დანიელ თავკაც მორტენ ოლსენს ადანაშაულებენ და თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ სეზონის შემდეგ ამსტერდამული კლუბის დატოვებას რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აპირებს, ოლსენის გადაყენების მოთხოვნა მოულოდნელი სულაც არ იქნება.

ჯერჯერობით გუნდის ხელმძღვანელობა დუმს, არაფერია გარკვეული და სეზონის ბოლომდე, ალბათ, ბურუსი არც გაიფანტება. რაც შეეხება იმას, თუ ვინ აპირებს „აიაქსის" დატოვებას, მათი ვინაობა მაისში გაირკვევა, ისე კი ახლავე ცნობილია, რომ ძმები დე ბურები სადმე სხვაგან წავლენ, ვან დერ სარი კი, ალბათ, „მანჩესტერ იუნაიტედში" პიტერ შმაიხელს შეცვლის.

მთავარი მაინც მწვრთნელია.

„ეინდჰოვენში" ბობი რობსონს უკვე განუცხადეს, რომ ახალი სეზონიდან სამუშაოს მოძებნა მოუწევს. ჩამთავრდება თუ არა ეს სეზონი, ინგლისელ მწვრთნელს ბელგიელი ერიკ გერეტსი შეცვლის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ბელგიის ნაკრებისა და „ეინდჰოვენის" მცველი.

— გაისად „ეინდჰოვენში" გადავალ. კლუბს სიტყვა მივეცი და მათთან გადავბარგდები, თუმც მანამდე ვეცდები, „ბრიუგეს" ჩემპიონის ტიტული კიდევ ერთხელ მოვუტანო — განაცხადა ერიკ გერეტსმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში. მისი „ბრიუგე" ახლა ქვეყნის ჩემპიონატს ლიდერობს და, ალბათ, არავის დაუთმობს პირველობას.

ბოლო წლებში გერეტსმა ბევრი კლუბისგან მიიღო მოწვევა. მწვრთნელმა 1997 წელს „ლიერსს" მოაგებინა ბელგიის ჩემპიონატი, 1998-ში კი „ბრიუგეს". ამ სეზონშიც პირველობას აპირებს და განა ყოველივე ამის შემდეგ ვერ შენიშნავდნენ? შენიშნეს და მიიწვიეს კიდეც. „შტუტგარტი" ეწადა მის გადაბირებას, მაგრამ გერეტსმა „ეინდჰოვენი" ირჩია. 1985-92 წლებში, ფეხბურთელობისას, გერეტსი სწორედ „ეინდჰოვენში" თამაშობდა.

მორიგი სეზონის დაწყებამდე მართლაც შორია. ყველაფერი ზაფხულში გაირკვევა.

ირაკლი ილაშვილი

# არსენალი უსპონსოროდ დარჩა

ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი ლონდონის „არსენალი" მიმდინარე სეზონის ბოლოს სპონსორის გარეშე დარჩება. მთელს მსოფლიოში ცნობილი ელექტროტექნიკის მწარმოებელი იაპონური ფირმის JVC-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღარ სურთ ინგლისურ კლუბთან თანამშრომლობა, ვინაიდან ამიერიდან მთელ ყურადღებას აზიურ სპორტზე გადაიტანენ. კერძოდ, JVC-ის გადაწყვეტილი აქვს, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის (იაპონიასა და სამხრეთ კორეაში გაიმართება) ერთ-ერთი მთავარი სპონსორი გახდეს.

„არავითარ ფინანსურ უთანხმოებას თუ რაიმე სხვა პრობლემას ადგილი არ ჰქონია, უბრალოდ, ამ ფირმამ თავისი საქმიანობის განსხვავებული გზით წარმართვა ისურვა" — აღნიშნა საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე „არსენალის" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა.

ასე რომ, ლონდონური კლუბისა და იაპონური ფირმის 18-წლიანი, ინგლისურ ფეხბურთში ყველაზე გრძელვადიანი, სარეკორდო თანამშრომლობა მალე დასრულდება და „არსენალსაც" ახალი სპონსორის პოვნა მოუწევს.




ტონი ადამსს და ემანუელ პეტის ჯერ კიდევ JVC ასპონსორებს

# როდესაც მასპინძელი მაღლა დგას

გერმანული ფეხბურთის წინაშე მეტოქეთა დამსახურებები და ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. მიუნხენის „ბაიერნი" არსებობის ყოველ წელიწადს სულ უფრო ამდიდრებდა



ლევერკუზენელთა მწვრთნელ კრისტოფ დაუმს „ბაიერნის" მენეჯერის ული ჰოენესის ნათქვამი არ სიამოვნებს

ქვეყნის საფეხბურთო ისტორიას, ლევერკუზენის „ბაიერი" კი სხვებთან შედარებით ჩრდილში ექცეოდა. ისიც არსებობდა, თამაშობდა, ილვწოდა, და მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულამდე დროდადრო თუ გაიელვებდა გერმანული ფეხბურთის კაბადონზე.

დღეს ვითარება გარკვეულწილად შეიცვალა — „ბაიერნი" იმადვე დარჩა, რაც მანამდე იყო, ლევერკუზენის კლუბმა კი პროგრესი განიცადა. „ბაიერი" დღესდღეობით გერმანული ფეხბურთის სახე და ბუნდესლიგის ერთ-ერთი სიამაყეა. რამდენიმე წლის წინ „ბაიერნის" უპირველესი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დორტმუნდის „ბორუსია" იყო ორი სეზონის მანძილზე დორტმუნდიდან წასულმა საფრთხემ კი ლევერკუზენში გადაინაცვლა.

კვირას ბუნდესლიგის უპრინციპულესი მატჩია — მიუნხენში, ოლიმპიურ სტადიონზე „ბაიერნი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს.

— ისინი ჩვენთან ახლოსაც ვერ მოვლენ. როგორც გინდათ, ისე გაიგეთ, „ბაიერნი" უფრო მაღლა დგას, ვიდრე „ლევერკუზენი". ასე იყო, ასეა და ასეც იქნება — ძნელი მისახვედრი არაა, ეს ვისი სიტყვებიცაა. როდემდე უნდა ითმინონ „ბაიერნის" მენეჯერის დამცინავი და ქედმაღლური გამონათქვამები ბუნდესლიგის კლუბებმა. ალბათ, მანამდე, სანამ „ბაიერნს" ოლიმპიურ სტადიონზე ცხვირს არ წაატეხინებენ.

ლევერკუზენის იმედი ბევრს აქვს. პატარა ინდუსტრიული ქალაქის კლუბი ბუნდესლიგაში დღესდღეობით უძლიერესია. ჩემპიონატის ლიდერობაც ზემოთქმულზე მიუთითებს. თან კრისტოფ დაუმის გუნდი ბუნდესლიგაში სტუმრად დღემდე დაუმარცხებელია. სტატისტიკა მართლაც დიდ წარმოდგენას ქმნის ლევერკუზენის კლუბზე.

რაინჰარდ კალმუნდმა, „ბაიერნის" პრეზიდენტმა, ძალიან გონივრული ნაბიჯი გადადგა, როცა კლუბში მწვრთნელად ემოციური კრისტოფ დაუმი მიიწვია. დღესდღეობით გერმანული ფეხბურთი თუ ვინმეს ესმის, საუკეთესოთა შორის უდავოდ დაუმიცაა. კლუბში მისი მისვლიდან „ლევერკუზენი" ბუნდესლიგის ერთი ჩვეულებრივი, წევრიდან უმალ გარდაიქმნა ძლიერ, მობილურ გუნდად. მართალია, დაუმის ხელმძღვანელობით ჯერ თასი და ჩემპიონატი ვერ მოიგო, მაგრამ წარმატების უპირველესი გარანტი — სტაბილურობა ნამდვილად ახასიათებს. 1997 წელს „ლევერკუზენი" მეორე იყო ბუნდესლიგაში, გასულ სეზონში — მესამე. წლეულს ჩემპიონობის იმედი აქვთ.

— მათი ლიდერობა ჩვენთან დაპირისპირებამდე გაგრძელდება. მერე კარგად იყვნენ, პირველები ისევ ჩვენ ვიქნებით. ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი — ამბობს ლოთარ მათეუსი.

„ლევერკუზენი" დღესდღეობით მართლაც ლიდერობს ბუნდესლიგას, „ბაიერნს" სამი ქულით უსწრებს, მაგრამ მეტოქეს თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. ლიდერთა მიუნხენური ორთაბრძოლა მართლაც ბევრ რამეს გაარკვევს.

გერმანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეგრეთ წოდებულ „ზამთრის ჩემპიონობას" ანუ პირველი წრის მოგებას. ხშირ შემთხვევაში ის გუნდი, რომელიც პირველ ადგილზე შეხვდება ზამთრის არდადეგებს, ჩემპიონიც ხდება. რაღა შორს წავიდეთ, მაგალითისთვის ბუნდესლიგის გასული სეზონის ჩემპიონი „კაიზერსლაუტერნიც" გამოდგება. მიუნხენშიც და ლევერკუზენშიც ძალიან სურთ „ზამთრის ჩემპიონობა". საამისოდ იბრძვიან კიდეც.

— ის ფაქტი, რომ „ბაიერნი" თავს უკეთეს კლუბად თვლის, ვიდრე „ლევერკუზენი", იმაზე მიუთითებს, რომ მეტოქეს ჩვენი ეშინია. მე ჩემს სიტყვებში ღრმად ვარ დარწმუნებული და ამაში თქვენ კვირას დარწმუნდებით. უბრძოლველად არაფერს დავთმობთ, ბრძოლით კი მეტოქე ვერაფერს დაგვაკლებს — კრისტოფ დაუმს მეტოქეს და საერთოდ, ქომაგებს დიდ დაპირისპირებას აღუთქვამს. ალბათ, მართლაც ასე იქნება.

### ბაიერნი

დაარსდა: 1990 წელს
გერმანიის ჩემპიონი: 1932, 1969, 1972, 1973, 1974, 1980, 1981, 1985, 1986, 1987, 1989, 1990, 1994, 1997
გერმანიის თასი: 1957, 1966, 1967, 1969, 1971, 1982, 1984, 1986, 1998
ჩემპიონთა თასი: 1973, 1974, 1975
თასების თასი: 1967
უეფას თასი: 1996
საკონტინენტთაშორისო თასი: 1976
ყველაზე მეტი მატჩი: ზეპ მაიერი 473 (1965-79)
ყველაზე მეტი გოლი: გერდ მიულერი 365 (1965-78)
სტადიონი: „ოლიმპიაშტადიონი" (70.000)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ბოლო მატჩი: სტუმრად 2:2 „ბოხუმთან"

### ლევერკუზენი

დაარსდა: 1904 წელს
გერმანიის თასი: 1993
უეფას თასი: 1988
ყველაზე მეტი მატჩი: რუდიგერ ვოლბორნი 400 (1983-98)
ყველაზე მეტი გოლი: ულფ კირსტენი 131 (1990- )
სტადიონი: „ულრიხ ჰაბერლანდი" (22.500)
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
ბოლო მატჩი: შინ 3:0 „ვოლფსბურგთან"

## BAYERN vs BAYER

ბოლო ორი ჩემპიონატის განმავლობაში „ლევერკუზენის" და „ბაიერნის" შეხვედრები უხვგოლიანობით გამოირჩევა, იმავდროულად ძალიან საინტერესოა და საცქერლად საამო. არაა გამორიცხული, კვირას მიუნხენში დიდი ფეხბურთის ზეიმი შედგეს. ორივე ისეთი კლუბია, ყველანაირი წინაპირობაა ლამაზი სანახაობისთვის.

1993-94 წლების ჩემპიონატის შემდეგ „ლევერკუზენი" მიუნხენში მუდამ მარცხდებოდა. გაზაფხულზე, 26 აპრილს, „ბაიერნმა" ტარნატის და რიცტელის გოლებით აჯობა „ლევერკუზენს". სხვათა შორის, იმ წაგების შემდგომ აგერ უკვე 13 მატჩია, კრისტოფ დაუმის კლუბი ბუნდესლიგაში არ დამარცხებულა. რაც შეეხება ლევერკუზენელთა წარმატებებს მიუნხენში, მათ სულ ორჯერ ჰყავთ მეტოქე მისსავე მინდორზე დამარცხებული — 1986 წელს 3:0 შეარცხვინეს „ბაიერნი", 1989-ში კი — 1:0.

რაკი სტატისტიკაც მოვიხმეთ, ბარემ აქვე დავძენთ: მთლიანობაში ბუნდესლიგაში მეტოქეებს 38-ჯერ უთამაშიათ ერთმანეთთან. 10 მატჩი მოიგო „ლევერკუზენმა", ორჯერ მეტი კი „ბაიერნმა".

— მეტოქე მართლაც სერიოზულია, მაგრამ ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ბაიერნი" მაინც ფავორიტია. ორი ძლიერი კლუბის დაპირისპირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ვის მასპინძლობს. დღეს მეტოქეს ჩვენ ვმასპინძლობთ და მწამს, შინ დამწუხრებულს გავუშვებთ. იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ „ზამთრის ჩემპიონატს" „ბაიერნი" მოიგებს — კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი კარლ-ჰაინც რუმენიგე „ბაიერნის" წარმატებაში დარწმუნებულია. მიუნხენურ კლუბს თვითრწმენა, როგორც ჩანს, არ აკლია.

— „ბაიერნს" რიგით მეტოქედ მივიჩნევ. მართალი გითხრათ, ჯერ არც ერთ კლუბთან პაექრობის წინ არ მომზადებულვარ საგანგებოდ. ჩემთვის ყველა შეხვედრა გადამწყვეტია. კვირასაც იმავე განწყობით ვითამაშებ, როგორც სხვა მატჩებში. ჩვენ ვეცდებით, მეტოქე დავამარცხოთ — უდავოდ ძლიერმა თავდამსხმელმა ულფ კირსტენმაც თავისი აზრი ამცნო ხალხს. კირსტენი „ლევერკუზენის" კოზირია. იგი ნამდვილად ძლიერი ფორვარდია და მასპინძლებს მისგან საფრთხე უეჭველად შეექმნებათ. სხვათა შორის, კირსტენი დღესდღეობით ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მოქმედი ბომბარდირია. მას შემდეგ, რაც 1990 წელს პირველად ითამაშა ბუნდესლიგაში, 131 გოლის გატანა მოახერხა. ხვალ იგი ოლივერ კანის დამწუხრებას ეცდება.

ცდა ბედის მონახევრეაო — ამბობენ. ლევერკუზენელები შეეცდებიან, გაიმარჯვონ.

„ოლიმპიაშტადიონზე" 60 ათასი ბილეთი ყოფილა გაყიდული. დღეს და ხვალ დილით, ალბათ, დარჩენილი ათი ათასიც გასაღდება და ბუნდესლიგის ამ ტურის მთავარი შეხვედრაც გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ გაიმართება.

ირაკლი ილაშვილი



ლოთარ მათეუსი

## ბრძანა ტონიონიმ

გუშინ უეფამ გულშემატკივართათვის სასიხარულო ცნობა გაავრცელა — 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ბილეთები უფრო ადვილად გასაღდება, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ბებერი კონტინენტის პირველობის მონაწილე ქვეყნების ქომაგებს თითოეულ მატჩზე ბილეთების 16-16 პროცენტი დაეთმობათ, რაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტია.

უეფას ეროვნული ნაკრებების გამგებელმა გვიდო ტონიონიმ ზემოთქმული ლოზანაში გამართული აღმასკომის სხდომის შემდეგ განაცხადა. მისივე თქმით, იმ ქვეყნების გულშემატკივრები, რომელთა საყვარელი გუნდებიც მასპინძლებს ბელგიას ან ჰოლანდიას დაუპირისპირდებიან, ბილეთების 20 პროცენტს მიიღებენ.

გადაწყვეტილებას ევროპის ჩემპიონატის ორივე მასპინძელმა დაუჭირა მხარი. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობა, რომლის შესარჩევი ტურნირიც ახლა მიმდინარეობს, 2000 წლის 10 ივნისს დაიწყება და 2 ივლისამდე გასტანს.

— ვცდილობთ, საფრანგეთში დაშვებული შეცდომები არ გავიმეოროთ. გვსურს, ბილეთების გადამყიდველებს საქმიანობა შევუფერხოთ და შავ ბაზარზე ბილეთების გაზრდილ ფასში გაყიდვა ავიცილოთ თავიდან. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ყველა ხარვეზს გავითვალისწინებთ და ევროპის პირველობაზე დასწრებას გულშემატკივართათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გავხდით — განაცხადა ტონიონიმ.

ბელგიისა და ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციები უეფას უკვე შეუთანხმდნენ ბილეთის იერსახის თაობაზე და მას შემდეგ, რაც ევროკავშირისგან სათანადო დოკუმენტებს მიიღებენ, ბილეთების ბეჭდვას დაიწყებენ.

ევროპის ჩემპიონატის ორგკომიტეტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ტურნირის დაწყებამდე ბილეთები სულ გაიყიდება.

## ჰოლანდია

### გამოტოვებული მატჩები

**ბრედა 0:2 ვიტესი**

0:1, 0:2 ზონგო (10, 71)

ბრედა: დე ვოგტი, ვან დე ლოოი, გუდელი, ვან ასი, ცვინენბერგი, ბოში, ნოში, ფესკენსი, შუკოვი, მილიჩიჩი (ზეფილინიო 65), არველაძე

**ვალვაიკი 0:5 ფეიენოორდი**

0:1 პაუვი (21), 0:2 კრუზი (37), 0:3 ტომასონი (64), 0:4 კალუ (66), 0:5 ბოსველტი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 13 | 2 | 1 | 40:13 | 41 |
| ვიტესი | 17 | 11 | 2 | 4 | 35:22 | 35 |
| აიაქსი | 17 | 9 | 5 | 3 | 35:15 | 32 |
| ჰერენვენი | 16 | 9 | 4 | 3 | 27:18 | 31 |
| ტვენტე | 16 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 29 |
| როდა | 16 | 8 | 3 | 5 | 25:19 | 27 |
| ეინდჰოვენი | 17 | 7 | 6 | 4 | 41:31 | 27 |
| ნაიმეგენი | 16 | 7 | 5 | 4 | 27:22 | 26 |
| ალკმაარი | 17 | 5 | 9 | 3 | 23:22 | 24 |
| ტილბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 30:34 | 22 |
| უტრეხტი | 17 | 6 | 4 | 7 | 28:30 | 22 |
| მაასტრიხტი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | 18 |
| კამბური | 18 | 4 | 6 | 8 | 19:32 | 18 |
| გრააფსხაპი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:28 | 17 |
| სიტარდი | 17 | 3 | 4 | 10 | 16:32 | 13 |
| სპარტა | 17 | 3 | 3 | 11 | 17:33 | 12 |
| ბრედა | 15 | 2 | 4 | 9 | 18:27 | 10 |
| ვალვაიკი | 17 | 1 | 3 | 13 | 18:39 | 6 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს
დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ რედაქციაში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული

ქირავდება
1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72

# სერგეი რებროვი

## დონეცკი — კიევი... ლონდონი?

უკრაინაში ფეხბურთი სპორტის უპირველეს სახეობად არის აღიარებული და უბრალო ხალხის თვალში ის პოლიტიკასა და ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებზე მაღლა დგას. შესაბამისად, პრესის და ტელევიზიის სპორტულ გვერდებსა თუ გადაცემებშიც ფეხბურთი დომინირებს, მაგრამ ბოლო ხანს, უკანასკნელ წლებში ბუნებრივად ჩამოყალიბებული ეს ბალანსი თუ დისბალანსი დაირღვა. თუ სულ რაღაც ერთი კვირის წინ სპორტულ თემატიკაში ფეხბურთის ხვედრითი წილი იმდენივე იყო, რამდენიც ყველა სხვა სახეობისა ერთად აღებული ახლა „სპორტი ნომერი ერთი“ კიდევ უფრო დაწინაურდა. არადა, ყველა მსჯელობს მხოლოდ ერთ საკითხზე, რომელმაც სპორტული მასმედიაც და რიგითი გულშემატკივრებიც ააფორიაქა. საქმე ეხება კიევის „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ყველაზე საყვარელი ფეხბურთელის შესაძლო ტრანსფერს. ტრანსფერს არა სადმე, ვთქვათ, რუსეთის უმაღლეს ან ბელგიის იუპილერლიგაში არამედ დიდ ბრიტანეთში, თავად ინგლისის ჩემპიონ ლონდონის „არსენალში“.

ახლახან კიევის „დინამოს“ პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა ოფიციალურად განაცხადა:

— ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ევროპის სუპერკლუბების ხელმძღვანელები შარშანდელიდან მოყოლებული მოსვენებას არ მაძლევდნენ. განუწყვეტლივ მირეკავდნენ უცხოელი მენეჯერები, რომლებიც სხვადასხვა ხელსაყრელი წინადადებებით ცდილობდნენ, დავეყოლიებინეთ კიევის დინამოელთა გაშვებაზე საღზვარგარეთ სათამაშოდ. კლუბის ხელმძღვანელები თავს ვიკავებდით, რადგან საამისოდ სიტუაცია ჯერ არ იყო მომწიფებული, მაგრამ დადგა დრო, როდესაც შეგვიძლია, რომელიმე კლუბთან გავაფორმოთ ხელსაყრელი ხელშეკრულება. ცხადია, ეს მოხდება რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და „დინამოს“ ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ცოტა მოგვიანებით ბატონმა სურკისმა განმარტა, რომ საქმე ეხება კიეველთა ფორვარდ სერგეი რებროვის გადასვლას ლონდონის „არსენალში“. ზამთრის დადგომასთან ერთად მეთოფეებმა მეტად აქტიურად წარმართეს მოლაპარაკება უკრაინის ჩემპიონთან და, როგორც ჩანს, არცთუ უშედეგოდ.

ამ გარიგებაში რამდენიმე მხარე მონაწილეობდა და ყოველ მათგანს საკითხისადმი თავისებური მიდგომა, მოტივაცია და პოზიცია აქვს, მოკლედ მოგახსენებთ თითოეულ მათგანზე.

### კიევის დინამო

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გათამაშებაში სენსაციური გამოსვლის შემდეგ „დინამოს“ ხელმძღვანელობას თავისუფლად შეეძლო არაერთი ფეხბურთელის ხელსაყრელად გაყიდვა. წინადადებები საკმარისზე მეტი იყო. განსაკუთრებით კიეველთა შემტევ წყვილზე ანდრეი შევჩენკოსა და სერგეი რებროვზე იყო მოთხოვნა. მათი შეძენით თითქმის ყველა ევროპული გრანდი იყო და არის დაინტერესებული, მაგრამ ამის მიუხედავად „დინამოს“ ხელმძღვანელობა მაინც თავს იკავებდა მაცდური წინადადებისგან, თუმცა იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ასე ვეღარ გაგრძელდებოდა და ნავსიც უთუოდ გატყდებოდა. მრავალთა აზრით, გრიგორი სურკისი მთელი ამ დროის განმავლობაში ფიქრობდა და არჩევდა, ვისი „თავი გაეწირა“, ანდრეი შევჩენკოსი თუ სერგეი რებროვისა. ალბათ დამეთანხმებით, რომ არჩევანი იოლი გასაკეთებელი



სერგეი რებროვი მეტოქის მცველებს ოსტატურად გაურბის

ნამდვილად არ იყო. სხვა მხრივ, მეტად საეჭვოა, „დინამო“ თავის ორივე ვარსკვლავს შეელიოს, რაც უმძიმესი დარტყმა იქნება უკრაინის ჩემპიონისთვის.

არის ერთი გარემოებაც: სპეციალისტები თვლიან (და არც თუ უსაფუძვლოდ), რომ რებროვის ინგლისში გადაბარგებამ შეიძლება ავნოს... „მილანსაც“! საქმე ისაა, რომ „მილანი“ უკვე ერთი წელია, თაგვს დადარაჯებული „კატასავით ჩასაფრებულა“ და გაფაციცებით ადევნებს თვალყურს კიევის „დინამოს“ ბანაკში მიმდინარე მოვლენებს. საბოლოო მიზანი კი — აღმოსავლეთ ევროპის უპირველეს ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს გადაბირება — იტალიელებს ამად ნამდვილად ულირთ. იმ შემთხვევაში, თუ „დინამო“ რებროვს შეელევა, სავარაუდოა, რომ შევჩენკო კიდევ კარგა ხანს დარჩეს მშობლიურ ქალაქში.

ასე თუ ისე, უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობა ინგლისური გირვანქებისადმი გულგრილი ნამდვილად არ არის.

### ლონდონის არსენალი

„არსენალის“ თავკაცი არსენ ვენგერი, გრიგორი სურკისივით, დიდხანს ჯიუტობდა. ოღონდ, თუ უკრაინელი თავის მოთამაშეებს არ ჰყიდდა, ვენგერი პირიქით, გუნდში ძვირადღირებული ფეხბურთელების მოყვანისგან იკავებდა თავს და აცხადებდა, რომ ის არავისში გადაიხდიდა იმ ასტრონომიულ ფასს, რამდენადაც ევროპის წამყვანი ვარსკვლავები ფასობენ. არადა, ვის რა უნდა ეთქვა მწვრთნელისთვის? შარშანდელ სეზონში „არსენალმა“ დუბლი შეასრულა, ანუ პრემიერლიგაში პირველი გახდა და ინგლისის თასსაც დაეუფლა. გუნდი სანახაობრივად თვალწარმტაც, შეთამაშებულ, ორგანიზებულ, მაღალი კლასის ფეხბურთს აჩვენებდა და ვენგერის კონცეფცია აშკარად ამართლებდა.

მაგრამ წლეულს სიტუაცია უარესობისკენ შეიცვალა. ჩემპიონმა არცთუ შთამბეჭდავად აილო სტარტი პრემიერლიგაში. გარდა ამისა, მეთოფეებს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის იმედებიც გადაეწურათ და შარშანდელ ტრიუმფატორებს, მათი ფრანგი მენეჯერის თამადობით, კრიტიკის ქარტეხილი დაატყდათ თავს. გულშემატკივართა და ჟურნალისტთა უკმაყოფილებას გუნდის ხელმძღვანელთა მკვახე გამონათქვამებიც დაერთო, რომელთა თანახმადაც არსენალს აუცილებლად სჭირდება იან რაიტის შემცვლელი, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს არსენ ვენგერს.

მოგეხსენებათ, ლონდონელებმა სეზონის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე რაიტი „ვესტ ჰემს“ დაუთმეს, ხოლო ჰოლანდიელი ვარსკვლავის, დენის ბერხკამპის იმედად გუნდი ყოველთვის ვერ იქნება ამ უკანასკნელის აზირების, თვითმფრინავით ფრენისადმი პანიკური შიშის გამო.

თავად ვენგერს ადრეც არაერთხელ დაუსახელებია იმ მოთამაშეთა ვინაობა, რომლებიც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდნენ „არსენალის“ თავდასხმის გაძლიერებას. ესენი არიან: პატრიკ კლუივერტი, ნვანკო კანუ, ალან შირერი და სერგეი რებროვი. კლუივერტი უკვე გადაიბირა ესპანურმა „ბარსელონამ“, დარჩენილი სამეულიდან კი „არსენალის“ ხელმძღვანელობამ, თუ გრიგორი სურკისის სიტყვებს დავეყრდნობით, არჩევანი რებროვზე შეაჩერა. მიზეზი? მიზეზიც არ უნდა იყოს ძნელი მისახვედრი.

ნვანკო კანუ — გადატანილი გულის ოპერაციის შემდეგ კანუმ ვერაფრით მოახერხა უწინდელი სპორტული ფორმის აღდგენა და თანაც უკვე საეჭვო ხდება, შეძლებს კი ამას საერთოდ. მაინც ყველაფერს დრო დასჭირდება, „არსენალი“ კი ცაიტნოტში იმყოფება.

ალან შირერი — საუკეთესო სპორტულ ფორმაში არც შირერია. თანაც ინგლისელთა უპირველესი გოლეადორი სხვებზე გაცილებით ძვირი ღირს და მას ხელფასიც თავისი ამბიციების შესაბამისი სჭირდება.

სერგეი რებროვი — იგი შირერზე ახალგაზრდაა 24 წლისა. მისი ფასი „მხოლოდ“ 12 მილიონი ფუნტით შემოიფარგლება. რებროვისთვის არ გახდება აუცილებელი რაიმე განსაკუთრებული ხელფასის დანიშვნა და, რაც მთავარია, წინ არის რამდენიმე წლის შემდეგ მისი გაცილებით უფრო ძვირად გაყიდვის პერსპექტივა, რის გარანტიასაც ფეხბურთელის ასაკი და ჯერ კიდევ მზარდი ოსტატობა იძლევა.

### სერგეი რებროვი

უცნაურია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ საქმის შესახებ ყველაზე ნაკლები თავად სერგეი რებროვმა უწყის. კიეველთა თავდამსხმელი იქნებ თვალთმაქცობს კიდეც, როდესაც ამბობს, რომ მას ამ საკითხზე ჯერ არავინ დალაპარაკებია. გარდა ამისა, რებროვმა თავისი ტრანსფერის შესახებ ისიც თქვა, რომ ეს „დინამოს“ ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, მაგრამ მაინც აშკარაა — ალბიონზე გამგზავრების პერსპექტივას ფეხბურთელი გულგრილად ვერ უყურებს და ამაში ერთობ მონდომებულია.

### გულშემატკივარი

ეს ამ საქმის ერთი რგოლია. გულშემატკივარს ყველგან უწევენ გარკვეულ ანგარიშს, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად. სადაც ასე არ იქცევიან, იქ ფეხბურთიც ჭკნება. წერილის დასაწყისში შემთხვევით არ მითქვამს, რებროვი ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია-მეთქი. გულშემატკივრებს არც შევჩენკო ემეტებათ გასაშვებად და არც რებროვი, მაგრამ უკანასკნელის მიმართ მათ მაინც სხვა გრძნობები ამოძრავებთ და, როგორც ჩანს, ამის მიზეზი პირადი სიმპათიებია. შევჩენკო პირდაპირ ამბობს, რომ ის უმაღლესი კლასის ოსტატია, „სპასიტელი“ (ასე ეძახიან რებროვს კიევში) კი უაღრესად თავმდაბალია. შევჩენკოს ხანდახან შეუძლია გუნდის ინტერესები საკუთარს ანაცვალოს, რებროვი კი თავიდან ბოლომდე კლუბს ეკუთვნის, მისი კეთილდღეობაა მთავარი... ამის გამოა, რომ კიეველებს რებროვი გასაშვებად არ ემეტებათ, მაგრამ ვითომ უბრალო გულშემატკივრებს ამას დაეკითხებიან?

ბოლოს შეგახსენებთ, რომ სერგეი რებროვი წარმოშობით დონეცკიდაა. ფეხბურთის თამაშიც იქ დაიწყო. და თუ რებროვის ტრანსფერი მართლაც განხორციელდა, მაშინ დონეცკი-კიევი-ლონდონი ურიგო მარშრუტი სულაც არ იქნება. ასე არ არის?

**ირაკლი სირაძე კიევიდან**

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

## კითხვა-პასუხი

***— ერთი კარგად ამიხსენი, „ბარსელონას“ ამბავი როგორ იქნება?***

— ტუზი დეეცა.

***— განა ის კაცი ტუზია?***

— ფაბიო კაპელო?

***— რაღაც არ მესმის მაგის ტუზობა.***

— მართლა არ გესმის. ეგ როგორი ტუზია იცი?

***— ტუზი, ტუზი უნდა იყოს. „როგორი ტუზი“ რა გამოთქმაა?***

— აი, აგიხსნი. იცი, როგორი ტუზია? აი, კალოდაში რო დაიკარგა და ბოლოს მაინც კოზირად გამოვა

***— ვაჰ, რა ქურდულადა თქვი.***

— ეგრეა, კაპელო თავის ამბავში ქურდია.

***— და რატომ დაემართა ეგ ამბავი?***

— ვის არ დამართნია. ერთი ჩაუვარდა, სხვა რა?

***— ჰო, მაგრამ ყველგან კარი მოუხურეს.***

— ახლა ისეთი დროა, კარს კაი ხალხს უხურავენ.

***— ისე, ყასაბსა ჰგავს.***

— აბა, კაი ბიჭი ჯონი დეპია, მაგრამ ფეხბურთი არ იცის.

***— „ბარსელონას“ რა უნდა უშველოს?***

— დაუჭერს ვინტებს.

***— ვინტებდაჭერილი „ბარსელონა“ რაღა „ბარსელონაა“?***

— რატომ?

***— სილაღეს დაკარგავს.***

— ისე კაპელო ჯერ ვერ მივიდა გუნდში.

***— არ შეუშვეს?***

— არა, ვან გაალი ჯერ არ წამოსულა.

***— როგორ არ წამოსულა, გაუშვეს.***

— ჰო, მაგრამ ჯერ კონტეინერები არ მოსულა.

***— კონტეინერები? რისთვის?...***

— ვან გაალის რვეულების წასაღებად.

***— ამდენი მოუგროვდა?***

— უჰ, თორმეტი ტონა.

***— რა უწერია შიგ?***

— რავინ იცის.

***— შენ რომ ამბობ, კაპელოს ერთი ჩაუვარდაო, ვან გაალსაც ხომ ერთი ჩაუვარდა?***

— ის სხვა ჩავარდნაა.

***— არაფრი სხვა არ არის. შენ ვან გაალი არ გიყვარს.***

— მე არ მიყვარს, როცა კაცი ქალაქიდან ქალაქში დადის და თან ერთი დუჟინი მოთამაშეები დაჰყავს. ცირკია, თუ ფეხბურთი?

***— ესე იგი, შენ ევროკავშირის წინააღმდეგი ხარ.***

— არა, მე მინდა, რომ ვინსტონ ბოგარდი „აიაქსს“ დაუბრუნდეს.

***— თუ „გრააფსხაპს“?***

— არა მგონია, დღევანდელი „აიაქსი“ უკეთესი იყოს.

***— აი, მორტენ ოლსენი რომ დაგვენიშნა „ბარსას“ მწვრთნელად?***

— სხვათა შორის, არ იქნებოდა ურიგო.

***— რას ამბობ?***

— იჯდებოდა და უყურებდა. რას დააშავებდა?

***— კაპელო რაღას დააშავებს?***

— ყოველ შემთხვევაში, მეტი გადაშვება შეუძლებელია.

***— და გაზა?***

— გაზა რაღა შუაშია?

***— ბოგარდი თუ „გრააფსხაპში“, გაზა სადღა?***

— გაზა თავის ადგილზეა.

***— შენ ამბობ, რომ რაიცივგერი არ არის თავის ადგილზე და გაზა თავის ადგილზეა?***

— მე ვამბობ, რომ თამაშის დროს მწვრთნელი იმდენს არ უნდა წერდეს, რომ თამაშს ველარ უყურებდეს.

***— კონტეინერებზე ამბობ?***

— იმ კონტეინერში მთელი სურინამი ჩაეტევა.

***— და სად წავა?***

— სადმე რვეულებთან ერთად. იპოვნიან გზას.

# ვალერი პუსტოვოიტენკო: ერთმანეთი მხრებით უნდა გავიტანოთ

*ამ დღეებში თბილისს ოფიციალურად სტუმრობდა უკრაინის პრემიერ-მინისტრი ვალერი პუსტოვოიტენკო. სპორტული გაზეთის მკითხველებს ერთი შეხედვით ამასთან არაფერი უნდა ჰქონდეთ საერთო, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე: ვალერი პუსტოვოიტენკოს კიდევ ერთი ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია — იგი უკრაინის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტიც გახლავთ.*

*მეტად დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო პუსტოვოიტენკოსთან ვრცელი საუბარი არ მოხერხდა, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე მოკლე პასუხი მაინც მივიღეთ. თავდაპირველად ბატონი პრემიერი ერთობ გაკვირვებულიც კი დარჩა ჩვენი კითხვის გამო.*

— ჩემი ვიზიტის ოფიციალური მიზანი სპორტულ თემატიკას არ ითვალისწინებს. უკრაინის დელეგაციას ამჯერად სხვა ფუნქციები აქვს დაკისრებული.

**— ვიცი. მაგრამ უკრაინაშიც და საქართველოშიც ფეხბურთი პოლიტიკის რანგშია აყვანილი და ხალხის დაინტერესებით იქნებ უფრო პოპულარულიც კი არის. პირადად თქვენ როგორ ახერხებთ ორი ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობის შეთავსებას?**

— მე, როგორც უკრაინის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი, საქმეში მხოლოდ მაშინ ვერთვები, როდესაც ამის აუცილებლობაა, იმ საკითხებზე კი, რომელთა გადაწყვეტა უჩემოდაც მოხერხდება, ჩემი მოადგილეები მუშაობენ.

**— მაშინ რატომ მოგენიჭათ არჩევნებისას უპირატესობა სწორედ თქვენ?**

— ჩემი თანამდებობის გამო. როგორც უკრაინის პრემიერ-მინისტრს, უკრაინის ფეხბურთისთვის ბევრი რამის გაკეთება შემიძლია და ვაკეთებ კიდეც. თუ რაიმე სერიოზული პრობლემაა, ყოველთვის მზად ვარ მის გადასაწყვეტად. თანაც ჩვენთან ზოგიერთ საფეხბურთო თანამდებობაზე, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისებზე ანუ უხელფასოდ მუშაობენ. მაგალითად, უკრაინის საფეხბურთო კავშირის პრეს-ცენტრის მუშაობას უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვალენტინ კოვალი უძღვება, საფინანსო განყოფილებას უკრაინის საგადასახადო სამსახურის შეფი ილია შიშულინი განაგებს და ასე შემდეგ.

**— როგორ ფიქრობთ, უკრაინისა და საქართველოს საფეხბურთო ურთიერთობებიც გაღრმავდება?**

— ცხადია. ეს აუცილებელიც კია. თუმცა ახლაც მშვენიერი კონტაქტები გვაქვს. ჩვენთან მრავლად არიან ქართველი ლეგიონერები. თუნდაც მარტო კალაძე რად ღირს. თქვენი ნაკრებები უკვე იყვნენ კიევში და ჩაატარეს ამხანაგური თამაშები. მარტში უკვე ჩვენ გეწვევით. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ ამ კონტაქტების გასაუმჯობესებლად. ასეა: ჩვენ ერთმანეთი მხრებით უნდა გავიტანოთ.



ვალერი ლობანოვსკი და ვალერი პუსტოვოიტენკო

**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1994

## ხრისტო სტოიჩკოვი

# ავი გენიოსი

პაატა კვანტალიანი

„თუ ბრილიანტის ბურთს მივიღებ, მაშინ დავივიწყებ, რომ „ოქროს ბურთი" დაუმსახურებლად მისცეს მარკო ვან ბასტენს" — ეს სიტყვები თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელ ხრისტო სტოიჩკოვს ეკუთვნის.

1992 წლის ვერსიით „ფრანს ფუტბოლმა" საუკეთესოდ ჰოლანდიელი „ფეხბურთის უფლისწული" მიიჩნია. დეკემბრის იმ საღამოს სტოიჩკოვი ტიროდა. იგი საშინლად იმედგაცრუებული იყო:

— განადგურებული ვარ. გაუგონარი რამ მოხდა. ამ ჯილდოს ყველაზე მეტად ვიმსახურებდი. ასე არასდროს დაჩაგრულვარ. არც კი ვიცი, რა ვქნა.

რა არის ეს, ნერვებმოშლილი და ისტერიკაში ჩავარდნილი კაცის მონოლოგი? შესაძლებელია, მის თითოეულ „გადახრილ საქციელს" ხომ მაშინვე მოუძებნიდნენ ახსნას: იგი შეშლილია, გაბოროტებული, არანორმალური კაცი, სასტიკი დემონი... და კიდევ ვინ იცის, რას არ იტყოდნენ. ის კი მშვიდად ალიქვამდა ყოველივეს, თავისებურად და პასუხიც შესაბამისი ჰქონდა, ისეთი როგორიც მხოლოდ მას მოუვიდოდა თავში: „მე გენიოსი ვარ და არა შეშლილი, ისევე როგორც ყველა დიდი მოთამაშე. წარმატებას რომ მიაღწიო, აუცილებლად ავი უნდა იყო".

და იბრძოდა „ავი გენიოსი" წარმატებისთვის, მოედანზე ყველასგან გამორჩეული, მუდამ უკმაყოფილო, აგრესიული. ხანდახან გაგიკვირდებოდა კიდეც, როდისღა ასწრებდა თამაშს. თავისებურად იყო, ჩვეულ სტიქიაში, ხან მსაჯს დაატეხდა რისხვას, ხან — მეტოქეს, ანაც პარტნიორს წაეკიდებოდა. ამის შემხედვარეს ნერვებს მოგიშლიდა, მაგრამ დიდი პლუსიც ჰქონდა. უყურებდი და მატჩის მიწურულიც რომ ყოფილიყო, ყოველთვის გრძნობდი, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, რაღაც უნდა გაეკეთებინა ისეთი, რაც უზომო სიამოვნებას მოგგვრიდა...

პირველად კი იყო საფეხბურთო ინტერნატი. სტოიჩკოვს სწავლასა და ბურთის გორებას შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა. მანაც ბოლო ირჩია, ამაში მამამისის სტოიჩკოს დამსახურებაცაა. იგი თავის დროზე ფეხბურთელი იყო და ბულგარეთის პირველ დივიზიონში თამაშობდა. მამა-შვილი დღე და ღამ ბურთაობაში იყვნენ. ხრისტო იგონებს: „ჩვენი ეზო პატარა საფეხბურთო მოედანს ჰგავდა... მე, მამა, ბურთი და მეტი არაფერი..."

თექვსმეტი წლის სტოიჩკოვი სოფიის ცსკა-ში მოხვდა, ორი წლის შემდეგ კი ეროვნული ნაკრების მაისურიც მოირგო. ეს ის პერიოდია, როდესაც ბულგარეთის ნაკრებში თაობათა ცვლა მიმდინარეობდა. საფუძველი ეყრებოდა ახალი, მონოლითური გუნდის ჩამოყალიბებას, ერთი შეხედვით ხანგრძლივ პროცესს. სტოიჩკოვმა კი ეს პროცესი გარკვეულწილად შეამოკლა. იგი სულ მალე გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა და შედეგმაც არ დააყოვნა — ნიჭიერი თავდამსხმელი 1990 წელს კრუიფმა „ბარსელონაში" მიიწვია, ბულგარეთის ნაკრები კი ტრიუმფისათვის ემზადებოდა, რომელიც ყველასათვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. მსოფლიოს მეთხუთმეტე ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლო შეხვედრაში სლავებმა „პარკ დე პრენსზე" მასპინძლები დაამარცხეს (მაშინ ფრანგებს ფრეც ჰყოფნიდათ) და მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოიპოვეს. „ბარსელონაც" ქვეყნის ჩემპიონატში და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოდიოდა. სტოიჩკოვი მეცხრე ცაზე იყო და ყვიროდა შეშლილი კაცი, თავისებურად, გიჟურად: „ვთამაშობ „ბარსელონაში", მსოფლიოს საუკეთესო კლუბში. მე ისეთივე დიდი ვარ, როგორიც „ბარსაა".

1992 წელი გამორჩეული იყო სტოიჩკოვისთვის. „ბარსელონამ" ჩემპიონთა თასი მოიგო, ქვეყნის ჩემპიონიც გახდა, „ავი გენიოსი" საფეხბურთო მწვერვალს უახლოვდებოდა, თითქმის ყველა შეხვედრაში გაჰქონდა გოლი. ფრანგულ ჟურნალ „ონზის" გამოკითხვით, წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა და „ოქროს ბურთიც" თითქმის მისი იყო. ერთადერთ ხინჯად ჩემპიონთა ლიგის მორიგი გათამაშების მერვედფინალში განცდილი მარცხი ჰქონდა. მაშინ „ბარსელონამ" მართლაც გვარიანი სირცხვილი ჭამა და წარმოუდგენელი რამ ჩაადენინა რუსულ ცსკა-ს. იმ შეხვედრაში ხრისტო და კომპანია 2:0-ს უგებდა რუსეთის „სამხედრო სიამაყეს", მაგრამ მატჩის დასრულებამდე სამი ბურთის გაშვება მოახერხა და ამდაც შერცხვა. სტოიჩკოვი კი სანუკვარ ტროფის ელოდა...



აშშ-ის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ხრისტო საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ჩემპიონატი გარკვეულწილად მის ბენეფისადაც იქცა. ბულგარეთის ნაკრები კი სასწაულებს ახდენდა. მანამდე გუნდს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე ერთხელაც არ მოეგო და უცებ მეოთხე ადგილი... სტოიჩკოვმა ექვსი ბურთის გატანა შეძლო 7 შეხვედრაში და ოლეგ სალენკოსთან ერთად ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. გერმანიის ნაკრებთან მეოთხედფინალური მატჩი კი მართლაც გამორჩეული გახლდათ. მთელი პირველი ნახევარი სტოიჩკოვი თავის სტიქიაში იყო, უკმაყოფილო და დაბოღმილი. ხან მეტოქე ფეხბურთელებს „გაებასებოდა", ხანაც ცდილობდა, იაფფასიანი სიმულაციით ესარგებლა. მატჩის არბიტრი, კოლუმბიელი ტორესი, პირდაპირ გააწამა. მეორე ნახევარში კი, როდესაც გერმანელებმა ანგარიში გახსნეს, სტოიჩკოვის გადამკიდე ბულგარეთის ნაკრებს წესით და რიგით ბოლო უნდა მოღებოდა, მაგრამ მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა. თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა, როცა ლეჩკოვს ნერვებმა უმტყუნა და მსაჯის გადაწყვეტილება ენერგიულად გააპროტესტა. ხრისტო კი, ეს გიჟმაჟი, შეშლილი კაცი, მასთან მივიდა, ხელი გადახვია და რაღაც გადაულაპარაკა... სამი წუთის შემდეგ ტაბლოზე 2:1 ციმციმებდა, ბულგარეთი გერმანიას ამარცხებდა. გოლები სტოიჩკოვმა და ლეჩკოვმა გაიტანეს. ხრისტოს გოლი მართლაც გამორჩეული იყო — იშვიათი სილამაზის საჯარიმო დარტყმა ილგნერისათვის აუღებელი აღმოჩნდა.

— მატჩის წინ სანაძლეო დავდე ბოლო მოდელის „მერსედესზე", რომ გოლს გავიტანდი. როცა ჯარიმას ვურტყამდი, მივხვდი, ჩემი ჯერი დამდგარიყო, გოლი გამქონდა და წინასწარ ვტკბებოდი შედეგით — თქვა მატჩის შემდეგ სტოიჩკოვმა. და ტრიუმფიც ახლოვდებოდა, წლის ბოლოს „ფრანს ფუტბოლმა" „ავი გენიოსი" სანუკვარ ტროფეის — „ოქროს ბურთს" ჩაახუტა.

— ეს არის ჩემი ცხოვრება. თოთხმეტწლიანი ჯოჯოხეთური შრომის კანონზომიერი შედეგი. 1978 წელს, როდესაც 12 წლის ვიყავი, „ოქროს ბურთი" კევინ კიგანმა მოიპოვა და მაშინ ვთქვი, ეს ჯილდო ჩემი უნდა გახდეს, მე უნდა ვიყო საუკეთესო-მეთქი. მე ეს შევძელი — ამბობდა სტოიჩკოვი. მაშინ იგი თავისი კარიერის მწვერვალზე იმყოფებოდა.

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისიდან „ოქროს ბურთის" მფლობელები თითქოს დაწყევლილნი არიან. ამ ჯილდოს მოპოვების შემდეგ მათ გარკვეული კრიზისი უდგებათ და კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა თამაში გარკვეულწილად საგრძნობლად უფერულდება. ასე დაემართათ მათეუსს (1990), პაპენს (1991), მომდევნო წლებში ვანბასტენსა და რობერტო ბაჯოს. იგივე შეიძლება ითქვას ხრისტო სტოიჩკოვზეც. ახალი სეზონი ნამდვილად არ იყო მისთვის საუკეთესო. პირიქით, მის თამაშს დღითიდღე რაღაც აკლდებოდა, აკლდებოდა ის, რაც ასე ფასეული იყო მასში. ხრისტო მოეშვა, თითქოს გამოიფიტა, დაიცალა შინაგანად. მალე იგი „ბარსელონას" — მისი დიდების თანამდევს გაშორდა და „პარმაში" გადავიდა, სადაც ძირითადად შეცვლებზე უწევდა მოედანზე შესვლა. თუმცა ერთხელ მაინც დაამახსოვრა თავი გულშემატკივარს... თასების თასის გათამაშების მერვედფინალში „პარმა" შვედურ „ჰალმშტადს" ეთამაშებოდა. პირველი შეხვედრა პარმელებმა სტუმრად პირწმინდად წააგეს — ყველასათვის მოულოდნელად 0:3 დამარცხდნენ უსახელო მეტოქესთან. იტალიურმა პრესამ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სტოიჩკოვი და დამნაშავედ ძირითადად ბულგარელი ფეხბურთელი გამოიყვანა. განმეორებითი მატჩის წინ ხრისტომ თავისებურად „შეუბერა": „მათ ავიწყდებათ, ვინ ვარ მე, მიმიფურთხებია მათი ნათქვამისთვის, „პარმა" საპასუხო მატჩს დიდი ანგარიშით მოიგებს და ყოველივე ჩემი დამსახურება იქნება."

განმეორებითი მატჩის შემდეგ იტალიური „ლა გაძეტა დელო სპორტი" წერდა: „სტოიჩკოვი საუკეთესო იყო მინდორზე. მისი ბრწყინვალე გოლი კი მატჩის მშვენება"... ის შეხვედრა „პარმამ" 4:0 მოიგო...

მსოფლიოს ჩემპიონატზე, საფრანგეთის მინდვრებზე, სტოიჩკოვის აჩრდილი დადიოდა, ბულგარეთის ნაკრებიც თავის სახელოვან ლიდერს დამსგავსებოდა და ხრისტოსაც მალე მოუწია იმის შესრულება, რაც ოთხი წლის წინ თქვა: „კარიერის ბოლოს სამშობლოში ვითამაშებ და ჩემი ფეხბურთთან გამოსათხოვარიც ეს იქნება."

ხრისტო სტოიჩკოვმა ამჯერადაც შეასრულა სიტყვა: იგი კარიერას მშობლიურ ცსკა-ში ასრულებს.

**ხრისტო სტოიჩკოვი**

დაიბადა 1966 წლის 8 თებერვალს, ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,78
წონა: 75 კგ
კლუბები: „მარიცა" (ბულგარეთი, 1983-84); ცსკა (ბულგარეთი, 1984-90); „ბარსელონა" (ესპანეთი, 1990-95); „პარმა" (იტალია, 1995-96); „ბარსელონა" (ესპანეთი, 1996-97); ცსკა (ბულგარეთი, 1997-)
ტიტულები: ბულგარეთის ჩემპიონი — 1987, 89; ბულგარეთის თასი — 1987, 88, 89; ესპანეთის ჩემპიონი — 1991, 92, 93, 94; ჩემპიონთა თასი — 1992; ევროპის სუპერთასი — 1993; „ოქროს ბუცის" მფლობელი — 1989; მსოფლიოს ჩემპიონატის ბომბარდირი — 1994 (6 გოლი).
ნაკრებში 79 მატჩში გაიტანა 37 გოლი (1985-)

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის** ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, ამჟამად ქვეყნის მეორე დივიზიონის „კარლსრუეში" მოთამაშე გვიდო ბუხვალდი ფეხბურთიდან წასვლაზე ფიქრობს. „წინ დიდი საშობაო შესვენება მელის და ყველაფერს სწორედ მაშინ გავაანალიზებ. ძალიან დიდი ხანია ფეხბურთს ვთამაშობ და ვფიქრობ, ჩემი დასვენების დროც მოვიდა — აღნიშნა 37 წლის მცველმა ინტერვიუში. ბუხვალდს გერმანიის ეროვნულ გუნდში 76 მატჩი აქვს ჩატარებული და 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონიცაა. „კარლსურეში", რომელიც გასულ სეზონში გავარდა ბუნდესლიგიდან, იგი შარშან, იანვარში, გადავიდა, მას შემდეგ, რაც მთელი ოთხი წლის განმავლობაში იაპონიის ჯეი ლიგაში „ურავა რედ დაიმონდზის" ღირსებას იცავდა.

**იუგოსლავიის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" გამოცდილი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი, რომელიც ახლო წარსულში ტურინის „იუვენტუსში" და რომის „ლაციოში" გამოდიოდა, დაახლოებით სამი კვირის განმავლობაში ველარ ითამაშებს — კუნთი აქვს დაჭიმული. ტრავმა იუგოვიჩმა უეფას თასის გათამაშების მერვედფინალური ეტაპის საპასუხო მატჩში მიიღო, სადაც „ატლეტიკო" „სოსიედადს" მასპინძლობდა. აღნიშნულ შეხვედრაში იუგოსლაველი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და ორი გოლიც გაიტანა. იუგოვიჩი პრიმერა დივიზიონის მორიგ ორ მატჩს გამოტოვებს.**

**შვედური** „ჰალმშტადის" ფეხბურთელი იესპერ მატსონი კარიერას პრემიერლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ „ნოტინგემ ფორესტში" გააგრძელებს. „ჰალმშტადის" პრეზიდენტ სტიგ ნილსონის თქმით, მატსონმა ინგლისურ კლუბთან ორწლინახევრიანი ხელშეკრულება გააფორმა. „ყოველთვის ძნელია, როდესაც მაღალი დონის მოთამაშეს კარგავ, მაგრამ რას იზამ. ახლა მხოლოდ ისღა დამრჩენია, „ნოტინგემს" მივულოცო ეს ძვირფასი შენაძენი და წარმატებები ვუსურვო" — დაამატა ნილსონმა. რაც შეეხება 30 წლის ცენტრალური მცველის სანაკრებო კარიერას, შვედეთის ეროვნულ გუნდში მას მხოლოდ ერთი შეხვედრა აქვს გამართული. სეზონის დასაწყისში პრემიერლიგას კიდევ ერთმა „ჰალმშტადის" ფეხბურთელმა მიაშურა — ფრედრიკ ლიუნგბერგი ჩემპიონ „არსენალში" გადაბარგდა. შვედური პრესის ცნობით, მატსონის სანაცვლოდ მისმა ყოფილმა გუნდმა „ნოტინგემისგან" 300 ათასი გირვანქა (499 100 დოლარი) მიიღო.

**ინგლისის ჩემპიონის, ლონდონის „არსენალის" ვეტერანმა კაპიტანმა ტონი ადამსმა ზურგის ოპერაცია გაიკეთა, რომელმაც იგი გასულ თვეში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრის შემდეგ შეაწუხა. ამიტომ ინგლისის ნაკრების მცველი ფეხბურთს დიდი ხნით განშორდება. არადა, თავიდან არსებობდა იმედები, რომ ოპერაცია საჭირო აღარ გახდებოდა, ფლორიდის ერთ-ერთ საავადმყოფოში შემოწმების შემდეგ მას მხოლოდ ხანგრძლივი დასვენება ურჩიეს, მაგრამ ადამსს ტკივილები გაუძლიერდა და ქირურგიული ჩარევაც გარდაუვალი გახდა. საერთოდ, 32 წლის ფეხბურთელს ზურგის ტრავმა თითქმის მთელი კარიერის განმავლობაში აწუხებდა: „ძალიან მძიმე კვირა მქონდა. მამაჩემს მიკროინფაქტი დაემართა და ძლივს გადაარჩინეს, შემდეგ ოპერაცია გავიკეთე. მადლობა ღმერთს, დღესდღეობით ყველაფერი მშვენივრადაა" — განუცხადა ადამსმა მასთან პალატაში მისულ ჟურნალისტს. „არსენალის" სამედიცინო პერსონალი ირწმუნება, რომ ფეხბურთელი უკვე თებერვლისთვის შეძლებს მინდორზე გასვლას. საერთოდ, ლონდონური კლუბი ბოლო ხანებში ლაზარეთად იქცა. ტრავმირებულია უამრავი მოთამაშე, მათ შორის ისეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები, როგორებიც არიან მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ პეტი, ჰოლანდიელი მარკ ოვერმარსი და მისი თანამემამულე დენის ბერგკამპი.**

**უნგრეთის** ეროვნული გუნდის ფეხბურთელმა ზოლტან კოვაჩმა განაცხადა, რომ სავარაუდოდ კარიერას პრემიერლიგურ „საუთჰემპტონში" გააგრძელებს, თუმცა ინგლისური კლუბის წარმომადგენლები ამ თემაზე საუბრისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. კოვაჩი და მისი თანაგუნდელი უნგრეთის ნაკრებში, იანოშ მატიუსი ამჟამად საუთჰემპტონში იმყოფებიან გასასინჯად. „სამუშაო ვიზა უკვე მიღებული გვაქვს და იმედია, საბოლოო პასუხსაც მალე მივიღებთ" — აღნიშნა კოვაჩმა. ამ 25 წლის თავდამსხმელს ნაკრებში 11 შეხვედრა აქვს ჩატარებული. გასულ სეზონში იგი ბერძნულ „პაოკში" გამოდიოდა, ზაფხულში კი მშობლიურ „უიპეშტს" დაუბრუნდა. 23 წლის მარცხენა მცველი მატიუსი დღესდღეობით „ფერენცვაროშში" ირიცხება, ხოლო ეროვნულ გუნდში სულ ცხრაჯერ უთამაშია.

**ბრაზილიაში ჩემპიონატის ნახევარფინალური ეტაპის მესამე მატჩები გაიმართა. „პორტუგეზამ" შინ „კრუზეიროსთან" 0:1 წააგო. პირველი შეხვედრა ასევე „კრუზეირომ" მოიგო 3:1, მეორეში „პორტუგეზამ" იმარჯვა 2:1. საბოლოოდ, სამი მატჩის ჯამში, ფინალში „კრუზეირო" გავიდა. მეორე ნახევარფინალის ბოლო შეხვედრა, სადაც „კორინთიანსმა" „სანტოსს" უმასპინძლა, ფრედ 1:1 დამთავრდა. პირველ მატჩში ამ უკანასკნელმა 2:1 მოიგო, შემდეგ 0:2 დამარცხდა და ბურთების უკეთესი შეფარდების ხარჯზე ფინალში „კორინთიანსი" გავიდა.**

**გერმანიის** ნაკრებისა და „შტუტგარტის" თავდამსხმელი ფრედი ბობიჩი თავის გუნდს დაახლოებით ორი თვის განმავლობაში ველარ დაეხმარება. ამის მიზეზი მხრის სერიოზული ტრავმაა, რომლის საბოლოოდ მოსარჩენად საკმაოდ რთული ოპერაცია ყოფილა საჭირო. „შტუტგარტის" ექიმთა თქმით, ბობიჩი ფეხბურთის თამაშს თებერვლის შუა რიცხვებიდან შეძლებს.

**ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი ლიდერი, თასების თასის მფლობელი ლონდონის „ჩელსი" არგენტინული „რივერ პლეიტიდან" ესპანეთის ნაკრების ფორვარდ ხუან ანტონიო პიცის გადაბირებას არ აპირებს, აღნიშნა გუშინ ინგლისური კლუბის დირექტორმა კოლინ ჰაჩინსონმა. პრესაში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ჩელსი" მზად არის, „რივერ პლეიტს" პიცის სანაცვლოდ 2 მილიონი გირვანქა (3,34 მილიონი დოლარი) გადაუხადოს, თუმცა ამ ცნობას ჰაჩინსონმა ჭორი უწოდა. „რამდენიმე კვირის წინ ჩვენ „რივერ პლეიტს" ვთხოვეთ, პიცი გარკვეული ხნით ეთხოვებინა, მაგრამ უარი მივიღეთ. შემდეგ პიერლუიჯი კაზირაგი დაშავა, თავდასხმაში პრობლემები შეგვექმნა და ფორვარდის ძებნა დავიწყეთ, ოღონდ არგენტინული კლუბისთვის აღარ მიგვიმართავს" — განმარტა მან.**

**გერმანელმა** ნახევარმცველმა იორგ ალბერცმა, რომელიც შოტლანდიის უტიტულოვანეს კლუბ „რეინჯერსში" 1996 წელს გადავიდა „ჰამბურგიდან" 4 მილიონ გირვანქად (6.68 მილიონი დოლარი), შესაძლოა დატოვოს გლაზგოური გუნდი და სათამაშოდ სამშობლოში, კერძოდ დორტმუნდის „ბორუსიაში" დაბრუნდეს. ამის მიზეზი „რეინჯერსის" შესაძლო შენაძენი, „ჰართსის" ლიდერი ნილ მაკკენი გამხდარა, რომელიც ალბერცის ამპლუის ფეხბურთელია და რომლის სანაცვლოდაც გლაზგოელები მზად არიან „ჰართსს" 2 მილიონი გირვანქა ანუ 3.34 მილიონი დოლარი გადაუხადონ. ამავდროულად ცნობილი გახდა, რომ დორტმუნდელთა მეკარე შტეფან კლოსი კარიერის გაგრძელებას სწორედ „რეინჯერსში" აპირებს.

# ვინი, რომელსაც თავის მოკვლა უნდოდა

ლონდონელ განგსტერთა შესახებ ფილმში როლი ითამაშა.

მოედანზე ძვლებს ამსხვრევს.

ძალიან ერთგული კაცია.

სმასაც არ ერიდება.

ამ კაცს ვინი ჯოუნზი ჰქვია. იგი ნიუსმეიქერია ანუ მის შესახებ ხშირად წერენ გაზეთები. წერენ კი არა დიდი ასოებით მყვირალა სათაურებს აქვეყნებენ. ინგლისში ჯოუნზი „გიჟთა ბანდის" ყველაზე შერეკილ წევრადაა ცნობილი.

საოცარია. მარტში ვინი ჯოუნზი „ქუინზ პარკ რეიჯერსმა" მოთამაშე მწვრთნელად მიიწვია. ლონდონის გუნდს სჭირდებოდა „ვინმე, ვინც ფეხბურთელებს მებრძოლ სულს შთაბერავდა". ჯოუნზი „უიმბლდონს" დაემშვიდობა და რეინჯერებს შეუერთდა.

მაგრამ ცოტა ხნის წინ, „ქუინზ პარკი" მწვრთნელმა, რეი ჰარფორდმა დასტოვა. მას მერე ალარც ჯოუზისთვის მოუკრავთ თვალი.

დღეს ასე წერენ: „თუ ვინი ჯოუნზი შენი მეგობარია, გვერდში უნდა იგულო, ხოლო თუ უმტრე, ჯობს საშინელ პასუხს ელოდო".

„უნდა ვაღიარო, რომ ვინი ჯოუნზი ხანდახან აუტანელი კაცია. ცხოვრებაშიც ასეა და საფეხბურთო მინდორზეც. ხასიათის ცვლა მთელ ჩემს ცხოვრებას ლაიტმოტივად გასდევს" — ასე ამბობს იგი საკუთარ თავზე.

როდესაც მის ავტობიოგრაფიას კითხულობ, ხვდები, რომ 13 წლის ბიჭს მშობლების განქორწინებამ უდიდესი ტრავმა მიაყენა, იგი მეტისმეტად მგრძნობიარე გახდა. ახლა იგონებს, რომ მაშინ გულუბრყვილო და შტერი იყო, განცდებს ხშირად დეპრესიამდე მიჰყავდა და ერთხელ თავის მოკვლაც სცადა.

„ბავშვობიდან მოყოლებული ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ერთ მხარეზე ანგელოზი მიზის, მეორეზე კი ეშმაკი" — წერია წიგნში, რომელსაც ასე ჰქვია: „ვინი — ავტობიოგრაფია".

„როდესაც მაგრძნობინებენ, რომ აღარ ვჭირდებით, საზიზღარი ვხდები".

ლონდონის ჩრდილოეთში გაზრდილი ბიჭი სკოლაში საშინელი იყო. ერთი გამოცდაც არ ჩაუბურებია გარდა იმისა, მართვის მოწმობას რომ იძლეოდა. მოუთმენლად ელოდა უქმეებს. შაბათ-კვირას მეგობრებთან გიჟობას არაფერი ერჩივნა. დღემდე იმ ძმაკაცებს ხვდება.

ერთხანს ავტოსამრეცხაოში მუშაობდა, შემდეგ ვაჟთა სკოლაში მზარეულობდა. კიდევ იყო რაღაც-რაღაცეები, 1985 წელს კი ნახევრადპროფესიულ ნონ ლიგის „ვილდსტოუნში" აიყვანეს.

და ცხოვრება შეიცვალა. „ვილდსტოუნიდან" იმ ზაფხულს ბევრი ფეხბურთელი სკანდინავიაში გადავიდა. ასე ამოჰყო 21 წლის ჯოუნზმა თავი შვედურ „ჰოლსმუნდში".

მაშინ მიხვდა ვინი, რომ ფეხბურთს შეეძლო უფასო ბინის, ტანსაცმლის და „სააბის" მიცემა. ფეხბურთმა ჯიბეში ფული გაუჩინა, ხალხიც ცნობდა.

სკანდინავიიდან დაბრუნებულ ჯოუნზს „უიმბლდონის" მწვრთნელმა დეივ ბესეტმა კონტრაქტი შესთავაზა და გიჟი ბიჭიც კლუბის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ და ბედნიერ მოთამაშედ იქცა.

სამხრეთ ლონდონურ გუნდში ჯოუნზმა ცხრა სეზონი გაატარა.

„ამ წლების განმავლობაში ნამდვილ ერთსულოვნებას ვეზიარე" — წერს კაცი, რომელმაც ზუსტად მიაგნო თავის ადგილს, რამეთუ „უიმბლდონი" წვეულებათა და ხუმრობათა გუნდია.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ „უიმბლდონი" ტექნიკური ფეხბურთით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ერთსულოვანი თავდადებით, იცოცხლე.

„თავგანწირვა იყო ჩვენი ფეხბურთის უმთავრესი ნიშანი".

თავიდან ჯოუნზი შემტევი ნახევარმცველი იყო, მაგრამ ძალიან მალე გამოიცვალა პოზიცია, გადავიდა იქ, სადაც მისი ყოფნა უპრიანი გახლდათ, ჩამშლელად იქცა.

თუმცა ბევრი უსიამოვნებაც აქედან დაიწყო.

„მოედანზე შევდგამ თუ არა ფეხს, სხვა კაცად ვიქცევი. როგორც ფეხბურთელი მართალია ვიზრდებოდი, მაგრამ გიჟური რაღაც მუდამ სულში მქონდა. გულზე ხელი რომ დავიდო, უნდა ვაღიარო,რომ თავს ვერასოდროს ვაკონტროლებდი."

კარიერის მანძილზე ჯოუნზი თერთმეტჯერ გააგდეს მოედნიდან — ეს რაც შეეხება ფეხბურთს — მინდორს გარეთ კი მოჩხუბარის სახელი გაუვარდა.

„ჩემდაუნებურად ვიჩხუბებდი, მერე კი ვნანობდი, თავი მეზიზღებოდა. პრესაში მძიმე ხასიათის კაცად კი არა, ურჩხულად მახასიათებდნენ".

1988 წელს „უიმბლდონმა" ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო, გიჟთა გიჟმა კი რატომღაც ფეხი დაჰკრა და „ლიდს იუნაიტედში" გადავიდა.

„ლიდსს" ჯოუნზმა ქვემოდან ზედა ლიგაში ასვლა გაუიოლა. იმხანად უელსის ნაკრებშიც მიიწვიეს, ცხრაჯერ ითამაშეს, მაგრამ „ელანდ როუდზე" მაინც უფრო გაუწონასწორებელი კაცის სახელი დატოვა, ვიდრე კარგი ფეხბურთელის.

ჯოუნზი ამბობს „ვესტ ჰემის" თავდამსხმელს იან რაიტსა და „მიდლსბროს" ნახევარმცველს პოლ გესქოინს ვგავარო.

„ხასიათისა და ფსიქიკის სირთულით არც პირველი გახლავართ და არც ბოლო"

ყველაზე საშინელი ამბავი დუბლინში მოხდა. ჯოუნზმა ერთ ინგლისელ ჟურნალისტს ცხვირში მუშტი დაარტყა, ხოლო შემდეგ, როდესაც გაზეთებში წაიკითხა თავისი ქცევის შესახებ თოფი აიღო და თავისი სახლის ახლოს, ერთ ხესთან თვითმკვლელობა სცადა.

წლეულს ინგლისის კინოთეატრებში გამოვიდა ახალი ფილმი „LOOK, STOOK AND SMOKING BARRELS". მასში ჯოუნზი დაახლოებით იმას თამაშობს, სინამდვილეში რაცაა.

„ჩემი გმირი გიჟი სულაც არ არის. პირიქით, ის საკუთარ გრძნობებს მშვენივრად აკონტროლებს, მშვიდია და მოწესრიგებული" — არ ეთანხმება ჯოუნზი კრიტიკოსებს.

ვინიმ ფილმისგან მიღებული შემოსავალი იმ საავადმყოფოს გადაურიცხა, სადაც მისი მეუღლე ტანია მძიმედ სნეულ გულს მკურნალობს.

**მოამზადა ბაბუნა ბედიამ**



ვინი ჯოუნზი

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ვერდერი — შტუტგარტი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ვოლფსბურგი — დუისბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| შალკე — მიუნხენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფრაიბურგი — ნიურნბერგი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| კაიზერსლაუტერნი — აინტრახტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ჰანზა — ბოხუმი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ბაიერნი — ლევერკუზენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 დეკემბერი | | | |
| ფიურტი — მაინცი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ვატენშაიდი — ულმი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| უდინგენი — ობერჰაუზენი | 2,0 | 3,0 | 3,3 |
| კიოლნი — გიუტერსლო | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 14 დეკემბერი | | | |
| ბერლინი — ზანქტ პაული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 15 დეკემბერი | | | |
| არმინია — უნტერჰახინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| კარლსრუე — ჰანოვერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დერბი — ჩელსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ევერტონი — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ლესტერი — ნოტინგემი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შეფილდი — ჩარლტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ტოტენჰემი — მანჩესტერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ასტონ ვილა — არსენალი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| უიმბლდონი — ლივერპული | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 14 დეკემბერი | | | |
| ლიდსი — ქოვენთრი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ბრისტოლი — კრისტალ პალასი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| იფსვიჩი — ბარნსლი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ოქსფორდი — ბირმინგემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ქუინზ პარკი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სანდერლენდი — პორტ ვეილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,5 | 2,6 |
| სვინდონი — ბრედფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტრანმერი — ბოლტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უოტფორდი — სტოკპორტი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვულვერჰემპტონი — ნორვიჩი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 13 დეკემბერი | | | |
| პორტსმუთი — გრიმსბი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### საფრანგეთი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ბასტია — პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — ლე ავრი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| ლორიანი — ლანსი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| ნანსი — ოსერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| მარსელი — მეცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სოშო — მონაკო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ტულუზი — ლიონი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### იტალია. სერია A. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 დეკემბერი | | | |
| ბარი — ემპოლი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბოლონია — სალერნიტანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ფიორენტინა — იუვენტუსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლაციო — სამპდორია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| მილანი — ვიჩენცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| პარმა — რომა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| პერუჯა — კალიარი | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| უდინეზე — ინტერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვენეცია — პიაჩენცა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### იტალია. სერია B. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| კოზენცა — ლეჩე | 3,0 | 2,7 | 2,3 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ატალანტა — რეჯინა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ჩეზენა — ფ. ანდრია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| კიევო — ლუკეზე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჯენოა — რეჯანა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მონცა — კრემონეზე | 1,6 | 2,8 | 6,0 |
| ნაპოლი — რავენა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| პესკარა — ტრევიზო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტერნანა — ბრეშა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ტორინო — ვერონა | 2,3 | 2,7 | 3,0 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ბეტისი — ატლეტიკო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ვალიადოლიდი — ალავესი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბარსელონა — ვილიარეალი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — დეპორტივო | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სარაგოსა — მალიორკა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რასინგი — ტენერიფე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ესტრემადურა — ოვიედო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| რეალი — სოსიედადი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| სელტა — ესპანიოლი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვალენსია — სალამანკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ლას პალმასი — მერიდა | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ბარსელონა B — მალაგა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მალიორკა B — რეკრეატივო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ალბასეტე — ერკულესი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| ტოლედო — ოსასუნა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ეიბარი — ბადახოსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სპორტინგი — ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ატლეტიკო B — ორენსე (15.00) | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,2 |
| რაიო ვალეკანო — სევილია (15.00) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ლოგრონიესი — კომპოსტელა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ლეიდა — ნუმანსია (15.00) | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### პორტუგალია. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| სპორტინგი — ბრაგა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 13 დეკემბერი | | | |
| შავეში — ბენფიკა | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| ამადორა — სალგეირუში | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| რიუ ავე — ლეირია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბეირა მარი — ბოავიშტა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| ფარენსე — ალვერკა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| მარიტიმუ — გიმარაეში | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| კამპომაიორენსე — სეტუბალი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 14 დეკემბერი | | | |
| აკადემიკა — პორტუ | 6,0 | 3,3 | 1,5 |

### ჰოლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ტილბურგი — ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ეინდჰოვენი — როდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 13 დეკემბერი | | | |
| აიაქსი — ჰერენვენი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ალკმაარი — უტრეხტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| გრააფსხაპი — ბრედა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სპარტა — ტვენტე | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ვიტესი — ფეიენოორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ბელგია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| სტანდარდი — ოსტენდე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვესტერლო — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მუსკრონი — სენტ ტრუიდენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ბევერენი — ლომელი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| გენტი — ლიერსი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| 13 დეკემბერი | | | |
| გენკი — ლოკერენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| კორტრაიკი — ჰარელბეკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ბრიუგე — აალსტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### თურქეთი. XVI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| საქარია — ბეშიქთაში | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| გალათასარაი — ანთალია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ადანა — ბურსა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სამსუნი — ალთაი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| დარდანელი — ერზურუმი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ქარაბუქი — გაზიანთეფი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ფენერბაჩე — ისთანბული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ტრაბზონი — ანკარაგიუჯიუ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| აბერდინი — ჰართსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| დანდი იუნაიტედი — სელტიკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| დანფერმლაინი — მოზერველი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| რეინჯერსი — კილმარნოკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| სენტ ჯონსტონი — დანდი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### შვეიცარია. XXII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ქსამაქსი — იანგ ბოისი | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ლუცერნი — გრასჰოპერი | 2,7 | 3,2 | 2,2 |
| სენტ გალენი — ლოზანა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ბაზელი — ლუგანო | 1,6 | 3,6 | 4,0 |
| სერვეტი— სიონი | 1,45 | 4,0 | 4,7 |
| ციურიხი — არაუ | 1,3 | 4,7 | 6,0 |

### ჰოკეი. NHL

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 დეკემბერი | | | |
| ბოსტონი — ბუფალო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტორონტო — ფილადელფია | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| ოტავა — ფინიქსი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| ნიუ ჯერსი — კოლორადო | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| აილენდერსი — ტამპა ბეი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| კაროლინა — დეტროიტი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ფლორიდა — კალგარი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| სენტ ლუისი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| სან ხოსე — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| 13 დეკემბერი | | | |
| ფილადელფია — ედმონტონი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — დალასი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 14 დეკემბერი | | | |
| მონრეალი — ფინიქსი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| რეინჯერსი — კალგარი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კოლორადო — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ინგლისი (მე-17) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (მე-13) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (მე-14) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (მე-15) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მრავალსახეობა ბოდიროგასი

დაუფასლდა გარჯა ათენის „პანათინაიკოსს“. ამიერიდან ამ გუნდს ევროლიგის ერთ-ერთი რეკორდი ეკუთვნის: ასეთი კარგი სტარტი, ზედიზედ ცხრა მოგებით, აქამდე არავის აუღია. ამჯერად „პანათინაიკოსს“ ესპანური ტდკ დაუპირისპირდა და პირველი ტაიმი 28:23 მოუგო, მაგრამ აღმოჩნდა, ბერძნებს მეტად ჰქონდათ გამარჯვების სურვილი, რაც დაიკმაყოფილეს კიდეც. იუგოსლავიელი დეიან ბოდიროგა დიდი კალათბურთელია, სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს ჩემპიონი და ამ შეჯიბრების უძვირფასესი მოთამაშე. მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავის კლასი და უნივერსალიზმი (უფრო სწორად, თავის თამაში ითამაშა, თორემ ბოდიროგას დასამტკიცებელი აღარაფერი დარჩენია) და აღნიშნულ მატჩში სულ სხვა მხრივ გამოირჩა. „პანათინაიკოსის“ მაღლები — ხორვატი რაჯა და ბერძენი ეკონომუ, ცოტა არ იყოს, უქეიფოდ იყვნენ და ფარს მთლად კარგად ვერ აკონტროლებდნენ. ბოდიროგამ უმალ შეცვალა სტილი და ბომბარდირობიდან მოხსნებზე გადაერთო: 9 მოხსნაც ამას მეტყველებს. პასებიც ბლომად დაარიგა ნომინალურად ფრთამ: 7 პასი ევროპულ თამაშში ხუმრობა საქმე როდია. ერთი სიტყვით, „პანათინაიკოსმა“ მოიგო და ბოლო ტურში რაც გინდა მოხდეს, ჯგუფში პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება.

პირველობაში შეცილება კი მხოლოდ თურქულ „ეფესს“ შეეძლო, თანაც დასკვნით ტურში ბერძენთა მასპინძლობა უწევთ. „ეფესმა“ თავად მიართვა საჩუქარი „პანათინაიკოსს“, ხოლო თავისთვის უეჭველი მეორე ადგილი გამოიწერა. ეს იმიტომ, რომ თურქები მოულოდნელად დამარცხდნენ ხორვატულ „ციბონასთან“. მოულოდნელად იმიტომ, რომ ხორვატებს აქამდე შინ არ გაემარჯვათ. თურქები დააწიოკა ნიკოლა პრკაჩინმა, რომელ[illegible]ც 17 ბურთი მოხსნა, სამით მეტი, ვიდრე „ეფესის“ სამმა რიგიანმა ცენტრმა — ჰუსეინ ბეშოქმა (6), პრედრაგ დრობნიაკმა (6) და ზორან სავიჩმა (2). იუგოსლავიელი სავიჩი კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ დაუბრუნდა მოედანს. მსოფლიოს ჩემპიონატიც ამის გამო გამოტოვა და, სხვათა შორის, მისი ადგილი იუგოსლავიის ნაკრებში სწორედ დრობ[illegible]აკმა დაიკავა. ეფესელთა პეტარ [illegible]აუმოსკი მარტო ცდილობ[illegible] რაღაც[illegible]ის გახერხებას, მაგრამ [illegible]ორვატთა მწყობრი დაცვა ფხიზლად იყო.

ამ ჯგუფში მესამე ადგილისთვის დიდი ომი ატყდება. ბოლო ტურში „მაკაბი“ სტუმრობს „ციბონას“ და თუ მოიგო, მაშინ სანუკვარ ადგილზე გავა. თუ „ციბონამ“ მოიგო და, ამასობაში, ტდკ-მაც სტუმრად სძლია „ცრვენა ზვეზდას“, მაშინ სამი გუნდი 14 ქულას დააგროვებს და საქმეში არითმეტიკა ჩაერევა.

პირველობა გაინაღდა პირეოსის „ოლიმპიაკოსმაც“, რომელმაც ლიდერის, ხორვატი არიან კომაზეცის გარეშე (ფეხი ტკივა და ერთ თვეს ვერ ითამაშებს) პირწმინდად მოუგო კომაზეცის მშობლიურ „ზადარს“. ამ ჯგუფში თურქულმა „ულქერმა“ საქმე გაირთულა: გერმანულ „ალბასთან“ ბარაქიანი წაგება, შესაძლოა, მესამე ადგილად დაუჯდეს. ახლა სტამბოლელებს აუცილებლად სჭირდებათ მეორეადგილგანაღდებული იტალიური „კინდერის“ შინ ძლევა, იმ პირობით, რომ ცსკა დამარცხდება „ოლიმპიაკოსთან“. შანსი „ზადარსაც“ აქვს — რუსთა და თურქთა მარცხის შემთხვევაში ხორვატებმა უნდა მოუგონ „ალბას“. ცსკა, „ულქერი“ და „ზადარი“ 14-14 ქულას დააგროვებენ, ხორვატებს კი ურთიერთშეხვედრებში ქულათა უკეთესი თანაფარდობა აქვთ.

ლიდერი შეიცვალა და პირველი სამეული დადგინდა **D** ჯგუფში. ვლადიმერ სტეფანიას „ოლიმპიამ“ 84:55 გაანადგურა ევროლიგის მაჩანჩალა რუსული „სამარა“. სტეფანიამ 21 წუთს ითამაშა, 8-დან 4 ბურთი ჩააგდო. ამას კი 5 ჩაჭრა, 4 მოხსნა და ერთი პასიც დაურთო. „ვილერბანმა“ მეტად საჭირო მატჩი მოუგო „რეალს“, რითაც, სულ მცირე, მესამე ადგილი გაინაღდა. ამ ჯგუფშიც საინტერესო ვითარებაა, ოღონდ აქ ბრძოლა პირველ-მეორე-მესამე ადგილების განაწილებაზე მიდის. თუკი „ოლიმპია“ სტუმრად მოუგებს „ვილერბანს“, მაშინ 5 გამარჯვებულიც იქნება. თუ პირიქით მოხდა და „რეალმაც“ გაიმარჯვა, მაშინ სამივენი 17 ქულას დააგროვებენ. პირველ ადგილზე „რეალი“ გავა, მეორე ადგილის ბედი კი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენით წააგებს „ოლიმპია“. მეორე ადგილის დასაბევებლად სტეფანიას გუნდს 5-ქულიანი წაგებაც აძლევს ხელს.

მივადექით **A** ჯგუფს, სადაც პირველი სამეული უკვე ცნობილია. მთავარია, ვინ იქნება პირველი. „ჟალგირისი“ ერთ შემთხვევაში კარგავს უმაღლეს საფეხურს — თუკი სტუმრად წააგებს „პო ორტეზთან“, ხოლო „ფენერბაჰჩე“ ასევე სტუმრად მოუგებს „ვარეზეს“. „ფენერბაჰჩეს“ მეორე ადგილის დაკარგვის შანსიც აქვს. ეს იმ შემთხვევაში, თავად თუ წააგებს, ხოლო „პო ორტეზი“ „ჟალგირისს“ აჯობებს.

შეგახსენებთ, რომ ჯგუფებში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები ასპარეზობას არ ეთიშებიან. უბრალოდ, მეორე ეტაპზე მათ მეზობელი ჯგუფის სამ უძლიერესთან უწევთ ჭიდილი. მოგებაზე თამაშს კი ყველასთვის მნიშვნელობა აქვთ: პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები გუნდს მეორე ეტაპზეც მიჰყვება.

**კახა ხურციძე**



ზადარი — ოლიმპიაკოსი. პირეოსელმა დრაგან ტარლაჩმა (12) გზიდან ყველა ჩამოიცილა, მათ შორის ზადარელი კოვაჩიჩიც



ციბონა — ეფესი. ხორვატი გორდან გირიჩეკისგან (მარცხნივ) ამოკეტილ ეფესელ უფუკ სარიჯას ერთხანს ასე თავდახრილად მოუწევს სიარული

## ევროლიგა. IX ტური. 9-10 დეკემბერი

### A ჯგუფი

**ავტოდორი 83:88 ფენერბაჰჩე**

ავტოდორი: ეინიკისი (29), ფეტისოვი (12), ხიჟნიაკი (4), ხრიაპა (6), მილოსერდოვი (2), ზ. პაშუტინი (15), ე. პაშუტინი (10), შტელმახერსი (5), ჩიკალკინი

ფენერბაჰჩე: აფაიდინი (8), ენდენი (3), კალამიზა (13), ქუთლუაი (12), მაკრეი (10), მილიჩი (21), ტაბაკი (21)

**ჟალგირისი 80:76 ტაუგრესი**

ჟალგირისი: ადომაიტისი, ბოუი (12), ედნი (12), მასიულისი (10), მასკოლიუნასი (6), შტომბერგასი (21), ზიდეკი (11), ე. ჟუკაუსკასი (6), მ. ჟუკაუსკასი (2)

ტაუგრესი: ანგულო (15), ბენეტი (10), ბერიჩი (17), ესპილი (7), მახოვსკი, რუსკონი (17), ურისი, ვინტერსი (6), ცვიკერი (4)

**პო ორტეზი 82:67 ვარეზე**

პო ორტეზი: აიშა (11), ფატუ (9), ფუარე (23), დ. გადუ, ტ. გადუ (18), გრანტი (13), სხოლტენი (4), სმიტი (4)

ვარეზე: დე პოლი (10), გალანდა (13), მენეგინი (7), მრშიჩი (4), პოცეკო (22), სანტიაგო, ვან ფელსენი, ვესკოვი (11)

### B ჯგუფი

**ციბონა 76:70 ეფესი**

ციბონა: ატკინსი, გირიჩეკი (16), გრეი, გრგატი, კრსტიჩი (13), მარცელიჩი (4), ნიჩევიჩი (14), პრკაჩინი (15), ვრანკოვიჩი (14)

ეფესი: აიდინი, ბეშოქი (15), დრობნიაკი (9), ევლიაოღლუ, ნაუმოსკი (20), სარიჯა (9), სავიჩი (8), თურქოღლუ (9)

**მაკაბი 78:59 ცრვენა ზვეზდა**

მაკაბი: ალექსანდერი (11), გუდესი (17), ჰენფელდი (8), პოპა (2), სავიონი, შარფი (8), შეფერი (17), შელეფი (15)

ცრვენა ზვეზდა: ბოლიჩი (1), ცვეტკოვიჩი, პავიჩევიჩი (6), პეკოვიჩი, პოპოვიჩი (6), რაკოჩევიჩი (18), სტანოევიჩი (20), ტოპიჩი (8)

**ტდკ 58:63 პანათინაიკოსი**

ტდკ: კაპდევილა (4), კრეუსი (8), გონსალესი (1), მილი (14), მონტანესი (7), მოია (10), სინგლა (7), ვასკესი (7)

პანათინაიკოსი: ალვერტისი (16), ბოდიროგა (16), ბუდურისი (3), ბურკი, ეკონომუ (11), ჯენტილე (13), კოხი, პატავუკასი, რაჯა (4)

### C ჯგუფი

**კინდერი 86:65 ცსკა**

კინდერი: აბიო (3), ბინელი (8), კრიპა (3), დანილოვიჩი (23), ფროსინი (10), მაკრისი (ნესტეროვიჩი) (19), ოსალივანი (5), პანიჩი, რიგოდო (15), რუინი

ცსკა: დაინეკო (8), დომანი, გუტოროვი (7), კარასიოვი (9), კირილენკო (7), კისურინი (4), ნოსოვი (4), პანოვი (23), ტიხონენკო, ვეტრა (3)

**ალბა 87:63 ულქერი**

ალბა: ალექსისი (23), ბოგოევიჩი (5), ფემერლინგი (3), გარისი (4), ჰამინკი (18), ლუტკე, ნაკიჩი (9), პეშიჩი (13), როდლი (12)

ულქერი: ალიჰოჯიჩი (4), ანდერსონი (19), ერდენაი (8), ფირინჯიოღლუ (10), კოტუროვიჩი (8), რენკინი (4), თექინალფი, ილდირიმი (10)

**ზადარი 55:67 ოლიმპიაკოსი**

ზადარი: ერცეგოვიჩი (3), ერიავეცი, კოვაჩიჩი (16), ლუისი (9), მალოჩა (2), მუიაჯიჩი (2), ნაგლიჩი (3), პესტიჩი, ი. რუჟიჩი (19), ტ. რუჟიჩი (1)

ოლიმპიაკოსი: ადე მანსა (2), ფასულასი, გოლდვაიერი (15), ობერტო (6), პაპანიკოლაუ (10), როჯერსი (6), ტარლაკი (12), ტომიჩი (16), ცალიკისი

### D ჯგუფი

**პაოკ 68:59 ტიმსისტემი**

პაოკ: ბალოიანისი (14), ბერი (15), კოლდებელა (5), კინგი (12), მასლარინოსი (3), მორალესი (3), ნიკოლაიდისი (10), პერალი (6)

ტიმსისტემი: ბეტსი (5), კიაჩიგი, დილგლაი (2), ფუჩკა (17), კარნიშოვასი (2), ლაცისი, მულაომეროვიჩი (18), მაიერსი (15)

**ვილერბანი 77:73 რეალი**

ვილერბანი: ადამსი (6), ბილბა (10), ბლომი, დიგბო (23), პალმერი (8), პერსევო, პლუვი, რადი (13), სონკო (17)

რეალი: ანგულო (26), ბერდი (8), ერეროსი (12), ლასა (10), მარტინი (10), სანტოსი, სტრიულენსი (7)

**ოლიმპია 84:55 სამარა**

ოლიმპია: ბრეჟეცი (5), დანეუ (4), დუშჩაკი (11), იურკოვიჩი (8), მაკდონალდი (16), მუტავჯიჩი (16), ნოვაკი (3), პრაისი (6), სტეფანია (8), ზდოვცი (7)

სამარა: ანციფეროვი, დოლოპჩი (7), ევანსი (2), გარშინი (2), გრაჩოვი (19), იაილო (11), კისელიოვი (1), მალცევი (11), პეტენევი (2), საიტანი

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟალგირისი | | 64:59 | 70:67 | 80:76 | 97:81 | 77:62 | 7 | 2 | 735:697 | 16 |
| 2 | ფენერბაჰჩე | 99:84 | | 78:71 | 96:75 | 94:75 | 80:76 | 6 | 3 | 699:664 | 15 |
| 3 | პო ორტეზი | 17.12 | 73:48 | | 81:71 | 82:67 | 74:71 | 5 | 4 | 700:665 | 14 |
| 4 | ტაუგრესი | 91:97 | 63:57 | 88:84 | | 75:72 | 17.12 | 4 | 5 | 698:717 | 13 |
| 5 | ვარეზე | 75:84 | 17.12 | 89:77 | 86:78 | | 95:73 | 3 | 6 | 710:738 | 12 |
| 6 | ავტოდორი | 87:82 | 83:88 | 83:86 | 64:81 | 73:70 | | 2 | 7 | 672:733 | 11 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პანათინაიკოსი | | 77:63 | 67:58 | 74:58 | 83:70 | 77:71 | 9 | 0 | 670:575 | 18 |
| 2 | ეფესი | 16.12 | | 81:74 | 82:74 | 80:57 | 73:60 | 7 | 2 | 657:622 | 16 |
| 3 | მაკაბი | 62:84 | 66:68 | | 81:55 | 76:57 | 78:59 | 4 | 5 | 630:610 | 13 |
| 4 | ტდკ | 58:63 | 67:68 | 72:65 | | 67:79 | 74:59 | 3 | 6 | 586:625 | 12 |
| 5 | ციბონა | 61:69 | 76:70 | 17.12 | 54:61 | | 77:80 | 3 | 6 | 600:652 | 12 |
| 6 | ცრვენა ზვეზდა | 74:76 | 71:72 | 67:70 | 17.12 | 66:69 | | 1 | 8 | 607:666 | 10 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 55:50 | 17.12 | 58:72 | 71:55 | 94:65 | 8 | 1 | 672:601 | 17 |
| 2 | კინდერი | 67:72 | | 86:65 | 66:49 | 62:53 | 78:52 | 6 | 3 | 616:538 | 15 |
| 3 | ცსკა | 75:81 | 62:70 | | 82:76 | 66:68 | 86:75 | 4 | 5 | 676:665 | 13 |
| 4 | ულქერი | 79:89 | 17.12 | 64:91 | | 62:55 | 76:65 | 4 | 5 | 626:666 | 13 |
| 5 | ზადარი | 55:67 | 55:65 | 82:79 | 73:85 | | 16.12 | 3 | 6 | 581:635 | 12 |
| 6 | ალბა | 83:85 | 75:72 | 63:70 | 87:63 | 78:85 | | 2 | 7 | 643:709 | 11 |

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპია | | 76:84 | 64:54 | 57:45 | 84:68 | 84:55 | 7 | 2 | 634:572 | 16 |
| 2 | რეალი | 67:68 | | 71:70 | 17.12 | 77:69 | 101:72 | 6 | 3 | 730:673 | 15 |
| 3 | ვილერბანი | 17.12 | 77:73 | | 71:66 | 80:66 | 92:69 | 6 | 3 | 552:632 | 15 |
| 4 | ტიმსისტემი | 63:66 | 66:73 | 84:61 | | 76:61 | 77:58 | 4 | 5 | 607:574 | 13 |
| 5 | პაოკ | 76:68 | 87:75 | 65:69 | 68:59 | | 85:66 | 4 | 5 | 645:654 | 13 |
| 6 | სამარა | 60:67 | 88:109 | 74:78 | 59:71 | 17.12 | | 0 | 9 | 601:764 | 9 |

საქართველოს ჩემპიონატი

# 8 ტური

## ანონსი

**12 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15 საათი**

### აზოტი — შევარდენი

პირველი წრის მერვე ტურში ერთმანეთის პირისპირ გამოკვეთილი ლიდერი, ვიცეჩემპიონი რუსთავის „აზოტი“ და „შევარდენი“ წარდგებიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ექვსგზის ჩემპიონი „ვითა“ პირველობას გამოაკლდა, რუსთაველები არამარტო ამ შეხვედრაში, არამედ მთლიანად ჩემპიონატში ფავორიტებად ითვლებიან. თუმცა „აზოტს“ სანაკრებო მზადებისათვის შესვენების შემდეგ მატჩი არ გაუმართავს, რუსთავშიც სავარჯიშოდ არასახარბიელო პირობებია და ყოველივე ამან შეიძლება გუნდზე უარყოფითად იმოქმედოს.

„შევარდენი“ მოგეხსენებათ, ყველა გუნდისთვის უხერხული მეტოქეა. თუ მოთამაშეებს სროლა წაუვიდათ, მათი შეჩერება, ცოტა არ იყოს, ძნელია. გავიხსენოთ თუნდაც წინა მატჩი სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან. ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს შევარდენელები მთელი შეხვედრის მანძილზე ტოლ-სწორად ეთამაშნენ და მხოლოდ ოვერტაიმში დათმეს მეტად დაძაბული ბრძოლა.

ვნახოთ, როგორ მოახერხებენ სამქულიანი სროლებით ფონს გასვლას „შევარდენის“ კალათბურთელები და დაძლევენ თუ არა გამოცდილი რუსთაველი მცველების — ზაზა გაბისონიას და არჩილ ძლენტის წინააღმდეგობას.

რუსთაველები კი, თავის მხრივ, მეტოქეს სწრაფ თამაშს დაუპირისპირებენ, მათი უპირატესობა შეტევაშიც აშკარაა. თუ რამაზ გოგობერიშვილს, მიხეილ ბერუაშვილსა და ზვიად ბაბიაშვილს ეროვნული ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს ირაკლი ჯაფარიძეს დავუმატებთ, ძნელი მისახვედრი არ იქნება, თუ რა გარჯა მოუწევს შევარდენელ ნუცუბიძეს როგორც მეტოქის, ასევე საკუთარი ფარის ქვეშ. ეს უკანასკნელი კი დავით აკოლაშვილთან წინა ტურში ერთად თავისი გუნდის ლიდერად მოგვევლინა. ამ შეხვედრაში, დამეთანხმებით, გამარჯვება „აზოტს“ უნდა ვუწინასწარმეტყველოთ, მაგრამ „შევარდენმაც“ არაერთხელ დაგვანახა ბრძოლისუნარიანობა და იმედია, წინასწარ არც ჩემპიონატის ლიდერთან მარცხს შეეგუება.

**13 დეკემბერი. ვერის ბაღი. 15 საათი**

### სდასუ — მაკაბი

როგორც იქნა, სდასუ-მ ნავსი გატეხა და პირველი გამარჯვებაც დაიგემოვნა. სტუდენტები, ალბათ, მოგების სიტკბოს ჯერაც გრძნობენ და მადაგახსნილნი ახლა „მაკაბის“ დაფრენას შეეცდებიან.

ამის თქმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ სდასუ ერთობ მომძლავრდა. გუნდს უცხოეთში მოთამაშე ორი გამოცდილი კალათბურთელი დაუბრუნდა. დავით თორთლაძე თურქეთში იმყოფებოდა, შოთა უძილაური კი — გერმანიაში. უცხოეთში მოღვაწეობა ორივეს დიდად დასტყობია და კარგ ფორმაშიც არიან. ეს ნათლად გამოჩნდა წინა მატჩში, სადაც საუკეთესონი იყვნენ და თავგამოდებული და შედეგიანი გარჯით მაყურებლის აღტაცება დაიმსახურეს. ეს ბიჭები დიდ ძალას წარმოადგენენ და მათი სდასუ-ს რიგებში გამოჩენა მათ მეტოქეთ ბევრ თავსატეხს გაუჩენს.

რა ითქმის „მაკაბიზე“. ეს გუნდი ერთადერთია, რომლისთვისაც გამარჯვება ამ სეზონში ჯერაც უცხო ხილია. წლეულს თბილისური კლუბი ერთობ შეჭირვებულ მდგომარეობაშია. თავის მხრივ ძალ-ღონეს არც მოთამაშეები იშურებენ და არც მწვრთნელები, მაგრამ უილბლობას შეჩვეული „მაკაბი“ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურზეა...

თუმც ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად „მაკაბის“ ხელმძღვანელობამ ნაბიჯი გადადგა — გუნდმა ერთთვიანი შესვენებით ისარგებლა და ერევნის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა, სადაც პირველობაც მოიპოვა. იქ გამართული მატჩები კი გუნდზე, რა თქმა უნდა, იმოქმედებდა და შინაურ კედლებში ბრძოლის ჟინსაც მეტად გაუღვივებდა.

თავის მხრივ „მაკაბისაც“ ძველ ტრიოსთან (ანდღულაძე, ტალაბაძე, ფერიაშვილი) ერთად ახალშემომატებულების ეიმედება. ტყუპი ბერიშვილები გუნდში ახლახანს გამოჩნდნენ, მაგრამ საქმეში მხოლოდ ერთი ძმა — დავითი ვნახეთ. მაშინ ირაკლი ტრავმირებული იყო. ახლა ფეხიც მოუშუშებია და მოედანზეც გამოვა. მათი იმედი კი მაკაბელებს ტყუილუბრალოდ არა აქვთ, ტყუპები ხომ შარშან სტუ-ში თამაშობდნენ და ერთობ გამოირჩეოდნენ. მათი მისვლის შემდეგ „მაკაბი“ სწრაფად ათამაშდა და თანაც გუნდს გამთამაშებლის პრობლემა მოეხსნა.

**13 დეკემბერი. ვერის ბაღი. 17 საათი**

### დინამო — თსუ

მერვე ტურის ცენტრალურ მატჩად, უდავოდ, ამ ორი გუნდის პაექრობა უნდა მივიჩნიოთ. დინამო — თსუ ბევრ საინტერესოს ჰპირდება მაყურებელს. მეტოქეთა დაპირისპირება სათავეს ამ ბოლო ხანებში იღებს და ახლაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოწმენი გავხდებით. რაიმეს წინასწარმეტყველება ძნელია. ვინ ვის გადასწონის, ამას მატჩი გვიჩვენებს. ასე რომ, შეხვედრის საცქერლად ჩაბნელებულ და გაყინულ ვერის საკალათბურთო დარბაზში მოსული ქომაგი წაგებული არ დარჩება.

წინა ტურში არდადეგების შემდეგ საქმეში მხოლოდ თსუ-ს ხილვა შევძელით, „დინამოსი“ კი დენის სიმუხთლის გამო — ვერა. სტუდენტებზე შესვენებას თავისი კვალი დაუტყვია, გაზარმაცებულან. თუმცა ამ მატჩში კვლავინდებურად გაბეჯითდებიან — მათ წინაშე ხომ „დინამო“ იქნება, რომელსაც ხუმრობა არ უყვარს და მოდუნებას არავის პატიობს.

კიდევ ვიმეორებთ: ძნელია, წინასწარ ივარაუდო, ვინ იმარჯვებს, რადგან მცირედი უპირატესობის რომელიმე მეტოქისათვის მიკუთვნება ჭირს. ორივე გუნდს აქვს ძლიერი მხარეები, რომლებითაც ფონს გასვლას შეეცდება. გამარჯვებულიც ის დარჩება, ვინც მეტად გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს.

გადახალისებული შემადგენლობის მიუხედავად, თსუ კვლავაც დიდი ძალაა. ძლენტის სრულფასოვანი შემცვლელი გუნდს ჯერ არ გამოსჩენია, მაგრამ ამ ამპლუაში მგალობლიშვილის ოდისეი დიმიტრიადი შეენაცვლება, რომელიც ჩვეულ ფორმას იბრუნებს. ეს ბიჭები ხომ წლების მანძილზე საბერძნეთში თამაშობდა და თავის გამოცდილებას ახლა სტუდენტურ გუნდს ახმარს. არაფერს ვამბობთ ხელაშვილი-ცქიტიშვილის დუეტზე, რომელიც გუნდისთვის ფასდაუდებელია. თუ ამათ მარკოიშვილსა და წოწელიას დავუმატებთ, ყველა დარწმუნდება, რარიგ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეს თსუ.

რაც შეეხბა „დინამოს“, იგი სწრაფი ტემპისა და გააზრებული თამაშის იმედადაა. გუნდს ირაკლი მაისურაძე გამოაკლდა, რომელმაც სათამაშოდ რუსეთს მიაშურა. ახალგაზრდა დინამოელთათვის გამოცდილი თანაკლუბელი ბევრს ნიშნავდა და მისი წასვლა გუნდის თავკაცებსაც შეაფიქრიანებდა.

სხვა მხრივ, მოსეშვილის გუნდს ნაკლები საწუხარი აქვს. ნიკოლაძე ბურთის გათამაშებასაც კარგად ართმევს თავს და დაცვასაც საიმედოდ თავკაცობს. არც წიკლაურს ეტყობა ამ გუნდში ახალბედობა — იგი „დინამოს“ სათამაშო ტაქტიკასაც შეჰგუებია და ძველებურად განაგრძობს მეტოქეთა ფარის დაწიოკებას. ცენტრების საქმეც უკეთაა — მანველიშვილი და მეჭურჭლიშვილი ნელ-ნელა უმატებენ თამაშს და მოედანზე გაჭირვებაც აღარ ადგებათ.

იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)
სართო ფართობი 165 კვ.მ.3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 38-70-44

# შესწორებით ძროხა ჩვენს კალათბურთს ემანდ, ცხვარი და შილაფლავი არ დასჭირდეს

გუშინ „ცეკავშირში“ გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის გაფართოებული სხდომა, რომელმაც ოთხ საათს გასტანა. სხდომას არ ესწრებოდა ფედერაციის პრეზიდენტი გოგი ქათამაძე, რომელიც სახელმწიფო მინისტრ ვაჟა ლორთქიფანიძის დავალებით კახეთში იმყოფებოდა. სამაგიეროდ იყვნენ ქართულ კალათბურთში მოღვაწე დანარჩენი დიდმოხელენი, ნაკრების ხელმძღვანელობა, რამდენიმე მოთამაშე, ჟურნალისტები და დაინტერესებულ პირთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი.

შეხვედრა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა როლანდ ხომერიკმა გახსნა და საზოგადოებას შეკრების მიზეზი შეახსენა:

— აღმასკომმა უნდა მოისმინოს ეროვნული ნაკრების უკანასკნელი სამი შეხვედრის შეფასება-ანგარიში და მომდევნო მატჩებისთვის მზადების გეგმები დასახოს. უნდა დაუბრუნდეს დისკვალიფიცირებულების, შენგელია-ხოშტარიას საკითხს. დღის წესრიგშია მსაჯ მაჩალაძეს საქმეც, რომელიც ასევე დისკვალიფიცირებულია — განაცხადა ხომერიკმა და განაგრძო — ორი თვის წინ შევხვდით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს გუნდის მეორე წრეში მონაწილეობის საკითხზე. მაშინ გაირკვა, რომ დეპარტამენტი კუთვნილ თანხას, რომელიც ყოველწლიურად ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ვერ გვინაღდებდა, რადგანაც თვითონაც მილიონნახევარი ლარი ჰქონდა მისაღები ფინანსთა სამინისტროსგან. მაშინ მოსეშვილმა თქვა, რომ თუ არაფერი ხერხდება, უარი ვთქვათ მონაწილეობაზე და აქცენტი მომდევნო ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებაზე გადავიტანოთო, რომლის წინასწარი საკვალიფიკაციო ეტაპი მაისში გაიმართება, ხოლო ფინალური — 2001 წელს. აზრი მოიწონეს, რის შემდეგაც მე დამევალა, ფიბას შევხმიანებოდი, ვითარება ამეხსნა და მეკითხა, თუ რა სანქციები მოჰყვებოდა ჩვენს ამ ნაბიჯს. მათ კი მიპასუხეს: თუ საქართველო დარჩენილ თამაშებში მონაწილეობაზე უარს იტყვის, ვერც მომდევნო პირველობაზე გამოვა და 2003 წლამდე ვერც ერთი ასაკის ნაკრები ვერ ითამაშებს ევროპაში. ამასთანავე 25 ათასი მარკა ფულადი ჯარიმა დაგვეკისრებოდა. დამეთანხმებით, ასეთი პირობა ხელს არ გვაძლევდა. ეს ხომ ქართული კალათბურთის დასამარებას მოასწავებდა. ამიტომ ფულის საშოვნელად ყველა ღონე უნდა გვეხმარა და ამ საკითხზე გოგი ქათამაძე თვით ქვეყნის პრეზიდენტთან შევიდა. სწორედ შევარდნაძის უშუალო ჩარევით მოხერხდა თანხის გამოყოფა. ეს იყო 40 ათასი ლარი. ისე, ცნობისათვის, ჩვენი წლიური წილი 140 ათასია, დღემდე მიღებული კი — ოთხმოცდახუთი ათასი.

2 ნოემბრიდან გუნდი მზადებას შეუდგა. ფედერაციამ მოსეშვილის თხოვნა დააკმაყოფილა და ჩემპიონატში შესვენება გამოაცხადა. ნაკრები შეძლებისდაგვარად ემზადა. სამწუხაროდ, კვების საკითხი ვერ მოგვარდა, მაგრამ...

ამაზე ხომერიკს აღმასკომის წევრმა ვაჟა ჭკუასელმა მისცა პასუხი, თუ ასე წუხდით ბიჭების კვებაზე, ისრაელში არ წასულიყავით და იმ ფულად, რაც თქვენზე დაიხარჯა, გუნდი გვარიანად გამოიკვებებოდაო. მანვე დაამატა, ამ ზაფხულს ჭეიშვილის კადეტთა ნაკრებს ქათამაძემ ორი ძროხა დაუკლა და გემრიელად აჭამა. ახლა ერთიც რომ დაეკლა, ყელამდე ეყოფოდათო.

შემდეგ ხომერიკმა ისევ განაგრძო და ნაკრების ისრაელური შეკრება გააანალიზა. მან მწვრთნელების მუშაობა დადებითად შეაფასა — რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, მაქსიმალური დატვირთვით იმუშავეს და მეტი რა ექნათო. აქვე ლეგიონერების საკითხსაც შეეხო — აღმოჩნდა, რომ სტეფანია, ბოისა და ბერძენიშვილი ისრაელში ვერ ჩამოვიდოდნენ, ვაშაკიძე 18-ში შემოგვიერთდა, ჩხეიძე 20-ში და არ დაგავიწყდეთ, რომ მზადება ფაქტობრივად მათ გარეშე გამოგვივიდათ. ვიცე-პრეზიდენტმა ცალკე სტეფანიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ სტეფანიას ჩეხეთში ელოდნენ, იქ კი მარტო ბოისა ჩავიდა, რომელსაც სტეფანიასთვის დილით გაუვლია და უფროსი სეხნიისგან გაუგია, რომ სიცხე ჰქონდა, 37,3 და ვერ წავიდოდა. ხომერიკი აღშფოთებას ვერ მალავდა ქარაბაკის მიმართ:

— რასაც ქარაბაკი „სარბიელს“ ეუბნება, სიცრუეა და ვითარებაში ახლავე გაგარკვევთ. ყველამ ვიცით, რომ ლევანმა მძიმე ტრავმა გადაიტანა, მას რეაბილიტაციისთვის დიდი დრო სჭირდებოდა და ვარჯიში სექტემბრამდე აკრძალული ჰქონდა. მან კი მაისში სტუდენტური ლიგის ფინალი (!) ითამაშა, რითიც უფრო გაირთულა ტრავმა. ადვილი შესაძლებელი იყო, ქარაბაკი საერთოდ დაგვეკარგა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა და მას შემდეგ, რაც ლევანმა ფეხი მოირჩინა, მოსეშვილმა ნაკრებშიც უხმო. ისრაელში იგი ისევ დაშავდა და ჩვენ მოვითათბირეთ, რომ ჩეხეთთან ქარაბაკი არ გვეთამაშებინა, რათა იგი სამუდამოდ არ დაგვეღუპა. სწორედ ეს იყო მიზეზი მისი უთამაშებლობისა და არავითარი პირადული ინტერესი. მან კი უკადრებელი იკადრა, თბილისში დაბრუნებისთანავე მოსეშვილს ფორმა ჩააბარა და ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა, რაც არ უნდა გაეკეთებინა.

მოგვიანებით ამ საკითხს გურამ მინაშვილიც დაუბრუნდა:

— თუ ასე იფიქრეთ ქარაბაკზე, რატომ არ იფიქრეთ იგივე ვატო ნაცვლიშვილზეც, რომელიც ცალი ფეხით თამაშობდა და ახლა ვაჟკაცობისთვის ამდენ მადლობას ვუხდით. ერთი და იგივე საკითხზე სხვადასხვა დამოკიდებულება გამოდის. რატომ? რა ნაცვლიშვილს ლუპავდით?

საერთოდაც კაპიტანზე თითქმის ყველა გამომსვლელმა ისაუბრა და ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ნაცვლიშვილის საქციელი სხვა არაფერია, თუ არა პატრიოტიზმი, რომ ცალფეხა კაცმა ბოლომდე იბრძოლა და გუნდს მაქსიმალურად დაეხმარა.

ხომერიკს არც თემურ დათიკაშვილი დავიწყებია და „ვითას“ ექსპრეზიდენტზეც ისაუბრა:

— დათიკაშვილს არ ვეთანხმები, როცა იგი ფედერაციას საქვეყნოდ ადანაშაულებს და „სარბიელის“ ფურცლებიდან ჩვენს გადადგომას მოითხოვს. მე მზად ვარ, ყველაფერზე პასუხი გავცე და უპირველესად იგი სწორედ ჩემთან უნდა მოსულიყო. ახლა კი რა გამოდის? მე ვიჭყლიტები, დამნაშავე ვარ, დანარჩენები მართლები არიან. ასე საუბარი არ შეიძლება. კი, ბატონო, გადავდგებით, მაგრამ მერე... ხომ არ გავიწყდებათ, რომ ფედერაცია ენთუზიაზმზე მუშაობს და წელიწადზე მეტია, ხელფასები არ აგვიღია. იმის მაგივრად, რომ ვფიქრობდეთ, მომავალში რა ვქნათ, როგორ მოვემზადოთ, ერთმანეთს დავერიეთ.

საუბრის ბოლოს ხომერიკმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ამ პირობებში მეტის მიღწევა შეუძლებელი იყო, რომ ერთკვირიანი შეკრება არაფერს ნიშნავს და მწვრთნელებზეც ენა არ უბრუნდება ცუდის სათქმელად. მანვე ნაკრების ხუთეულის საკუთარი ვერსია გაგვაცნო: ვაშაკიძე, ჩხეიძე, ქარაბაკი, ნაცვლიშვილი, სტეფანია და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ სტეფანია საერთოდ არ ჰყოლიათ, ვაშაკიძე პირველივე შეხვედრაში დაშავდა, ქარაბაკსაც ტრავმა ჰქონდა და ნაცვლიშვილიც კოჭლობდა.

შემდეგ მოსეშვილის ჯერიც დადგა:

— ძალიან ვნერვიულობ და აზრები მებნევა, მაგრამ მზად ვარ გულახდილი საუბრისთვის. ჟურნალისტებს მოგიწოდებთ, ყველაფერი პირში მითხრათ, იქნებ მართლა ვცდებით რამეში. მკითხეთ, რაც გაინტერესებთ.

მთავარ მწვრთნელს, იქვე შეახსენეს, რომ ეს პრესკონფერენცია არ იყო და მოხსენება თავად უნდა გაეკეთებინა.

მოსეშვილმა ამომწურავად ისაუბრა მზადების პერიოდზე და თითოეული შეხვედრაც ვრცლად გააანალიზა, არც სათამაშო სქემასა და ტაქტიკაზე საუბარს დაერიდა. ჩვენ კი მისი მონათხრობიდან უმთავრესზე შევჩერდებით.

— თავს არ ვიმართლებ. დამარცხებაზე პასუხისმგებლობა უპირველესად მე მეკისრება, მაგრამ ვამბობ, რომ არაფერი შემშლია. მე კალათბურთი კარგად ვიცი და ჩემს შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება.

მწვრთნელად თქვენ ამირჩიეთ. ესე იგი მენდეთ, ჰოდა, მითხარით, რა შემეძლო და არ ან ვერ გავაკეთე.

ის სამი თამაში, ლიპარტელიანმა რომ წააგო, მოსაგები იყო და მე მოვიგებდი. მე არავის ვუპირისპირდები, მაგრამ ბესოს გუნდში სტეფანია და ჯანმრთელი ნაცვლიშვილი თამაშობდნენ, რაც ნაკრების 70 პროცენტად მიმაჩნია. მე კი იგივე სტეფანია 14 წუთს მყავდა.

ამ ადგილს გამოკერებული არ ვარ. თუ დამისაბუთებთ, რომ ვერ ვმუშაობ, წავალ. თქვენ ჩემი გჯერათ, სხვანაირად აქ ვერ ვიქნებოდი. ჩეხეთთან ნაკრებმა საუკეთესო თამაში აჩვენა. ჩვენ მოწინააღმდეგეს ავანტიურული დაცვა შევთავაზეთ, რაც გამართლებულად მიმაჩნია, რადგან თავდასხმაში ფრთამოტეხილები ვიყავით. უსტეფანიობას ვერც ვიფიქრებდით. მისი დიდი იმედი გვქონდა, მაგრამ... ჩემი აზრით, დაცვა ხუთიანზე ვითამაშეთ. მეტოქეს არ მივეცით საშუალება, დალაგებული შეტევები განევითარებინა, მაგრამ მეორე ტაიმში ძალიან გაგვიჭირდა ფარზე ბრძოლა. ნაცვლიშვილი და ჯაფარიძე 214 და 218 სანტიმეტრიანებს მეურვეობდნენ. ბიჭებმა ფიზიკურად ვერ გაძლეს. მოედანზე ბერძენიშვილი შევუშვი და ორი ბურთი ფარქვეშიდან გააფუჭა. არც ბოისაა გუნდთან შეთამაშებული. მას რვა კილო მოუმატებია, თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, ეს გამიზნული იყო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოთამაშეები თავიანთ კლუბებში ბოლომდე არ იტვირთებიან, რადგან ბევრს აწუხებს წონის პრობლემა.

მთელი საქარაბაკო ვერ დამაჯერებს, რომ მოგება ჩემზე ძალიან სურდათ. იგი საგანგებოდ არ ვათამაშეთ, გავუფრთხილდით, მან კი... ჯორდანი ხომ არ არის.

ცალკე თემაა შვედეთთან მატჩი. მართალია, ტაიმი მოვიგეთ, მაგრამ ვიცოდი, რომ წავაგებდით და შესვენებაზე იგივე ნაცვლიშვილსაც ვუთხარი. ევროპაა, ხალხო, მათ ყველაფერი აქვთ, უამრავი ლიტერატურაც, პირობებზე რომ აღარაფერი ვთქვა. იმავე გუნდმა იტალიასაც მოუგო, რატომ გიკვირთ, რომ წავაგეთ? ჩვენები კი დაღლილ-დაქანცულები იყვნენ. ერთი კვირის მზადებით აბა, რას ელოდით? თუ პირობები არ გაუმჯობესდება, წინსვლა არ იქნება.

არ მაინტერესებს, ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტი. მთავარია, საქმე აკეთოს. დათიკაშვილი პრესის საშუალებით განცხადებებს რომ აკეთებს, თუ გამოსავალს ხედავს, პრეზიდენტად ავირჩიოთ და...

და მაინც, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ. რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე და მზად ვარ, პასუხიც ვაგო. არც ბიჭებზე ვიტყვი აუგს.

— წაგება წაგებაა, მაგრამ რა გამართლება აქვს ჩხუბს, ფურთხებას. ჩვენ დროს ვინმე რომ წაიქცეოდა, ხელს ვუწვდიდით და ვაყენებდით. ახლა კი რა ხდება — თქვა ვლადიმერ უგრეხელიძემ, რომელსაც ყველა ერთხმად დაეთანხმა და გუნდის საქციელი დაიგმო.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია, როდესაც გურამ მინაშვილი დათიკაშვილზე ალაპარაკდა და მის საქციელს არაკაცური უწოდა. ამას საპირისპირო მხრის რეაქცია მოჰყვა... დათიკაშვილი:

— მე აღმასკომის წევრობაზე უარი განვაცხადე, რითაც ჩემი პროტესტი გამოვთქვი. იქნებ გამოფხიზლდეთ, ხალხო!

წელიწადნახევარი გავიდა ფედერაციის არჩევნებიდან და ამ ხნის მანძილზე არაფერი შეცვლილა. არანაირი პერსპექტივა, არავითარი პროგრესი. რაზეა საუბარი, როცა ერთ კინკილა დარბაზს ვერ ვათბობთ. კაციშვილი არ მუშაობს საქმის გამოსასწორებლად.

აღმასკომის წევრობა მარტო სახელი არ არის. იგი ვალდებულია, ინვესტიციები მოიზიდოს. სახელმწიფოს რომ ელოდო, არაფერი გამოვა. ისინი ფულს არ იძლევიან. მაშ, დავიკრიფოთ ხელები და, ვუცადოთ, როდის რა იქნება.

კატასტროფაა, როცა ყოფილი კალათბურთელები, რომლებიც ახლა დიდი ბიზნესმენები არიან, სხვა სფეროში ტრიალებენ. დაუძახოთ ამ ხალხს და ვთხოვოთ დახმარება. დარწმუნებული ვარ, უარს არავინ იტყვის.

„ვითა“ დაიშალა და არავინ დაინტერესდა ამით. ჩემთვის მიზეზი არავის უკითხავს. თითქოს სოფლის გუნდი იყო.

კიდევ ბევრი რამ ითქვა გუშინ. თითქმის ყველაფერს გადასწვდნენ, ყველა დეტალზე ცხარედ იკამათეს და ბოლოს შენგელია-ხოშტარიას საკითხზე გადავიდნენ.

ვაჟა ჭკუასელი:

— იცით, რომ შენგელიამ ბინა გაყიდა? ორი შვილის მამაა და ულუკმაპუროდ დატოვეთ. 27 წლის ბიჭს სამუდამოდ უკრძალავ თამაშს. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს, კალათბურთელი იღუპება.

ხომერიკმა, ამ საქმეს სადისციპლინო კომისია განიხილავს და ის გადაწყვეტსო, თქვა. ამ კომისიის თავმჯდომარე ჯონი ქარჩავა სხდომაზე არ იმყოფებოდა და ეს საკითხიც სამომავლოდ გადაიდო.

ხოლო შეხვედრის თავში ნახსენები მსაჯ მაჩალაძეს საქმის გარჩევა რატომღაც აღარავის გახსენებია.

არც ის თქმულა, როგორ აპირებენ დარჩენილი თამაშებისთვის მომზადებას. თებერვალში ლატვია-იტალიას როგორ ვუმასპინძლებთ არ ვიციო — თქვა ხომერიკმა და ოთხსაათიანი დამქანცველი სჯა-ბაასიც დამთავრდა.

**გიორგი ბიძაშვილი**

# მაიკლ ბერკოვიჩის რჩეული საკრივო ფურცლები

ფურცელი ოცდამეხუთე

# ამბავი კარლოს მონსონისა, რომელიც იყო დიდი, განუმეორებელი და დაუმარცხებელი

ცხვირშეჭყლეტილი ბიჭები იტყოდნენ: ორი კაცის დაჯახება რინგზე, მათ ნამდვილ, უნიღბო ხასიათებს ხატავს, იმიტომ, რომ ადამიანი თავის სულს დებს ჩხუბში და რინგზე მდგომს აღარ აცვია ტანსაცმელი, არ უკეთია შავი სათვალე და წარმოუდგენელი ღრიანცელის მიუხედავად, მარტოა. ის არის, ვინც სინამდვილეშია.

მაგრამ სცნობს კი კრივის ქომაგი ჩხუბის ნამდვილ გმირებს?

წლები გადის და თუკი ერთხელ მაინც გინახავს იგი, ჩხუბის ნამდვილი გმირი, ვერასოდეს დაივიწყებ. მოხდება უცნაური რამ — უამრავი ავი და კეთილი სიტყვა გაგახსენდება, მისი ცხოვრების გამო წარმოთქმული; ველარ გაუმკლავდები არეულ ფიქრს, რომელსაც, დიახაც ვერ მოუხერხებია ამ კაცისათვის ადგილის შერჩევა შენს გონებაში.



გული კი — სამუდამოდ დაპყრობილია.

ასეთი იყო კარლოს მონსონი.

მისი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, ის ვიცით ზუსტად, რაც საფლავის ქვებს აწერია ხოლმე. დაიბადა 1942 წლის 7 აგვისტოს მივარდნილ ქალაქ სანტა ფეში და გარდაიცვალა 1995 წლის 8 იანვარს, ამავე ქალაქის შორიახლოს, მტვრიან შარაზე. იცოცხლა ორმოცდათორმეტი წელი და ხუთი თვე. ამ ხნის განმავლობაში გამორჩეულად იციმციმა მისმა ბედის ვარსკვლავმა.

კარლოს მონსონი ულაპარაკოდ იყო კრივის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მებრძოლი, საშუალო წონის ხელმწიფე და წაუქცეველი ჩემპიონი. ჟურნალმა „ტაიმმა“ მის ნეკროლოგში სიტყვა Undefeated მოიშველია, რაც იმას ნიშნავს, რომ მონსონს არასოდეს წაუგია ჩხუბი. მაგრამ სხვათათვის კარლოს მონსონი საზიზღარი ადამიანი და ტვინარეული ურჩხული, ნამდვილი მკვლელი იყო. ის ადამიანი, ვინც სიცოცხლეს გამოასალმა თავისი ერთიციდა შვილის დედა, თავისივე ცოლი.

და მართლაც, როგორ ეტევა ეს ორი ამბავი ერთ კარლოს მონსონში? როგორ ეტევა რაინდი და ისტერიული მკვლელი, ციხეში გამოკეტილი ნაძირალა იმ სახელში, რომელიც ოცდაათი წელია ჩხუბის გენია ჰქვია?

მონსონი საშური ჯანისა იყო. ასე ჰყვებიან: სახელისა და დიდების მიუხედავად, იმის მიუხედავად, რომ პარიზის კაფეებში ტანსაცმელს ახევდნენ და არგენტინაში ხელისგულზე ატარებდნენ, ის მორცხვად იღიმებოდა და პირჯვარს გამოისახავდა ხოლმე. ყოველ შობას უზარმაზარ კალათებს გაავსებდა ნამცხვრებით, შოკოლადით და სათამაშოებით და სანტა ფეს მშობლიური უბნის პატარებს ჩამოუვლიდა. უცხოებთან თავი შორს ეჭირა, ცივი და ზრდილი გახლდათ მათთან საუბრისას. ძმაბიჭები უყვარდა, იმათთვის დახმარება სასიხარულოდ უჩანდა და წამსვე ჯიბეზე გაიკრავდა ხელს.

და მაინც, როდესაც მისი ქომაგნი, დასტიროდნენ ლომგულის ნეშტს, სხვანი, მხოლოდ მკვლელი რომ ეგონათ, რადგან არაფერი გაეგებოდათ ჯადოსნურ ფიცარნაგზე ჭიდილისა, თათხავდნენ ნეშტს და ურჩხულს უწოდებდნენ.

მონსონი აღესრულა უკაცრიელ სოფლის გზაზე, სანტა როზა დე კალჩინეს ახლოს, 50 მილის მოშორებით მშობლიურ ქალაქ სანტა ფედან, სადაც პირველად მოირგო ხელთათმანები მრავალი წლის წინათ.

ის მიაქროლებდა მანქანას ლას ფლორენსის ციხისკენ. პატიმარი იყო, თერთმეტწლიან სასჯელს იხდიდა 1988 წლიდან პირმშვენიერი ალისია მუნისის მკვლელობისათვის.

ოჯახური სცენა საშინელებით დასრულდა. მონსონმა ქალს გაარტყა. ალისია აივნისაკენ გაქანდა, კარლოსი გამოეკიდა და სწორედ მოაჯირთან მიუსწრო, ხელიც წაატანა, მაგრამ ველარ დააკავა და უკან მიჰყვა. ალისია მოკლა იმან, რომ მიწაზე პირველი დაენარცხა და ქმარი ზემოდან დაასკდა. მისმა სხეულმა მონსონი სიკვდილს გადაარჩინა. სამი დღის შემდეგ კარლოს მონსონს მკვლელობაში დასდეს ბრალი...

„რენოს“ საჭე გვერდზე გაიქცა, მიმქროლავმა მანქანამ განზე გადაუხვია, რამდენჯერმე გადატრიალდა და ყველაფერი დამთავრდა. კატასტროფის დროს მონსონი მანქანიდან გადმოვარდა და მისი გვამი ათიოდე ნაბიჯში იპოვნეს. შემდეგ ის ადგილობრივ მორგში წაასვენეს, სადაც უფროსმა ვაჟმა აბელმა ამოიცნო. მისი თანხმლები პოლიციელი (მონსონს, როგორც დიდ ადამიანს, ციხის უფროსი, მისი თანაქალაქელი და ქომაგი, ბოლო წლებში ენდობოდა და შაბათ-კვირაობით უშვებდა ხოლმე) მისი ძმაკაცი ჯერონიმო მოტურა ასევე გარდაიცვალა, ხოლო მესამე მგზავრი, ფეხმსუბუქი ქალბატონი ალისია გვადალუპა სესია, გადარჩა და შეშინებული გაიქცა.

მონსონი ისე დაიტირეს, როგორც უცქერდნენ. მისი დაკრძალვა სანტა ფეში გრანდიოზული იყო. კუბო მიწაზე არ დაუშვიათ, ის ხალხის ხელებზე მიცურავდა. აქ იყო მოთქმა, გოდება და ტანსაცმლის გლეჯა. ოცდაათი ათასი კაცი ტიროდა. ღარიბი ხალხისთვის მონსონი მისი ნაწილი, მისი სიყვარული და იმედი იყო. მონსონი ბრბოდან შობილი ვაჟკაცი გახლდათ, გეტოდან გამოსული გმირი.

ეს მაშინ, როდესაც ბუენოს აირესსა და სხვა დიდ ქალაქებში, მოკლედ აღნიშნეს: „დაიღუპა მკვლელი, ყოფილი ჩემპიონი კარლოს მონსონი“. უბირ და უქონელ ინდიელთა ოჯახში დაბადებულს, განათლებული ქალაქების ბომონდი და ბურჟუაზია ყოველთვის ცხვირს უბზუებდა. მათ არ უყვარდათ უსწავლელი და ეკლიანი ბიჭი, რომელსაც ხელით დაატარებდნენ ქუჩებში.

არგენტინის გარეთ 1970 წლამდე არც კი იცნობდნენ. მსოფლიო სახელი მას ნინო ბენვენუტის გალახვამ დაუგდო.

„მთელი ცხოვრება გაბრაზებული იყო“, თქვა მისმა მუდმივმა პრომოუტერმა ტიტო ლექტურმა.

„ეგ იყო გაბრაზებული, საზიზღარი ბიჭი, თვალში ამოსული ეკალი. მეტი არაფერი“, თქვა ემილ გრიფითმა, რომელიც ორჯერ გალახა მონსონმა ჩემპიონის ტიტულის დაცვისას, ერთხელ ნოკაუტით და მეორედ ქულებით.

„ის ცხელი იყო“, თქვა საერთაშორისო ფსონის ოსტატმა ჯორჯ კანტერმა „თითს ვერ დააკარებდი“.

იქნებ არც დაიჯერონ და სწორედ ბრაზი იყო თავიდათავი. იმან, რომ გაბრაზებული იყო, შეაძლებინა მას დიდ მებრძოლად გადაქცეულიყო და აგრე დაცემულიყო სიცოცხლის ბოლოს. ის იყო რაღაც მონუმენტური, თვალშეუდგამი ბრაზი, რომელიც ღუხჭირი ბავშვობიდან, სანტა ფეს ჭუჭყიანი ქუჩებიდან მოდიოდა. ბავშვობისას გაზეთებს ჰყიდდა, ფეხსაცმელებს აპრიალებდა, რათა რამით მაინც შეწეოდა თორმეტშვილიან მშობლებს. მერე სანტა ფეს სპორტული კლუბის გამჭვარტლულ დარბაზში მოხვდა. მწვრთნელი ამილკარ ბურსა, კაცი გამოდგა, შეიფარა და აღზარდა.




მონსონი არასოდეს ყოფილა კლასიკური მოკრივე. მას არ გამოარჩევდა ნატიფი მანერა, მოხდენილი ცეკვა ფიცარნაგზე და ყოველივე ის, რასაც ტექნიკურ სტილს. გაშალაშინებულ მუშაობას უწოდებდნენ. მისი სტილი იყო დელგმა, ჯანი, ტემპის თამაში და მოულოდნელობა. მან იცოდა უკან დახევაც და შეტევაც, მისი ხელები თითქოს რკინისა იყო. ამ ხელების წყალობით გამდიდრებული კარლოსი სწრაფი მანქანების, ლამაზმანების და კარდენის კოსტუმების მფლობელი შეიქნა.

მას დაუმეგობრდნენ ბელმონდო და ალენ დელონი, რომელიც მისი ტიტულის დასაცავი ჩხუბის მოწყობაშიც ჩაება (1974, პარიზი, ხოსე ნაპოლესის გალახვა). ამ დროს გააგდო მონსონმა თავისი პირველი ცოლი და მსახიობ სუსან ხიმენესს გადაეკიდა.

ქალებს ჭკუაზე შლიდა მისი ცხოველური მიმზიდველობა და ესეც გახარებული იყო, ფლეიბოი ვარო. უბრალო ბიჭი იყო, ალენ დელონმა კი MACHO დაარქვა, რაც მაგარ კაცს ნიშნავდა, ცაში ავარდნილ მონსონს მოსწონდა ხალხის გადარევა. ამბობდა, სამი რამ მძულს: რეპორტიორები, ფოტოგრაფები და შეკითხვები მტკივანი მარჯვენა ხელის შესახებო. ძალას აფრქვევდა, სადმე რომ შედიოდა, ყველა მას უყურებდა.

„ის იბრძოდა როგორც ინკების ბელადი“, დაწერა კრივზე მწერალმა ლერი მერჩენთმა, როდესაც ამერიკაში ტიტულის დასაცავად ჩასული მონსონის ჩხუბი ნახა (მაშინ, 1973 წელს, ტონი ლიკატა წააქცია) — „მისი ჩხუბი იმპერატორის მრისხანებას ჰგავდა“.

მერე მოდას აჰყვა და 6 ფუტის სიმაღლისამ ჰიპური ზიზილ-პიპილოები აიჩონჩხლა, თმა მოუშვა და დეზები დაიმაგრა კოჭებზე. სანტა ფელი ღარიბი იყო, მაგრამ არ დაინდეს, მწერალმა მარშალ რიდმა „წამოზრდილი მიკ ჯაგერი“ უწოდა. ასევე შეუყვარდა მაღალი საზოგადოება და კინოვარსკვლავობა მოისურვა. ლამაზი ხარო, ეუბნებოდნენ და აცხადებდა: „ჩხუბის შემდეგ მოვწევ, დავლევ და კინოში ვითამაშებ“.

1977 წელს ის კრივს შეეშვა როგორც დაუმარცხებელი ჩემპიონი საშუალო წონისა, რომელმაც თოთხმეტჯერ დაიცვა ტიტული, რითაც წონის რეკორდი დაამყარა.

მონსონმა რინგსგარეთა ცხოვრება დაიწყო. გვარიანი ქონება დაეგროვებინა და 1,750 აკრიანი რანჩო ესპერანსაც (იმედი) მოზომილი ჰქონდა. რვა აპარტამენტი ბაირესში, კიდევ ოთხი სანტა ფეში... მაგრამ მოკრივის ბედი ხომ ყველგან ერთია, რინგსგარეთა ცხოვრებაში ის სუსტი და უსუსურია. მონსონი თითქოს ბიზნესშიც ჩაერთო მაგრამ წაუგებელმა სწორედ აქ წააგო.

შემდეგ სმა დაიწყო, კოკაინსაც დაეჩვია და ამ დღეში მყოფმა მუშტების ქნევა დაიწყო.

1979 წელს ალისია მუნისი გაიცნო ბუენოს აირესში და შეიშალა ამ მოცეკვავის გამო. ცხრა წელიწადი ერთად გაატარეს და ქალის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ვაჟი, მაქსიმილიანი შეეძინათ. ის შვიდ... იყო, როცა მამამ დედა მოკლა.

რინგიდან გამოსვლის შემდეგ ეს არ იყო მისი პირველი შეჯახება კანონთან. ბარი არ გაუშვია, მუშტი რომ არ გაექნია.

„შედიხარ ბარში და ვიღაც გიჩმახებს. ღირსება უნდა დაიცვა“, — ამართლებს ძმაკაცი ბურსა, რომლის პასუხისმგებლობითაც ათავისუფლებდნენ ხოლმე მონსონს.

ერთხელ ფოტორეპორტიორის ცემისთვის გაასამართლეს, ერთხელაც სახლში დამალული თოფისთვის ჩააყუდეს 28 დღით.

ჯერ კიდევ 1973 წელს, მისგან შეშლილმა პირველმა ცოლმა ბეატრისმა ორი ტყვია დაახალა სახლში მოსულს და მხოლოდ ერთი მოარტყა მარცხენა მხარში. ეს ნიშანი სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მიუხედავად ამისა, მკვლელობისათვის გასამართლებულს ისევ ბეატრისი ამოუდგა მხარში.



რომ მოკვდა, ვადაც გასდიოდა უკვე, შვიდ წელიწადს იჯდა და დარჩენილ წლებს პირობით სასჯელს უხერხებდნენ.

მისი სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, მიკი რურკმა, თავადაც ძველმა მოჩხუბარმა, თქვა, უეჭველად ფილმი უნდა გადავიღო კარლოსის შესახებო. ციხეში მჯდომი ტაისონი ამბობდა, რომ გავთავისუფლდები... დი მის სანახავად წასვლას ვაპირებდიო.

და სანტა ფესა და მის შემოგარენში ის დაიტირეს როგორც ხელმწიფე, რომელიც ხალხში ტრიალებდა.

ასეთია ცხოვრება და ბედი გმირისა. უცნაური რამ ხდება — გული სამუდამოდ მას ეკუთვნის.

სიკვდილამდე 15 წუთით ადრე მონსონმა მანქანა გააჩერა ბენზინის სადგურზე. დიდი მოკრივე იცნო ბენზინის ჩამომსხმელმა და ავტოგრაფი სთხოვა. მონსონმა ხელი მოაწერა შემოსავალ-გასავლის დავთარის ფურცელზე და მანქანა დაქოქა. თურმე ციხისკენ მიიჩქაროდა.

ბატუტზე ხტომა

## ხოფერია ვერსად მიდის, დოლონაძე — ყველგან



რუსუდან ხოფერია

სასწაული იშვიათად ხდება, საქართველოში — მით უფრო. სასწაულს არც ველოდით და აკი არც მომხდარა — დეპარტამენტმა რუსუდან ხოფერიას მსოფლიოს თასის ბოლო ორ ეტაპზე გასამგზავრებელი თანხა ვერ გამოუძებნა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ბატუტისტთა ამ ერთ-ერთ უპრესტიჟულეს ტურნირზე ვერ წავა.

დამნაშავეს, ბევრიც რომ ვეძებოთ, მაინც ვერ ვიპოვით. ფედერაცია დეპარტამენტისკენ გაიშვერს ხელს, ფული არ მოგვცაო, ეს უკანასკნელი — ფინანსთა სამინისტროსკენ. თავის გასამართლებლად ყველა მათგანს მეტ-ნაკლებად საფუძვლიანი არგუმენტიც ექნება, სამაგიეროდ, ამთავითვე ცნობილია დაზარალებული — ქართული სპორტი, პირადად სპორტსმენი და მისი ქომაგები.

ზემოთქმულს მხოლოდ იმას დავამატებ, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე მედლის მოპოვების რეალურზე რეალური კანდიდატისადმი ასეთი დამოკიდებულება მარტო დანაშაული კი არა, რაღაც სხვაცაა...

მოდი და, ამის შემდეგ გაამტყუნე ანა დოლონაძე, საქართველოსას გერმანიის ნაკრები რატომ არჩიაო. არადა, ასე რომ არ ექნა, დღეს ბატუტისტთა გაყინულ დარბაზში ხოფერიასავით იჯდებოდა ათასი პრობლემით გულდამძიმებული, ახლა კი გაგერმანელებული და იქ გათხოვილი დოლონაძე მალე მსოფლიოს თასის მოსაპოვებლად დანიასა და შვეიცარიაშიც მშვენივრად იხტუნავებს (დარწმუნებული ვარ, წარმატებითაც) და ორი წლის შემდეგ სიდნეიში ოლიმპიურ ოქროსაც ხოფერიაზე უფრო გულმოცემული შეუტევს.

ირაკლი თავაძე

ჩოგბურთი

## ძველების დუელი

ორიოდ დღის წინ ბერლინის „მაქს შმელინგ-დომში" ახლო წარსულის დიდი ჩოგბურთელების — ჯონ მაკინროისა და ბორის ბეკერის მატჩი გაიმართა.

39 წლის მაკინროი წლეულს შესანიშნავ ფორმაშია — ვეტერანთა ლიგაში რამდენიმე თვეა, დამარცხება არ იცის, ზედიზედ 5 ტურნირი და 20 მატჩი აქვს მოგებული და ამით გულმოცემული ახლანდელ ჩოგბურთელებსაც დაემუქრა, დიდი ვერაფერი ხვითოები ხართ, თუ კარგ ხასიათზე ვიქნები, ბევრს გავამწარებო. ასე რომ, ბერლინურ მატჩს ამერიკელის განცხადების საფუძვლიანობაც შეეძლო დაედგინა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, შეხვედრას პრინციპული ხასიათი ნამდვილად არ ჰქონია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩოგბურთელები ერთიმეორეს შესანიშნავად იცნობენ; დიდ პატივსაც სცემენ და ახლო მეგობრებიც არიან (ბეკერი მაკინროის თავის საყვარელ ჩოგბურთელად მიიჩნევს, მაკინროი ბეკერს — უკანასკნელ ნამდვილ ვარსკვლავად); მეორეც — მატჩი ჩოგბურთის პოპულარიზაციის ამოცანას ემსახურებოდა და მოთამაშეებიც ძირითადად მაყურებლებთან ლლაბუცით, ფეხებქვეშ ბურთის გატარებითა და ხუმრობებით იყვნენ დაკავებული.

შედეგს მნიშვნელობა არავისთვის ჰქონია, მაგრამ მაინც მოგახსენებთ — ბუმ-ბუმ ბორისმა 6:4, 6:4 მოიგო.

ავთანდილ სვანიძე



ბორის ბეკერი და ჯონ მაკინროი

ოლიმპიზმი

## სოლტ ლეიკ სიტის ჯოჯოხეთია ქრთამი იქაც ანათებს

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში მორიგი სკანდალი მწიფდება — მისი თავკაცები უახლოეს დღეებში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლის, სოლტ ლეიკ სიტის წინააღმდეგ ამოტივტივებულ ბრალდებებს განიხილავენ.

როგორც გაირკვა, თავიანთი საარჩევნო კომპანიის დროს ამერიკელებმა 13 კაცს სასწავლო-სავარჯიშო შეკრება მოუწყვეს. აბა, ამაში დასაძრახი რა არის, მაგრამ იმ 13 სტუმრიდან 6 სოკ-ის წევრების ახლო ნათესავი ყოფილა.

ახლა კომიტეტმა ის უნდა დაადგინოს, დაარღვია სოლტ ლეიკმა ოლიმპიური კანონი, რომლის მიხედვითაც სოკ-ის წევრებისთვის 150 დოლარზე ძვირადღირებული საჩუქრის მიძღვნა იკრძალება.

მომხდარით სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩიც დაინტერესდა, ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა კარარმა კი განაცხადა: „ეს ბრალდებები იმდენად სერიოზულია, მათი სხდომაზე განხილვა აუცილებელია. ჩვენ მალე სოლტ ლეიკის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატებს შევხვდებით და მათ ფაქტების დაზუსტებას მოვთხოვთ."


იყიდება ჯიხური
ელიავას ბაზრობაზე
სანტექნიკის რიგში
კარგ ადგილზე.
ტელ: 95-22-56 საღამოს
საათებში. იკითხეთ სანდრო


ჰოკეი

## ფილადელფიას ეშმაკები შეუჩნდნენ

10 დეკემბერი

**ფილადელფია — ნიუ ჯერსი 4:5**

3:1 1:2 0:1 0:1

0:1 სიკორა 4'12 (10); 1:1 ლინდროსი 5'16 (15); 2:1 ლეკლერი 8'21 (19); 3:1 სვობოდა 17'06 (3); 4:1 ლინდროსი 20'40 (16); 4:2 მაკეი 26'28 (6); 4:3 როლსტონი 27'53 (7); 4:4 ჰოლიკი 53'39 (8); 4:5 ანდრეიჩუკი 61'18 (10)

ძნელი სათქმელია, რას მიაღწევს წლეულს ნიუ ჯერსი, მაგრამ ის, რომ რობი ფტორეკი თავისი საქმის კარგი მცოდნეა, აქედანვე ნათელია. რაც ჟაკ ლემერი წავიდა, მან ორ-სამ თვეში სრულიად განსხვავებული ყაიდით მოთამაშე გუნდი შექმნა და თუ ბოლო წლებში „ეშმაკები" საფირმო „ხაფანგებითა" და სხვა დაცვითი სისტემებით იყვნენ ცნობილნი, წლეულს მათი შეტევის ჟინი გასაკვირია. ამაზე მათ მიერ ბოლო 3 მატჩში გატანილი 17 შაიბაც მეტყველებს.

ეს შეხვედრა კი გამორჩეული იყო. მეორე პერიოდის პირველივე წამებზე, როცა ერიკ ლინდროსმა ლამაზი სოლო რეიდით ანგარიში 4:1 გახადა, ვერავინ იფიქრებდა, რომ „ეშმაკები" შეძლებდნენ გარდატეხის შეტანას. მაგრამ ინიციატივა თანდათან სტუმართა ხელში გადავიდა და თუ მატჩის შუახანს ლინდროსის სამეულის ყინულზე გამოჩენისას თამაში „ეშმაკთა" ზონაში გადაინაცვლებდა ხოლმე, ბოლო მესამედში ნიუჯერსელთა უპირატესობა აშკარა გახდა. საბოლოოდ ბობი ჰოლიკმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო ოვერტაიმში სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა. 78 წამის განმავლობაში „ეშმაკებმა" ფილადელფიელები ისე დააწიოკეს, ხუთჯერ შეეძლოთ გატანა. ყოველივე იმით დასრულდა, რომ დეივ ანდრეიჩუკმა ეშმაკებს მაინც გაამარჯვებინა.





ნიუჯერსელი ბრედ ბომბარდირისა (6) და ფილადელფიელ კოლინ ფორბსის შეყრამ ორივე აზარალა

REUTERS ფოტოქრონიკიდან

**კაროლინა — ბოსტონი 2:3**

1:0 0:1 1:2

1:0 ონეილი 7'38 (7); 1:1 ხრისტიჩი 27'50 (12); 1:2 აქსელსონი 29'49 (2); 2:2 ჟელინა 50'04 (5); 2:3 ტეილორი 57'12 (1)

ბოსტონი გამარჯვებას არ იმსახურებდა (დარტყმების შეფარდება 28:16 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ) და ვერც მიაღწევდა, დიმიტრი ხრისტიჩი (1+1) და ახალგაზრდა სერგეი სამსონოვი (2 პასი) რომ არა. ისინი (შესაბამისად, 14(5+9) ქულა 8 მატჩში და 10(4+6) ქულა 7 თამაშში) შეუჩერებელნი არიან, ხოლო „დათვებმა" ბოლო 6 შეხვედრიდან 6 მოიგეს და 2 ფრედ დაასრულეს.

**ნეშვილი — სან ხოსე 2:1**

0:0 1:0 1:1

1:0 კრივოკრასოვი 21'47 (11), 1:1 მერფი 40'24 (5); 2:1 იაჩმენევი 51'45 (2)

„ოთხი წელია, ამას ველოდი. საამისოდ კი ოთხი მატჩი დამჭირდა" — ხარობდა ტომას ვოკოუნი შეხვედრის შემდეგ. ტრავმირებულ მაიკ დანჰემისა და ერიკ ფიშოს არყოფნაში კლუბის მესამე მეკარეს თავის გამოჩენის შანსი მიეცა. ნჰლ-ში ჩატარებული მე-5 მატჩის ბოლო პერიოდში მან სანხოსელთა პირველი დარტყმა ვერ მოიგერია, მაგრამ ამის შემდეგ თავისიანები რამდენჯერმე იხსნა და „ზვიგენების" ძლევაში ლომის წილი დაიდო.

სამველ ლარიბიანი

## უბადლო ჩეხები და ერთიც რუსი

24 იანვარს შეერთებული შტატების ქალაქ ტამპაში გაიმართება ნჰლ-ის ვარსკვლავთა ტრადიციული მატჩი, რომელშიც, უკვე მეორედ, ჩრდილოეთ ამერიკისა და მსოფლიოს ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს. მანამდე კი თამაშის მონაწილეებს გულშემატკივართა გამოკითხვით შეარჩევენ. 28 დეკემბერს ყველაფერს ნათელი მოეფინება, ჯერჯერობით კი ასეთი ვითარებაა:

### ჩრდილო ამერიკის ნაკრები

მეკარეები: *კრის ოსგუდი (დეტროიტი) 33563 ხმა*; კერტის ჯოზეფი (ტორონტო) 28226; მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი) 27607; პატრიკ რუა (კოლორადო) 20978; ედ ბელფორი (დალასი) 20269.

მცველები: *რეი ბურკი (ბოსტონი) 40950*; *ელ მაკინისი (სენტ ლუისი) 35398*; კრის ჩელიოსი (ჩიკაგო) 32679; ლარი მერფი (დეტროიტი) 31283; კრის პრონგერი (სენტ ლუისი) 29001.

ცენტრფორვარდები: *სტივ აიზერმანი (დეტროიტი) 36001*; ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) 19879; უეინ გრეცკი (რეინჯერსი) 22836; ჯო საკიკი (კოლორადო) 15533; მაიკ მოდანო (დალასი) 14499.

გარემარბები: *პოლ კარია (ანაჰაიმი) 57534*; *ბრენდან შენაჰანი (დეტროიტი) 56028*; ჯონ ლეკლერი (ფილადელფია) 38039; ბრეტ ჰალი (დალასი) 30127; კეიტ ტკაჩუკი (ფინიქსი) 22203.

### მსოფლიოს ნაკრები

მეკარეები: *დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) 90591*; არტურს ირბე (კაროლინა) 20394; ოლაფ კოლციგი (ვაშინგტონი) 20075; ნიკოლაი ხაბიბულინი (ფინიქსი) 16058; ტომი სალო (აილენდერსი) 13573.

მცველები: *ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 72511*; *სერგეი ზუბოვი (დალასი) 41479*; უვე კრუპი (დეტროიტი) 38318; სანდის ოზოლინში (კოლორადო) 26542; დარიუს კასპარაიტისი (პიტსბურგი) 26294.

ცენტრფორვარდები: *სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი) 40463*; პეტერ ფორსბერგი (კოლორადო) 39059; მატს სუნდინი (ტორონტო) 24546; იგორ ლარიონოვი (დეტროიტი) 8732; მარტინ სტრაკა (პიტსბურგი) 8608.

გარემარბები: *იარომირ იაგრი (პიტსბურგი) 86524*; *ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 71083*; პეტერ ბონდრა (ვაშინგტონი) 22097; პაველ ბურე (ვანკუვერი) 20264; სერგეი სამსონოვი (ბოსტონი) 20042.

ჩამოთვლილებში გამორჩეულნი არიან ის ჰოკეისტები, რომლებიც სასტარტო ექვსეულში ხვდებიან.

როგორც ხედავთ, ლიდერთა შორის ნაცნობ გვარებს ვკითხულობთ, თუმცა ერთ გარემოებას მაინც უნდა გაესვას ხაზი. თუ სიტუაცია გამოკითხვის ბოლომდე არ შეიცვლება, მოწინააღმდეგეთა სასტარტო ექვსეულებში ერთბაშად ხუთი დეტროიტელი მოხვდება, რაც, ალბათ, „წითელფრთიანთა" ორწლიანი ჰეგემონიისი დასტურია. თუმცა სერგეი ფიოდოროვისა და განსაკუთრებით კრის ოსგუდის ლიდერობა მეტად მოულოდნელია. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილო ამერიკის საუკეთესო ექვსეულში აშშ-ის ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა. ერთადერთი, ვისაც ეს შეუძლია, მცველი კრის ჩელიოსია, რომელიც ოდნავ ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფ ელ მაკინისს. მეკარეთა პირველ ხუთეულში კი ვერც ერთმა ამერიკელმა ვერ შეაღწია.

ყველაზე პოპულარული ქომაგთა შორის უეჭველად ორი სუპერჩეხია — დომინიკ ჰაშეკი და იარომირ იაგრი, რომლებსაც მიღებული ხმებით ვერც ერთი ოკეანისგაღმელი ვარსკვლავი ვერ მიუახლოვდა.

დაბოლოს, გამოვყოფთ სერგეი სამსონოვის აღზევებას. ამ ასაკში (სამსონოვი ჯერ 20 წლისაა) გულშემატკივართა აღიარება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. საკმარისია ითქვას, რომ ჩრდილოამერიკელთა მთელ სიაში (საუკეთესოებზე აღრაფერს ვამბობთ) ყველაზე ახალგაზრდა სამსონოვის პარტნიორი ჯემი ელისონი გახლავთ, რომელიც რუსზე სამი წლით უფროსია.



ანაჰაიმელი პოლ კარია და პიტსბურგელი იარომირ იაგრი ჩრდილოამერიკელთა და დანარჩენი მსოფლიოს დიდ მატჩში თავისიანთა შეტევებს გაუძღვებიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XVII ტური

**ჰამბურგი 0:4 ჰერტა**

0:1 რაისი (22), 0:2 ვოში (50), 0:3 ტრეჩოკი (79), 0:4 პრეეტცი (82)

**დორტმუნდი 1:1 მიონხენგლადბახი**

1:0 ბუტი (18), 1:1 პოლსტერი (24)

მეორე ბუნდესლიგა

XVIII ტური

**კიკერსი 1:0 კოტბუსი**

1:0 მარიჩი (65)

**დიუსელდორფი 2:2 ფორტუნა**

0:1 შუტერლე (113), 1:1, 2:1 დობროვოლსკი (17, 49), 2:2 გრილჩი (64)

## საფრანგეთი

XVIII ტური

**სტრასბური 2:2 ნანტი**

0:1 ფაბრი (5), 1:1 კონტე (35), 1:2 მონტერუბიო (55), 2:2 ბერტინი (89З)

**რენი 3:2 მონპელიე**

1:0 ნონდა (25), 1:1 ტომოფტე (23), 1:2 დელაი (76), 2:2 ბარდონი (83), 3:2 გუსე (89)

## ჰოლანდია

XVIII ტური

**მაასტრიხტი 3:3 სიტარდი**

0:1 პეერინგი (31), 1:1 პოიბახი (35), 2:1 პერესი (42), 3:1 ლანდცაატი (47), 3:2 ჰამინგი (68), 3:3 კული (70)

## ბელგია

XVIII ტური

**შარლერუა — ანდერლეხტი**

გადაიდო

## თურქეთი

XVI ტური

**გენჩლერბირლიგი 1:1 ქოჯაელი**

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

XXIII ტური

**ბერი 3:3 შეფილდი**

0:1 ვუდჰაუსი (26), 1:1 დიაფო (36), 2:1 უილიამსი (52), 2:2 მარჩელო (53), 3:2 სუაილესი (54), 3:3 მარჩელო (62)



დორტმუნდი — მიონხენგლადბახი. შტეფან შაპუიზა (მარცხნივ) უგოლოდ დარჩა

# კლუბმა ქომაგი დაიტირა

გასულ კვირას უეფას თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩის წინ, როცა მადრიდის „ატლეტიკო“ „სოსიედადს“ უნდა დაპირისპირებოდა, სანსებასტიანელთა ქომაგი აიტორ საბალეტა მადრიდელთა ფანებმა მოკლეს. მანამდე მასპინძელთა საბალეტას მეგობარი გოგო სასიკვდილოდ დაჭრეს.

28 წლის საბალეტას სიკვდილმა მთელი ესპანეთი შეძრა, პოლიციამ კი რამდენიმე დღეში დააკავა მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება.

„სოსიედადის“ ხელმძღვანელებმა დაღუპულისთვის პატივმისაგებად გადაწყვიტეს, ქვეყნის ჩემპიონატის ხვალინდელ ტურში, მადრიდში „რეალთან“ შეხვედრისას კლუბის ფეხბურთელებმა ზურგზე



„სოსიედადის“ უბედური ქომაგი გუშინ დაკრძალეს

საკუთარი გვარი კი არა, საბალეტა დაიწერონ.

— საშინელი რამ მოხდა, გაგვიჭირდა კიდეც იმის დაჯერება, რომ ჩვენი გუნდის გულშემატკივარი მოკლეს — განაცხადა „სოსიედადის“ წარმომადგენელმა ხუან სანჩეს პეროტიმ.

კლუბი ჭირისუფლებსაც შეეწია დაკრძალვის ხარჯებით.

**EK'98**

ჰოლანდიაში ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. კონტინენტის 12 საუკეთესო ნაკრები ორ ჯგუფადაა დაყოფილი. პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი ნახევარფინალში ითამაშებენ. ფინალი კი 20 დეკემბრეს გაიმართება. გუშინ გუნდებმა პირველი ტურის შეხვედრები ჩაატარეს.

**A ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| უკრაინა | 23:16 | ჰოლანდია |
| უნგრეთი | 28:24 | რუმინეთი |
| ავსტრია | 24:25 | გერმანია |

**B ჯგუფი**

| | | |
|---|---|---|
| დანია | 37:21 | მაკედონია |
| ნორვეგია | 25:20 | რუსეთი |
| პოლონეთი | 20:15 | ესპანეთი |



გერმანია — ავსტრია. ავსტრიელ ბარბარა შტრასის ამ ტყორცნას გოლი მოჰყვა

# რეკორდი და მწვანეები

შეფილდში ევროპის მოცურავეთა ჩემპიონატი 25-მეტრიან აუზში ჯერაც არ გახურებულა, მაგრამ ორმა სპორტსმენმა რეკორდის დამყარება და ხელის მოთბობა უკვე მოასწრო.

ჯერ ჰოლანდიელმა ინგე დე ბრუინმა 50 მეტრ დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში 26,54 წამი უჩვენა, წლეულსვე, იტალიაში დამყარებული თავისი რეკორდი 7 მეასედი წამით გააუმჯობესა და 5000 მარკაც (დაახლოებით 3000 დოლარი) გაინაღდა. სულ ტურნირის საპრიზო ფონდი 1,52 მილიონი მარკისგან შედგება, მსოფლიოს რეკორდსმენებს კი ევროპისაზე ოთხჯერ მეტი, 20000 მარკა ერგებათ.

ასპარეზობის პირველ დღეს ბრუინის გარდა გერმანელმა ტომას რუპრატმაც გამოიჩინა თავი. ამან ევროპის რეკორდი, 24,41 წამი ასევე 50 მეტრ დისტანციაზე, ოღონდ გულაღმა ცურვაში დაამყარა.

ძველი მიღწევა — 24,52 წამი ხორვატ ტომისლავ კარლოს ეკუთვნოდა.

ასპარეზობის პირველ დღეს მედლები ასე განაწილდა:

400 მეტრი. თავისუფალი სტილით ცურვა (კაცები). 1. ემილიანო ბრამბილა (იტალია) — 3:40,45; 2. მასიმილიანო როზოლინო (იტალია) — 3:42,87; 3. ჯეიკობ კარსტენსენი (დანია) — 3:44,56;

50 მეტრი. ბატერფლაი (ქალები).

1. ინგე დე ბრუინი — 26,09; 2. ანა-კარინ კამერლინგი (შვედეთი) — 26,30; 3. იოანა სიობერგი (შვედეთი) — 26,76

ამ დღეებში, სამთომოთხილამურე ქალები საფრანგეთის მთიანეთის კურორტ ვალდიზერში სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ავსტრიელმა ალექსანდრა მაიზინცერმა (ფოტოზე) კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ წლევანდელ მსოფლიოს თასზე ბადალი არა ჰყავს. მაიზინცერმა ორივე სახეობაში იმარჯვა და საერთო ჩათვლაში 625 ქულით პირველ ადგილზე დამკვიდრდა. საუკეთესო ხუთეული კი ასე გამოიყურება — ალექსანდრა მაიზინცერი (ავსტრია) — 625; 2. მარტინა ერტლი (გერმანია) — 383; 3. რენატა კოუხი (ავსტრია) — 344; 4. იზოლდე კოსტნერი (იტალია) — 263; 5. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 250.




# გამტაცებლები დააჯარიმეს

განთქმული ავსტრიელი მოთხილამურენი ჰერმან მაიერი და ანდრეას შეფერერი ოთხ-ოთხი ათასი დოლარით დააჯარიმეს. სასჯელი გამოწერილია არა რაიმე სპორტული დარღვევისთვის, არამედ, ველოსიპედის მოპარვისთვის კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ასპენში.

მაიერსა და შეფერერს თვითმფრინავზე აგვიანდებოდათ და ქუჩის პირზე მიყენებული ველოსიპედი გაიტაცეს. ამერიკულმა პოლიციამ კი მათ სდია და წამოეწია კიდეც. დიდმა ჩემპიონებმა ველოსიპედი დააგდეს და ფეხით გაიქცნენ — კანადაში ხომ მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი იწყებოდა.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29